

959



652

4

1959

55

საქართველოს ენციკლოპედია

სსსსს

საქართველოს
აჭარა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შუქნაღი
საქართველოს საბჭოთა მფრელების
კავშირის აჭარის ბანყოფილების
ორბანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

7777

ზრ. ხალვაში—ლექსები 3
 ი. რურუა—ბავშვობის დასახრული
 (მოთხრობა) 7
 ბ. ხალუქვაძე—ლექსები 17
 შ. თოდუაძე — „კომკავშირელი“ (მო-
 თხრობა) 20
 ვ. ხეიღიშვილი — ლექსები 25
 ი. ჯორბენაძე — ჩონგური (მინი-
 ატურა) 27
 ნ. შაბანაძე — * (ლექსი) 28
 ნ. ჯალალონია — ლექსები 29
 ბ ხანალიძე — საზრუნავი (მო-
 თხრობა) 31
 თ. შუბლაძე — ობობა და ხარაბუჯა,
 მკვეხარა ლექორა (ივავ-არაკები) . 35
 ა. აბულაშვილი — ლექსები 37
 შ. ჩიტიშვილი — ლექსები 38
 ვ. ლონტი — შენთან მოვალ, ციცი-
 ნათელა (ლექსი) 39
 ვ. მლტარკი — ცდუნების დერეფანი
 (მოთხრობა, თარგმნა ი. არეშიძემ) . 40
 ი. კვაჭაძე — ლექსები 42
 ს. ხელაძე — იგი თავიდან იწყებს
 ცხოვრებას (სათავგადასავლო
 მოთხრობა) 43

დღეები და აღამიანები

ა. ჩხაიძე — ბებერი ხომალდის თავ-
 გადასავალი (ნარკვევი) 56

4

1959

**ი ვ ლ ი ს ი
 ა ბ ვ ი ს ვ ი**



ქრიტიკა და პუბლიცისტიკა

- ტ. ნინთიბიძე — სახალხო განათლებისა
და კულტურის ახალი მძლავრი
აღმავლობის შედეგად 64
- მ. ნაღრიძე — მამია ვარშანიძის
პოეზია 67
- ა. მხითარაძე — ქართული და სომ-
ხური ლიტერატურის ურთი-
ერთობის ისტორიიდან 71
- მ. მგელაძე — ისლამი ქალის შესახებ . 75

მ. ბ. მ. მ. მ. მ. მ.

- მ. ბახტაძე — მოგონებათა ფურცლები . 77

აჭარის წარსულიდან

- ლ. მხატვარი, ს. მებრელიშვილი — ბა-
თუმის მუშათა პირველი სოციალ-
დემოკრატიული წრე 82
- ა. სურგულაძე — „კომუნისტური პარ-
ტიის მანიფესტის“ პირველი
ქართული თარგმანი 86

წიგნის თარო

- ბ. მებუძე — მოთხრობები ზღვისპირეთზე . 89
- მ. სინარულიძე — ქართული საბჭოთა
მეცნიერების დიდი შენაძენი 90
- კ. ლლონტი — წიგნი ქართულ მჭევრ-
მეტყველებაზე 92
- პ. ხმაღაძე — ახალი მეცნიერული
ნაშრომი ევრემ მცირეს შესახებ . 94

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ს. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი),
ა. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

უკიდრნ ხაღვაში

სიმღერა ხვალინდელ ღღეზე

მე შემიძლია შეგებო ხელით,
შენ დიდებულო,
ხვალინდელი ღღის საოცრებავ!
კომუნისმია შენი სახელი,
შენი სიცოცხლე,
სიყვარული, შრომა: ოცნება.

მე შენ გიმღერი გულით
და რომ შეიძლებოდეს
გადავაქციო თვითონ სიტყვა
რაიმე საგნად,
მაშინ ამ სიტყვად — „კომუნისმი“
გამოვთლი ლოდებს
და ღედამიწის კვარცხლბეკზე დავდგამ.

როცა მე გავჩნდი
და მიწაზე დავადგი ფეხი,
შენ ამ მიწაზე
უკვე მაშინ გეკავა ბინა,
შენით მღიმარი მიმღეროდა
ბუხართან გლეხი
და მისმა აზრმა
შენი აზრი გამაგებინა.

შემდეგ წამავლო კოჟრიანი ხელი
იმ კაცმა,
მაჩვენა ყანა —
თავის ხელის ნაამაგარი...

და უცებ ბავშვმა,
როგორც დიდმა,
ვიგრძენი რაც ვარ,
რომ მეც ამ მიწის ვიყავ ერთი
პატრონთაგანი.

სხვანაირია გასვენება მაინც იმ დღეთა, —
მწიფე ყანაში მშობელმა რომ გადაიხედა,
და მოსავალი შეამოწმა
მთელი წლის ნაღდი,
მეგონა თავის ოჯახისთვის
ჭირნახულს უმზერს,
მან კი, ვით შვილთან
გამომცხვარი გლეხური მჭადი,
ის ყანა გაჰყო
ჩვენი სოფლის ყველა სულდგმულზე.

ჩვენ იმ წელიწადს დაგვაკლდა სარჩო,
მაგრამ ყანებში ზვინებს თავი რომ მოუკონეს...
ყველა ნალიას მოემატა რაღაც სახარჯო
და რაღაც ჰქონდა ყველა უქონელს.

ჯერ კომუნისში
უნდა შევქმნა საკუთარ სულში.
შემდეგ მეზობელს მოთმინებით გავუზიარო...
თუ ვინმე ეჭვობს
და ამ სულის დინებას უშლის,
იმის ეზოში უფრო ხშირად ჩამოვიარო
და ვუთხრა:
ძმაო, ყველა ძველი სიძნელე ვძლიეთ.
ხალხი აქ არი,
შენ კი ეშმაკს ეძახი, ყვირი.
როცა მე შენი სიყვარული მომინდა ძლიერ...
შენ ჩემგან რატომ უნდა იბრუნო პირი?!

იქნებ ის მეტყვის:
წადი, შენიც გეყოფა დარდი,
საკმარისი მაქვს ფიჭვი მე ჩემი,
დათესე ვარდი, მოკრიფე ვარდი.
შენ ჩემს ეკალში ნუ შემეჩრები.

და შეიძლება მაინც წავა თავის ბილიკით,
მე კი დამრჩება
ჩემი აზრი და ჩემი ჯავრი,
მაგრამ გულს მაინც არ გავიტეხ,
არა,
პირიქით...

უფრო ვიწამებ —
ის ჩემი გზის გახდება მგზავრი.

არ შემიძლია მას პირობა დაეუღო მკაცრი:
არ გეშინოდეს-მეთქი გზაზე ქარის და ავღრის.
როგორ იქნება
ქვეყანაზე ცხოვრობდეს კაცი
და ცხოვრებაში არ ჰქონდეს დარდი.

მაგრამ თუ ვიცი —
ჩემი ფიქრი გაიყო ხალხმა,
ვიყავი ერთი, გავხდი ათასი, —
როგორ ვიქნები ისეთი გლახა,
ამ სიყვარულის ვერ გავიგო
გემო და ფასი.

ამიტომ მინდა,
როგორც ჩემი სიცოცხლე ფართო,
სიმღერით ვაქო კომუნიზმი,
გულს რომ ენთება,
თუმცა მე ვიცი, რომ იგი დღე,
რომელსაც ვნატრობ,
მარტო სიმღერით არ აშენდება.

უცოლო კაცი

ხანდახან ჩემი პატარა ვაჟით
მე ჩამოვივლი ბაღში კვირადღით.
ნახე: ბიჭუნა მკლავებს რომ გაშლის
და ჩამეხვევია, მარტო ის რად ღირს!

შენ ხეივანში შემხვდები მაშინ,
მაგნოლიებთან შუბლს დაიჩრდილებ,
ქალარას ხელით ჩამალავ თმაში
და გააყოლებ თვალს ქალიშვილებს.

თითქოს რაღაცა ნაღველი გტანჯავს,
მაგრამ იხრები: ბიჭს ეფერები
და, სწორედ მაშინ, რატომღაც ბავშვთან
შევშვენის თმაში თეთრი ფერები.

შემდეგ კი ისევ მოყვები ამბავს,
რომ არსად შეგხვდა ქალი იმგვარი:
რომ შენი სახლის ცარიელ დარბაზს
„გადააშუქოს თვალთა ცისკარი“.

ზოგი დაბალი არის ძალიან,
ზოგი მაღალი ჩანს გაცილებით.
ზოგზე კი ამბობ: რაღა ქალია,
თუ სიცილისას უჩანს კბილები.

ზოგის თვალები მეტად შავია,
ზოგის არ მოგწონს გრძელი ნაწნავი...
შენს მკერდში, ალბათ, გული მშრალია,
ვით საფერფლეში რაღაც ნამწვავი.

ასე მიზეზობ დაუსრულებლად:
თავისას მხოლოდ თვითონ იჯერებ.
შუბლზე კი გრჩება მსუბუქი ხსუნლებად
წლები, სწრაფად რომ მიაბიჯებენ.

ეგ რომ წინაპარს ექნა, გჯეროდეს,
ჩვენ ვიქნებოდით, ალბათ, წაშლილი...
ამ თბილ კერძას მას უმადლოდღე,
ვინც გაუზარდა მამულს ცხრა შვილი.

შენ კი სიყვარულს ფლანგავ მალულად...
ამ სირცხვილს რითი უნდა უშველო —
კაცს საქართველო გქონდეს მამულად
და ბერდებოდე ასე უშვილოდ?!

მეუღლე

ის კართან იდგა.

ცარიელ ოთახს
უყვარდა იგი, როგორც მიყვარს მე.
მას ცრემლიანი თვალები ჰქონდა
და გრილი ქარი უვარცხნიდა თმებს.

რამდენს ითხოვდა ოთახი მისგან,
ოჯახი ჩვენგან ითხოვდა ბევრს,
მამამ რომ კერად ჩავვიდგა, ის ქვა
რომ არ ეჭამა სიცივის მტვერს.

რა ლამაზია, როდესაც ქალი
პირველი შრომით შენს ოდას რთავს,
და სიყვარული, და მომავალი
გბირდება სითბოს,
ცხოვრებას, ხვავს.



ილია ჩუჩუაძე

გავშვობის დასასრული

არა მგონია სადმე იყოს ჩემს დედულეთზე ლამაზი სოფელი.

შეიძლება იმიტომაც მგონია, რომ აქ დაირწა ჩემი აკვანი, აქ გამიტარებია მთელი ბავშვობა, აქეთკენ მოვეშურები ყოველ ზაფხულს.

სულ დავლილი მაქვს მისი ხუჭუჭა სერები, ყოველი ხევი და კუნჭული. ისიც კი ვიცი, რომელი წყაროს წყალი რა გემოსია, ანკარა ნოლაში სად რამდენი თევზი ბუდობს.

გამკვირვებია კიდევ: როგორ შეიძლება ასეთი სოფელი გქონდეს და გული მისკენ არ მიგიწევდეს.

ამას უფროსებზე ვამბობ. ბიძებზე რომ არაფერი ვთქვა, მამაჩემი უკანასკნელად ამ ხუთი წლის წინათ იყო სოფელში, ბაბუა თაყას ტირილზე.

დიდხანს დედა და ბიცოლებიც არ რჩებიან: ათი-თხუთმეტი დღის შემდეგ რატომღაც ყველას შვებულება უთავდება, ან ქალაქიდან დეპეშა მოსდის სასწრაფოდ ჩამოდით.

სოფელში საზაფხულოდ ჩამოლაგებული ამდენი ბავშვების ერთადერთი პატრონი და მზრუნველი საბოლოოდ მაინც ბებია თავლოა...

ალბათ, გედიმებათ, მკითხველო: „ისევ სოფლის იდილია... ისევ ბალახში წოლა და ბავშვური ოცნება... ისევ ნაკადული და ჩალის წისქვილი... ისევ მინდვრის ყვავილები და ხბოსთან თამაში... და, რა თქმა უნდა, ბებია — გადასარევად ტკბილი, ალერსიანი, მუდამ გულაჩუყებული... იტყვიოთ, ყოველივე ამით ხომ ისედაც მობეზრებული გვაქვს თავი!“

გეთანხმებით!

ერთი რამით შემოიძლია წინასწარ დაგამშვიდოთ: ჩემი მოთხრობის გმირი სრულებით არ არის ეგეთი ალერსიანი და ტკბილი, პირიდან თავლი არ გადმოდის, თუმცა სახელად თავლო ჰქვია.

იქონიეთ მოთმინება და მოუსმინეთ მის უფროს შვილიშვილს.

...ვერ დავიჩემებ, ბებია თავლო ბუნებით ავია-მეთქი, სამაგიეროდ ძუნწი და უკმეხი რომაა, მთელმა სოფელმა იცის.

სანამ პირზე რძეშეუწრობელი ბალები ვიყავით, ამას არ ვგრძობდით. უღრტვინველად ვიტანდით.

ამ ზაფხულს კი აფუჩანყდით.

იქნებ კიდევ არაფერი გვეთქვა, ბებია თავლოს უკმეზობის რისხვა ერთ გარემეს არ გადაწვდენოდა.

ბებია თავლოს ჭიუტად არ სურს გაიგოს, რომ შვილიშვილები საკმაოდ წამოიზარდნენ, წამოიჩიტნენ, რომ მე მეთე კლასში გადავედი უკვე და ცალა ფეხი კაცობაში მაქვს შედგმული.

სოფლის ბიჭები, შარშან და შარშანწინ რომ ყოველ ნაბიჯზე მოულოდნელ სარმას მიდებდნენ და ხარხარებდნენ, ახლა რალაცნაირი უნდობლობით მიბღვერენ წარბებს ქვემოდან.

სოფლის გოგონებს, აქამდე რომ ქალ-ბიჭურად მეკინწლავებოდნენ, ახლა თითქოს ვეუტხოები, დარცხვენინონი შემომცქერაან.

ცოტა არ იყოს, მომწონს კიდევ, მარტო ჭუკივით რომ ვარ.

ეს განსაკუთრებული სიმარტოვე უფრო მაჩენს გოგონების თვალში... დაფინოს თვალში.

ჩვენს ეზოებს შარაგზა ჰყოფს.

დაფინოს მამა ბრიგადირია. სოფელში პირველი მუშა-კაცი.

ეტყობა კიდევ.

ყველაზე უკეთესი კარ-მიდამო აქვს. ერთსართულიანი კამარებიანი ავუ-რის სახლი არ უქმარია და ზედ უზარმაზარი ოდაც წამოუჭიმავს ფართო, რიკულეებიანი აივნით. აივანს ვაზი შემობურვია უსურვაზივით.

ეზო მარტოოდენ ვენახი და ხეხილის ბაღია.

მთელ რაიონში ჩვენი სოფელია ხილით განთქმული, სოფელში კი დაფინოს ეზო. საიდან არ აკითხავენ აქ იშვიათი ნამყენებისათვის.

ვაზის ის ჭიში, რომლითაც სოფელს თავი მოაქვს, პირველად დაფინოს მამამ გაახარა.

მთელი ეზო შემოკავეებულია გარანდული, ლარივით სწორი და თავწამახული, მწვანედ შედებული ფიცრის ღობით...

ჩვენი ეზო-კარი კი ბევრით ვერაფრით მოიწონებს თავს.

აკაციის მესერი სულ დაფუტურობულა. ეკალ-ბარდი რომ არ ეშველებოდეს, ალბათ, წაიქცეოდა.

სახლიც ძველია, დაბალ, თლილ ქვებზე შეყენებული. იმდენად დაბალი, ქვეშ მარტო ქათმები ახერხებენ შეყუყვას.

წაბლის განიერ და სქელ ფიცრებს ნაცრისფერი ადევთ. ისე გამომშრალან, ღრმა ღარები გასჩენიათ.

ამოდენა სოფელში ეს ერთადერთი სახლია, კრამიტი რომ არ ახურავს. სულ ადრე, მახსოვს, ისლის სახურავი ჰქონდა. ისლი რომ მოისპო, ყავარი მიაშველეს, ისიც არასაკმარისად. ამიტომ სულ ზევით სახურავს კახურ ქუდავით შერჩენია ძველი, დახავებული ისლი.

ეზოში მაღალი ბალახი ბიბინებს. ბებია თავლო აქ საერთოდ არ აჭაჭანებს ოთხფეხა სულდგმულს.

მისი მარჩენალი თხა ეშმაკისფეხა თიკნითურთ და მაკე ღორი ორღობიდან პატარა, ვიწრო უტკით შედიან ქართაში.

ქართა იმდენად დიდია, ღორის დინგი ყველგან ვერ მორგვია. აკაციის

მსხვილ, ძირმომპალ ბოძებზე ყანგისაგან დაჭმული რამდენიმე ჯაჭვი ჰკიდია. იქვე მესერზე ჩამოცმულია კამეჩის ორი რქა.

ხეხილი ჩვენს ეზოშიც ბლომადაა. ოღონდ ხეების მეტი ნაწილი დაბერებულა, გაბერწებულა, ხმელი ტოტები მორევია.

ჩანს, ეზოს მამაკაცის ხელი აკლია.

მაინც ეს ეზო-კარი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მიწის ნაჭერია ქვეყნად. აქ დაირწა ჩემი აკვანი, აქ გამიტარებია მთელი ბავშვობა, აქ ვატარებ უკანასკნელ უზრუნველ საფხულს.

გაისად უკვე სიმწიფის ატესტატს ავიღებ. ალბათ, სადმე ქარხანაში ან ფაბრიკაში მოვეწყობი. ყოველ საღამოს დაღლილ-დაქანცული, გამურული და კმაყოფილი დაგბრუნდები შინ.

რალაც შეუტყობელ სიამეს მგერის ამაზე ფიქრი, მოლოდინით საცხე შეფოთიან სიამეს.

ღიახ: ცალი ფეხი უკვე კაცობაში მაქვს შედგმული.

გოგონები მორიდებით შემომცქერიან. ტალიკა-ტალიკა ბიჭები კიდეც წარბებს ქვემოდან მიბღვერენ რალაცნაირი ქიშპით.

ყველა ანგარიშს მიწევს, ყველა... გარდა ბებია თაფლოსი...

იმ საღამოსათვის დაფინო კინოში დავპატიე.

შარვალი იმდენი ვაუთოე, კომპრესის ქაღალდივით გატყიცინდა.

ნეილონის მოკლესახელოებანი პერანგი პირდაპირ შიშველ ტანზე გადავიცვი, ქამარი მაგრად შემოვიჭირე და სარკესთან შევეტრიალდ-შემმოეტრიალდი.

ბავშვები შემომეხვივნენ.

კითხვით არაფერს მეკითხებოდნენ. გუმანით გრძნობდნენ, რალაც მნიშვნელოვანი საღამო რომ დგებოდა ჩემთვის.

მათი გაოცება მაშინ უნდა გენახათ, როცა ჯიბიდან დედის ნაჩუქარი ოცდახუთმანეთიანი ამოვაცოცე (უფრო, ცხადია, ის გაუქვირდათ: ბებია თავულოს როგორ დავმალა ფული).

შემდეგ ღობეს გადავევლე და ჯიბეში თხილი ჩავიყარე.

ეს კი წარმოუდგენელი სითამამე იყო: ასეთი რამის ნებას ბებია თაფლო საერთოდ არ გვაძლევდა.

მოპირდაპირე ეზოში დაფინოს თეთრი კაბა აცურდა.

ჭიშკრისაკენ მივდივარ, თან არხეინად თხილს ვაკნატუნებ.

— დამაგვიანდა, ჩემი სიკვდილი! — ამბობს შემკრთალი ხმით და თითებს მოუსვენრად აწვალებს. — თინას დავუცადოთ, ფეხსაცმელს იცვამს... დედამ მარტო არაფრით არ გამიშვა... ისიც მითხრა, მამას სახლში დახვდიო.

— მოვასწრებთ მერე? — გულდაწყევტით ვთქვი მე. — თქვენთან ხომ კინოს არასოდეს დროზე არ იწყებენ.

— რას იზამთ, — აფაფხულა გრძელი წამწამები დაფინომ და თავისი ყუჟუნა ცისფერი თვალები მწყურალად შემომანათა. — თქვენსავეთ ყველა ქალაქში ხომ არ იცხოვრებს!

— დაფინო... დაფი... აბა რას ამბობს!.. მე ეს ისე... ხომ იცი როგორ მიყვარხარ!..

— ნანა! — შეიბუტნა მარცხენა ლოყა თავისი გრძელი თითებით და შემ-

კრთალმა მიიხედ-მოიხედა. — ვინმე გაივინებს... სსსუ... სსსუ... აგერ ბებია
თაფლო!

იმავ წუთს გაევიგონე ნაცნობი მჭახე ხმა:

— ჯილაგი გაწყდა თქვენი, ჯილაგი!.. კობტაობის მეტი აბა სხვა რა იცით!
თხილით სავსე მუჭი უნებურად უკან წავიდე.

— დრო იშოვე ხომ?.. ამ წუთს დაყარე, მე შენ გეუბნები!

სიბრაზით შემართულ ხელს მხოლოდ უკანასკნელ წამს შევუცვალე მი-
მართულება და ფიცრის ღობეზე თითქოს სეტყვა არაკუნდა.

დაფინო თავის ეზოში შევარდა.

დიდხანს ვიდექი ერთ ადგილას დარეტიანებული, ბრაზით აცხცახებული...

ბებიას საქციელი არც ბავშვებმა მოუწონეს. როგორც მე, იმათაც ვახშმი-
სათვის ხელი არ უხლიათ.

— ჭირი ჭამეთ, ჭირი! — უფრო გაკერბდა მოხუცი. — თოფურისა ქალი-
არ ვიყო. ჭკუა თუ არ გასწავლოთ!

მეორე დილით ჩვეულებრივზე უხვი სუფრა დაგვხვდა გაშლილი.

იქნებ გგონიათ — ჩვენი გულის მოსაგებად...

სრულებითაც არა!

ბებია თაფლო საშინელი ძუნწი კი იყო, მაგრამ არც შენსას შეირჩენდა.
რასმე. წუხანდელი ვახშმისათვის საუზმეც წაემატებინა და მეტი არაფერი.

ბავშვები ისე ცმუკავდნენ, თვალები ისე ხარბად გაუბრბოდათ სუფრისა-
კენ, გამჯობინე ეზოში გაგსულიყავ.

ბებია თაფლომ რამდენჯერმე გვერლით ჩამიარა, მაგრამ ზედაც არ შემო-
მხედა.

ამან უფრო გამაღიზიანა.

მინდოდა რაღაც ისეთი ჩამედინა, ბოლმა გულიდან ამომერეცხა.

ეს სურვილი უფრო მომერია, როცა ნასაუზმევს ბებია თაფლო და ელიკო
წისკვილში წავიდნენ.

კარგა ხანს ვერაფერი მოვისახარე. მართალი ვითხრათ, შიმშილისაგან გუ-
ლი მიმდიოდა, თავი მიბრუოდა.

ბავშვები აივანზე შეჯგუფულან გასუსულნი, თავჩაღუნულნი.

— თხილი ხომ არ გინდათ? — მივედი ბოლოს მათთან.

ასეთ კითხვას, ცხადია, არაფრით ელოდნენ. ერთი კი შემომხედეს წარ-
ბებს ჭკემოდან და ისევ თავი ჩაქინდრეს.

— ჰო, რას იტყვით?.. მე მგონი ნასაუზმევს ცუდი არ იქნება.

ვინც იჯდა, ადგა.

ვინც იდგა, დაჯდა.

სითამამეს თუმც ვერცერთი ვერ ამქვადუნებდა, მჯეროდა ამყევბოდნენ.
თუნდაც იმიტომ, ჩემთან ცოტა უპიროდ იყვნენ.

— მომყევით! — წამოვიძახე და ბებია თაფლოს ნაშიერებს სათხილესა-
კენ გავუძეხი.

— აივანზე ჯიბეები, უბეები... გადამალეთ სადაც შეგიძლიათ, რამდენიც
შეგიძლიათ! — ვაქეხებ მათ და თხილის შტოებს გააფთრებით ვბღღენი.

ნამდვილი რბევა გაჩაღდა.

ამდენ ანთებულ, კმაყოფილ სახეებს რომ შევხედე, გადავწყვიტე ბავშ-
ვები შემდეგი ხეხილისათვის შემესია.

უცებ ატყდა:

— ელიკო!

— ელიკო!

— ელიკო მოვიდა!

ალაგესთან მართლაც ის იდგა. ეტყობოდა ერბინა. მკერდი აუღ-ჩამოუდი-
ოდა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ სულს ვერ იბრუნებდა.

ჩემი გაბედულება ერთბაშად გაქრა. ბებია ახლოს დავიგულე.

— ასეც ვიცოდი! — ამოილაპარაკა ბოლოს გაგუდული ხმით და გაოფ-
ლიანებულ სახეზე მკლავი ჩამოისვა. — ბებია მართალი ყოფილა, შუა გზი-
დან რომ მომამბრუნა... მოასწარით ხომ?.. ეს რა გიქნით, თქვე საძაგლებო!

ბავშვები ერთმანეთის ზურგს ეფარებიან. ბებია თავლოს შემდეგ ყველა-
ზე მეტად ჩემი დის ერიდებოდათ. ელიკო ხომ ბებიას მარჯვენა ხელი იყო..
თანაც მერვე კლასში გადავიდა...

ელიკომ თხილის დაბურდნული შტოები მისწი-მოსწია. ყველანი აქ იყ-
ნენ, უკლებლად: მადალი, აწოწილი მიტო გრძელი, წაწვეტებული ცხვირით,
ზედმეტსახელად „ყლინჩი“, დაბალი, ჩამრგვალებული ნიკა, „გაბეყილს“ რომ
ეძახით; თავდიდა გიგლა — „ბუ“, წითური თმითა და ჭორფლიანი სახით, ბე-
ბია თავლო „უჭიშოსაც“ ეძახდა, ჩვენს ნახირს საიდან შემოერიო, თმასუ-
კუჭა, გამხდარი დათო — „ჩინკორა“.

ყველაზე პატარების — პირველკლასელ მაიასა და ნანულის ზედმეტსა-
ხელები კიდევ არ იყო დადგენილი. ნიკა „მუნჯებს“ ეძახდა, რადგან მათს ხმას
მართლაც იშვიათად გაიგონებდით, მიტო კი „ტყულებს“ — სულ ერთად არ-
იანო.

ელიკომ მზერა ბოლოს ჩემზე შეაჩერა:

— როსტომ!

— მოკეტე!

გიგლამ და ნიკამ გაიციინეს.

— რას იჰყანებით, — აბილბილდა ელიკო. — ბაცაცას აყოლიხართ და
კიდევ იცინით?!

— ბაცაცა სხვანა მოიკითხე, — გავცხარდი მე. — ბაცაცა და ქურდი
იპარავს... მე კი ყველას დასანახვად გავაკეთე, ჯინაზე... ჯერ სადა ხარ!.. ხვალ
უარესს ვიზამ... ჩემია და ვკრეფ, შენ რა გესაქმება!.. გუშინდელი ბავშვი კი
არა ვარ, ჭკუას გკითხავდე.

— ამათ რომ აიყოლიებ, ბავშვი ხარ, აბა არა?.. ყანჩა!

— ასე იყო საჭირო, — ხმას ავუმაღლე უფრო. — შენ თუ გგონია, მარ-
თლა თხილი მინდოდა... ძუნწს ასე ეკუთვნის!

— ოჰო! — ჩაიციინა ელიკომ. — ბებია ტყვილად გგონია ძუნწი.

— ერთი სხვებს ჰკითხე?

— ვის სხვებს?.. ამათ?! — ტუჩი აიბზუა ელიკომ და ნიკას ხოტორა თავ-
ში ჩაუბარტყუნა.

— რას იცემები, შე მწყერჩიტავ! — შეუღრინა ნიკამ. — ბებია რომ ძუნ-
წია, შენც კარგად იცი... არაფერი ემეტება ჩვენთვის... აგერ საწყალ როსტომს
ორი დღეა არაფერი უჭამია.

— ჰამოს. ვინ უშლის მერე!

— ჰამოს თუ არა, დიდ რამეს კი გვაჭმევს. — წაეშველა ნიკას მიტო. —

რაც დედა გაემგზავრა, კაკაო ორ-სამხელ დაგვალევინა... შოკოლადი სულ არ მოუტკია... ჩემოდნები კი ვატენილია.

— ნეტავ ვიცოდე, ვის უნახავს.

— შენ და მიტო ლორმუცელები იყოთ, ბებიასი რა ბრალაია. გაბეყილი!

— ელიკო, თავი დამანებე, თორემ გაგაბრტყელე ტყლაპივით!

— ვერაფერსაც ვერ მიზამ.

— კი!

— ვერა!

— უპ, — ნიკამ მკერდი წამოზნიჭა, მაგრამ რომ არავინ წააქეზა: წაიბუზღუნა: — მწყერჩიტა, ბებიას კული!

— შენ ყოველთვის ბებიას ამართლებ, ელიკო. — ჩაერია ლაპარაკში გიგლა. — ის კი არ გესმის, ადამიანი სოფელში ყოველთვის უკეთეს მადანა... ქალაქში მაძალებენ და არ მინდა, აქ კი ყველაფერზე ნერწყვი მადგება... მია-სა და ნანულის კიდევ ჰო, შეიძლება ყოფნიდეთ... ჩვენ... ჩვენ კი...

— მე მყოფნის, ტყუილს რატომ ამბობ! — გამოეშალა დათო.

— მეც! — წამოიძახა ელიკომ.

— კარგი... როსტომსა და ნიკაზე, მიტოზე რაღას იტყვი?

— ჩემს ამბავს შენ არავინ გკითხავს, — რატომღაც გული მომივიდა, გიგლა რომ გამომესარჩლა.

— ბუ თავგასიებულო! — ენა გამოუყო ელიკომ. — როდის იყო ჭადი და პური გვაკლდა.

— საქმე შეჭამაღია.

— ამდენ ხალხს ძროხა მინც უნდა! — წამოიძახა ნიკამ.

— სამაგიეროდ ყველს ვყიდულობთ... თხის რძეს კი გვასმევს... თხის რძე ძალიან მარგებელია...

— ნუ იცი დაჩემება, ელიკო!.. აბა რა არის თხა?.. ერთი კიყნა, სასაცილო ცხოველი... ორ ბოთლს ძლივს იწველებს... ძროხა კი სულ სხვა საქმეა.

— ჰო, ჰო, ჰო! — გაიცინა ელიკომ. — ამ ჩხინკორას დამიხედეთ ერთი. მერედა ძროხას ვინ მოუვლის, შე ჭკუის კოლოფო!.. ხომ ხედავ, ყველაფერი ბებიას კისერზეა.

ლაპარაკში მარტო სამნი არ ვერევი: მე — ყველაზე უფროსი და ყველაზე უმცროსები — მია და ნანული.

მე უფრო მოულოდნელობამ დამადუმა: რამდენი წყენა ჰქონიათ ჩამარხული გულში ამ ზღიპარტლებს. აღარ მსიამოვნებდა, ამ ლაპარაკს რომ ვუსმენდი. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. საბაბი ხომ მინც მე მივეცი. თან ცნობის-მოყვარეობა მძლევედა — მინდოდა ბოლომდე გამეგო ვინ რას იტყოდა.

— ბებია თავლო საათსაც კი არ უჭერებს, — წამოიწყო კვლავ გიგლამ. — ვეუბნები, ბები, ოთხი საათი გამხდარა, სადილობის დროა... ყურსაც არ იბერტყავს... მხოლოდ კიბისაკენ გაიხედავს... ცაცხვის ჩრდილი კარგად თუ არ მიადგა ზედ, სადილს არ გადირსებს.

— ეგ ნიკა გაბეყილის ბრალაია. — არ ცხრება ელიკო. — საათის ისარი რომ ორჯერ წინ გადასწია, ეგონა ვერ მიუხვდებოდნენ?! ბებია თავლოს თქვენისთანა მატრაკეცები ვერ მოატყუილებენ.

— შენ იმასაც იტყვი, ბებია თავლო კრუხთანაც მართალიაო, — წამოენთო ნიკა.



— დაიწყებს კიდევ!

— შინაურ ფრინველს, ერთი მითხარი, ასე რომელი ადამიანი ექცევა! ყოველდღე ცივ წყალში აბანავენ... მერედა რისთვის?... უნდა თუ არა, ისევე რცხი წამოიწყოსო.

— საწყალი ქათამი!.. რა სანახავია, კარდალიდან რომ ამოიყვანს, — გულს იჩვილებს დათო.

— ხორცი სულ გალურჯებული აქვს...

— წყალი წურწურით ჩამოსდის...

— საცოდავად ცახცახებს...

— ფეხზე ვერ დგება. — გაისმის ყოველი მხრიდან.

— მერედა რა არის კვერცხი? — გამოცოცხლდა ნიკა. — ერთი ყლუპი!.. მორჩა!.. ქათამი კი მთელი სიცოცხლეა... ხომ შეიძლება ამდენ ბანაობაში გაცივდეს, ანთება დაემართოს და მოკვდეს... მერედა რისთვის?... რალაც ერთი კვერცხისათვის.

— სულელობ! — სახე შეჭმუნხა ელიკომ. — ქათამი მარტო კვერცხს დებს, შე გაბეყილო?.. რატომ გავიწყდება, კვერცხიდან რომ ისევ ქათამი იჩეკება.

— არა, წიწილი. — გაუსწორა ნანულიმ.

— რაკი ქათამია, არ უნდა გეცოდებოდეს ხომ?

— რომ კლავთ, მაშინ რატომ არ გეცოდებათ?.. ერთმანეთს ეცილებით, არა მე დაკლავ, არა მეო, — ნიშანს უგებს ელიკო. — კარგადაც მიირთმევთ.

— გამოდის, მარტო ელიკოა მართალი ყველაფერში. — გაგულსდა მიტო. — შენ არ იყავი, რომ საყვედურობდი, ბებია თაფლო ნამეტანს გვამუშავებსო?!

— ის აღრე იყო, სანამ მივეჩვიეოდი. შე ყლინხო!

— კი, კი... ელიკომ სწორედ ასე თქვა. — უდასტურებს გიგლა. — ისე მართალი კია... ბებია თაფლო ხან ბოსტანს გვაბარებინებს, ხან სიმინდს გვათხინინებს... ჩვენ სად შეგვიძლია ამდენი მუშაობა... როდისღა დავისვენოთ... როცა შევჩვიეთ, კინაღამ დაგვზოცა... უქნარებო, ზარმაცებო, კიდევ რალაც გვითხრა...

— კულაბზიკა აზნაურის ნაშიერებო.

— ჰო, ჰო!.. სულ სალანძღავე სიტყვები გვიძახა. თქვენგან ან ხალხს გა-მოვიყვან, ან ხელში შეგიკლავთო.

— თქვენ გგონიათ, ყველაფერში ვამართლებ! — ცოტათი მოლბა ელიკო. — ხომ გახსოვთ რა უთხრა დამამზადებელს... რამდენჯერ მოაკითხა იმ კაცმა, ხილი მთავრობას ჩააბარე და ფულს ერთად მოგცემითო... ეზოშიც არ შემოუშვა... ჩემს ქონებას მე თვითონ მოვუყელიო... მართალი იყო ბებია? არ იყო მართალი!.. მთელი სოფელი თუ აბარებს, ბებია ვინ ყოფილა... ყოველ კვირადღე მანქანით დატრიხინობს ამ ხნის ქალი... ყიდდეს მაინც!.. ნახევარი ისევ უკან მოაქვს... მეძვირეა და იმიტომ... გგონიათ არ ვუთხარი?.. თქვენსავით ზურგს უკან კი არ ვლაპარაკობ.

— ხომ ხედავთ! — გამარჯვებულის სახით გადახედა ნიკამ ბავშვებს. — იმდენი ხილი კალათებში ფუჭდება, ჩვენ კი გვენატრება... ხიდან რომ ჭიიანი ვაშლი ცვივა, იმასაც არ გვენებებს ჩვენს გემოზე.

— ასეთი ძუნწია, — ასკვნის გიგლა. — ავიცაა. მეზობლის ბავშვებს ეზოში არ უშვებს... კოინდარს გამიფუჭებენო.

— ისიც კი თქვა, — დასძინა მიტომ, — ჩემი ჭირი და დაღსინება მე ვიცი, არ მინდა ქვეყანა პირში მიყურებდეს, ლუკმას მითვლიდესო... აბა! — იმიტომაც არავის უყვარს...
 — მთელი სოფელი ბებიაზე ლაპარაკობს...
 — რამდენი ემდურის. — აზორიალდნენ ბავშვები.
 — აი დღესაც საფქვევი თვითონ წაიღო, — ამბობს ნიკა. — ჩვენ არ გვნდობს. ავიგდებენ, ზედმეტ მინდს აგართმევენო... იაგორა მეწისქვილეს სულ ტყუილად ეჩხუბება.
 — მერე რა კეთილია ბაბუა იაგორა! — უდასტურებს მაია. — ისეთი კარგი ზღაპრები იცის, ისეთი...
 ალბათ, დავა კიდევ გაგრძელდებოდა, ელიკო უცებ რომ არ ატირებულ-ყო:
 — თქვენ ყველანი საძაგლები და უმადურები ხართ... უმადურები!
 ამის შემდეგ ხმა არავის ამოუღია.
 თითო-თითოდ გაილაღნენ.

ბებია თაფლომ, ცხადია, ყველაფერი გაიგო.
 დღე დღეს მისდევდა, მაგრამ საკვირველი ის იყო, არაფერს გვეუბნებოდა. თავის ტკივილს უჩიოდა მხოლოდ. შუბლიდან არ იცილებდა კეყერა ფხალის ფოთოლს.

იმ დილით ჩვეულებრივზე უფრო ადრე გამეღვიძა. ბავშვები კვლავ ნებიერად ფშვინავდნენ.

ეზოში გამოსულს, ბებია თაფლო ალერსიანად შემეგება:
 — ადექი, შენ შემოგველე?!
 — კარგად გეძინა?!
 — რაიმე ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს?..

უჩვეულო და სასიხარულო იყო ასეთი სიტყვების გაგონება, თუმცა გარეგნულად ბებია თაფლო კვლავ პირქუშად გამოიყურებოდა.
 — ერთი აქეთ მოდი. ბებია გენაცვალოს! — მითხრა ბოლოს.

სამზადს რომ გავუსწორდით, ბაბუა თაყას ნაქონი ძველებური, ყამასავით გრძელი, ნახევრად დალეული დანა გამოაძრო კედლიდან და ხელში მომაჩეჩა:
 — აბა, როსტომ, რას ინებებთ ამ დილით!.. ღორი დაკვლათ თუ თიკანი!.. იქნებ შემწვარი ქათმები გირჩევიათ... თქვი, ჰო, ნუ გერიდება!

ვერაფერს მივხვდი.

გაკვირვებულმა ქართისაკენ გავიხედე: აწრიალებული ღორი აქეთ-იქით აწყდებოდა ღობეებს. თხა და თიკანი გამუდმებით კიკინებდნენ, თითქოს ბებიას ესაყვედურებოდნენ, რატომ აქამდე არ გვიშვებთო.

ჩემი შურა ახლა აქვე ლაფაროში თავდაღმა დამხობილ დიდ კალათზე შეჩერდა. ამ ძველ სიმინდის კალათს ზემოდან მძიმე ქვა ედვა, შიგ კი ქათმები კრიახობდნენ. ჩვენს ახოვან, დეზებიან მამალს კალათის გარღვეული ძირიდან ამოუყვია გვერდზე გადაკეცილი ჯილით დამშვენებული თავი და ცნობისმოყვარეობით მათვალაიერბს.

— ჰო, რას ჩავივარდა ენა! — მეუბნება ბებია. — გინდა ორივე ერთად იყოს... შეგიძლიათ ქათმებიც წააკლათ ზედ... მე რა მენადლეება, ჯაფა თქვენ

დავადგებათ... თუ მარტო ვერ მოერევი, ნიკა და გიგლა დაიხმარე... ძაბუნებ
გაპუტვას არ დაგამადლიან.

ამ მოულოდნელ გულუხვობაში, ერთბაშად სრული უფლებების მინიჭება
რაღაც დამცინავი და შიშის მომგვრელი იყო.

გავშარი, დავიბენი, მოსაზრების უნარი წამერთვა.

ვდგავარ გაშეშებული და ფეხს ვაწვალებ.

— ჰო, რას ჩაგიწყდა ხმა!.. ძალიან კი ადვოკატობდი თურმე?! ჩვენთვის
არაფერი ემეტებაო... ა, ბატონო, ყველაფერი თქვენთვის დამითია!

გახუნებული, თეთრად დაწინწკლული სატინის შავი კაბის კალთა აიწია
და მეორე ასეთივე, უფრო გახუნებული კაბის კალთაზე მიკერებული ჯიბიდან
გასაღების აცმა ამოიღო, ხელში შეაჩხრიალა და გადმომიგდო:

— აიღე!.. გააღეთ ზანდუკი, ყველა უჯრა... ნახეთ ერთი, რას ინახავს
სულგაძაღლებული თქვენი ბებია კუბოში ჩასატანად.

— რა ამბავია, ქალო! — გაისმა ამ დროს.

ჩვენი ცეცხლის მეზობელი იყო ელბიტე.

— ღორი დამიკალი-მეთქი, მარა პატიჟობს.

— არ გადამრიო, ბეჩა!.. მაგი მაკეთ გყავს მგონია და კლავ?

— თხა ინებონ, ბატონო, თიკანი!..

ელბიტეს სახე მოედრიცა და, ცოტა არ იყოს, შიშნაჭამი თვალებით აათ-
ვალ-ჩაათვალეირა ბებია:

— კაი, თუ გიყვარდე ერთი!

— მართალს გელაპარაკები, დედის სული ნუ წამიწყდება...

შვილიშვილებისათვის თურმე არაფერი მემეტება... მე კი ვეუბნები: ყვე-
ლაფერი თქვენია, რაც გინდათ, ის ქენით-მეთქი... ამ სახლს ხედავ? — კვლავ
მომიბრუნდა ბებია თავლო. — დარბაზი დედაშენისაა... ერთი ქალიშვილი
მყავს და დარბაზი ვაჟიშვილებს ვერ დავუთმე... აწი შენ და ელიკომ ჩიბა-
რეთ... წინა ოთახი მიტოს, გიგლასა და მაიას ერგებათ. მამის წილია... უკანა
ოთახი საკუჭნაოთი კიდევ ნიკას, დათოსა და ნანულისათვის დამილოცია...
რას იტყვი?.. ხომ არაფერზე გაკლია გულს... იქნებ სულ არ გინდათ... ა, ავერ
მაშინ ნავთიანი კოჭობი!..

— თავლო ქალო, ნუ გადარიე ბიჭი, რა მოგივიდა!

— იქნებ ჩემი არ ჯერა, მაშინ შენ უთხარი ელბიტე... უთხარი, მაგი ყვე-
ლაზე უფროსია და გაიგებს, რამდენჯერ დამიხსნია ეს სახლი... ერთხელ ასუ-
ლან თუ ორხელ ზედ ოსტატები, როცა მე და ჩემს ბავშვებს გვიჩინავდა... მა-
ინც არ დავარღვევინე... ყოველთვის რაღაც მომიხერხებია, თაყს ვალი ვადა-
მიხვდია, შვილები ცის ქვეშ არ დამიყრია ქვეყნის სასაცილოდ...

— გადამრევს ეს ქალი და აგია, ა!

— გადარევით მაშინ უნდა გადავრეულიყავი, ჩემო ელბიტე, ამ ოჯახში
რომ შემოვედი... ჩემს ცოდვაში რას იდგამდა ფეხს... განათლებული ცხოვრება
უყვარდა და ქეა ვეგრ სულგანათლებულად, ჩემი შვილებისა და შვილიშვილე-
ბის კარგად ყოფნით... შენ მაინც ხომ იცი, ელბიტე, ერთი თეთრი დღე არ მი-
ნახავს იმის ხელში... ცალი ხელით რომ აკვანს ვარწევდი, მეორეთი თოხს ვა-
ცოდვილებდი... თვითონ ქე იჯდა ჩრდილში, მთელი დღე გიტარას აპუტუნებდა.

— რათ გინდა ახლა მაგი ამბავი!

— მე არც არაფრად... ენაზე გენია მეკიდება, სულს ვიწყმედ. მარა ამან

მაინც უნდა იცოდეს... რაც არ უნდა იყოს, უფროსი შვილიშვილია... მეტი ვინაა...
იცის რას არ მომიგონებენ... ყველამ ხომ არ იცის, როგორი სიმწრით მწვავე
გამოზრდილი შვილები... ის მაინც გემასსოვრება, ელპიტე, აბრამა ურისაგან
კვერცხსა და ბუმბულში აღებული, კაპიკ-კაპიკობით ერთმანეთზე დაწებებუ-
ლი შვილივით ფული რომ ჩავაბარე ერთხელ, სახალწლოდ ბავშვებისათვის
ჩიტი ამომიტანე აბაშიდან-მეთქი... ჩემი ნასისხლარი დუქანში ჩატოვა... ერთ
ეტლში რომ თვითონ იჯდა, მეორეთი თურმე ბოხოს დაატარებდა ქუჩა-ქუჩა...
გარედან მტერს უვსებდა თვალებს, შიგნიდან — მოკეთეს... არ უნდა ვთქვა ავი,
ელპიტე, არ უნდა ვთქვა?! გამამტყუნე რამდენიც გინდა!.. რათ მინდა პირფე-
რობა...

— ვიცი, არ ვიცი?! — ხმა აუჩქროლდა ელპიტესაც.

მესმოდა და მივივრდა.

ნუთუ ჩემი ფაფუკწვერება, ლამაზი ბაბუა, ყოველთვის კონტად შეკერილ
ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარი, მუდამ მხიარული,
თავახიანი და ალერსიანი ბაბუა თაყა იყო ამის მოქმედი!..

სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი.

— ჰოდა გამწარდა, უბედო გახდა თოფურის ქალი... ოდესმე ჩემს გვარსა
და ჯილაგს მოსწრია: გაუგონია?! სულ ამათთვის... ახლა კი არ მოვწონვარ...
ხედავ: ელპიტე, როგორ დაფასდა ჩემი ამაგი და ქალობა?! ფინთი და ავი ბო-
ლოს მაინც მე გამოვდექი... სხვა ყველა კარგია... ფიჩხი რომ არ გადმოუბრუ-
ნებია სიცოცხლეში, იმისთანა ხალხის ყბაში ჩავვარდი... მარა ნურას უყაცრა-
ვად!.. მტრის ჯინაზე არ გავტყდები, თუ ვყოფილვარ თოფურის ქალი!.. სანამ
სული მიდგას, ამათ არაფერს დავუკარგავ და მერე ყველას მშვიდობის გზა
ჰქონია, ია და ვარდი ფენია!..

გაოცებული, აღტაცებული შევყურებდი უბრალო, თეთრად დაწინწკლულ
სატინის შავ კაბაში გამოწყობილ ტანმორჩილ მოხუც ქალს, რომლის პირქუშ-
ქორულ რკინისფერ სახეს რაღაც უჩვეულო სინათლეს ჰვენდა უკვე მიმქრა-
ლი, ცრემლით ავსებული, მაგრამ ჯერ კიდევ მჭრელი თვალები.

და იმავ წუთს ვილაც იდუმალი ხმით შემეკითხა: „რა იქნება ბებია თაფ-
ლოს შემდეგ?.. ვინ მოუვლის, ვინ უპატრონებს, ვინ განახლებს ამ ძველ ბუ-
დეს?..“

„ცხადია, ვინმე ჩვენთაგანი!...“

„მაინც ვინ?..“

უნებურად მოპირდაპირე ებოსაკენ გავიხედე.

არ ვიცი ნამდვილად, არ ვიცი მომელანდა, თვალწინ აღივლივდა თეთრ
კაბაში გამოწყობილი დაფინო, და არსებაში ვილაც ისევ აჩურჩულდა:

„ჩვენ ერთად ვართ... ჩვენ აქა ვართ... ჩვენი ბუდე მოუშლელია!...“
გული შეტოკდა და თითქოს ერთბაშად დასრულდა ჩემი ბავშვობა.





გიორგი საღუჯვეძე

გ უ რ ი ა უ ი

გურიაში მივალ, მარა...

ხალხური

7777

ვარდს ფუტკარი დახვევია,
თაფლისათვის ნექტარს პარავს.
აკაციის ყვავილები
თეთრი ფიფქით ფარავს შარას.
შორიდანვე დავინახავ
კრამიტთან პაპას მარანს.
მეზობელმა ვაზი გასხლა,
ახლა ბაღს და ბოსტანს ბარავს.
ამ ჭიშკართან წყარომ წყალი
ას წელიწადს აწანწყარა.

საყვარელი ეზო ვიცან,
მოლობილი შქერის ღობით.
ამ შარაზე ახლაც ციცა
პირმოტეხილ დოქით მორბის.
მოღზე დახტის ბიჭი პაწა,
ხელთ უჭირავს ალვის ტოტი.
სამზადიდან კეცზე დამწვარ
წაბლის ფოთლის სუნი მოდის.

ისევ მესმის კრიმანჭული —
ქარო, ნუ ქრი, იყავ წყნარად.
ბავშვობიდან არასოდეს
გული ასე არ დამტკბარა.
გურიაში მივალ, მარა
სული წინ-წინ გაიბარა.
შორიდანვე მოვკარ თვალი



კრამიტინ პაპას მარანს.

აკაციის ყვავილები
თეთრი ფიფქით ფარავს შარას.

ბერძნის წყარო.

როცა ცხელია ტაროსი,
ბული ტრიალებს ირგვლივ.
შხეფები ბერძნის წყაროსი
სიცოცხლის ფასად მიღირს.

უაზი თხმელაზე გასული,
მაისის ღარით ხარობს.
წყაროსთან მიდის ასული,
კისკისა, როგორც წყარო.

იქვე ღიაა ჭიშკარი
ეზოში ბალი, თუთა...
ვინც გურიისკენ იჩქარის,
აქ შეისვენოს უნდა.

მგზავრი შეიტკობს ამ ფერებს,
სულს ნეტარებით იესებს.
წყაროს წყალს შესვამს და მერე
პეშვით შეისხამს პირზე.

სხივებზე აციმციმდება
ცის ამრეკლავი ქაფი,
კაშკაშა ჩქერში ცივდება
ღვინით პირსავსე ჩაფი.

ალარ იშლიან ქარები
ცაცხვის ფოთლების შრიალს.
ჩამუხლებული მგზავრები
წყაროსთან სამხარს შლიან.

შემდეგ ხმაური მიწყდება,
წყარო კი მოჩანჩქარობს.
წაველენ და არ ავიწყდებათ
ანკარა ბერძნის წყარო.

ვინ არის ბერძნის მნახველი?
ქვაზე წარწერაც არ ჩანს.
უცხო ოსტატის სახელი
მადლიერ ხალხში დარჩა.

მტერის კორიანტელი შარაზე დამდგარა
და წვიმას სოფელი ამაოდ მოელის.
ბალახიც გადასწვა აგვისტოს თაქარამ.
წყალს ეძებს, ჩრდილს ეძებს სულდგმული
ყოველი.

ბებერი ცაცხვი დგას რუს პირად მარტოკა,
რუ წინანდებურად არ ჰყვება არაკებს.
ხის ტოტზე არც ერთი ფოთოლი არ ტოკავს,
ნახირს და მწყემს ბიჭებს ჩრდილს მაინც არ
აკლვებს.

მინდორში დარჩენილს აროდეს შველიან,
რამდენჯერ ათოვდა, რამდენჯერ აწვიმდა,
ათევდა ღამეებს მეხიანს, ელეიანს,
არც ახსოვს, ფოთლები რამდენჯერ დასცვივდა.
გვალვიან მიწაზე ჩრდილი რომ გაფინა
და მწყემსი ბიჭები მიაწყუნენ გნისით,
თვითონ რომ ცის ქვეშ დგას — არც ჰერი, არც
ბინა,

ჩრდილს ვინდა აღირსებს ამ გაგანიაში.
რაც გაჩნდა, მას მერე სიკეთეს არიგებს,
მზეში და ავდარში მგზავრების მფარველი.
რაც გაჩნდა, ასე დგას, ივიწყებს თარიღებს
და სამაგიეროს არვისგან არ ელის.

ს ე ი ნ ე რ ე ბ ი

ზღვა გადმოისვრის ქაფიან ტალღას
და ბადესავით ნაპირზე გაშლის.
მიუხარიათ თოლიებს სადღაც,
სეინერები გასულან ზღვაში.
დაისი ზღვაზე ალიონს ხატავს,
ახანძრებულან მძიმე ზვირთები.
მეთევზეები იღებენ ნადავლს,
ბადეს დასცვივა მარგალიტები.
შემდეგ ენთება ცაზე ვარსკვლავი,
მაღე დაისი დახურავს კარებს.
ფრენით მოქანცულ თოლიასავით
მაღალ, ანძაზე ისვენებს მთვარე.



შოთა თორაძე

„კომკავშირელი“

გემბანზე არავინ ჩანდა.

არსენმა დასავლეთისაკენ დაცურებულ მზეს გახედა, საშტურმანოში შევიდა და გრძელი გაზომა. თითქოს შეცდომა არსად ჰქონდა, შედეგი კი ისევ არაზუსტი მიიღო. არსენი ჩაფიქრდა...

— როგორ არის საქმე, არსენ, — შემოესმა კაპიტნის უფროსი მოადგილის ხმა.

— განსხვავება მივიღე, ოთხი მილი. — თითქოს თავისთავს ელაპარაკებო, უხალისოდ მიუგო არსენმა.

უფროსი მოადგილე საზღვაო რუკას დააცქერდა.

— საიდან გამოთვალეთ?

— შუქურიდან.

— ქრონომეტრის შესწორება თუ გაითვალისწინეთ?

— აი სად დამიშვია შეცდომა. — წამოიძახა არსენმა და სახეზე აღმური მოედო.

„ისევ მივეცი სალაპარაკო. — უნებურად გაიფიქრა მან. — რამდენჯერ გავუკილავარ, პრაქტიკული გამოუცდელობისათვის მეტსახელიც კი შემარქვა „წმინდა თეორია“, დამცინის კიდევაც, რომ ჩემი თეორია პრაქტიკაში არ მართლდება“.

არსენმა დასავლეთს მიაპყრო მზერა. ნელი სიო საამოდ ელამუნებოდა სახეზე და გრუზა ხუჭუჭ თმას უწყეწდა. მოუსვენარ დიდრონ თვალეში ოცნების სხივი ჩასდგომოდა.

— ამხანაგო მორიგე მოადგილეე, რატომ არ ვუბასუსხეთ მისალმებაზე „ჩრდილოეთს?“ — მოესმა მეზღვაურის ხმა.

არსენი გამოერკვა, „ჩრდილოეთისაკენ“ გაიხედა და ანგარიშმიუცემლად დაიძახა:

— დროშა დასწით! — მაგრამ მაშინვე მიხვდა თავისი ბრძანების უაზრობას და უმალვე დასძინა: — არ არის საჭირო!

„რას იტყვიან „ჩრდილოეთელი“ მეზღვაურები? მით უმეტეს, რომ იგი

ჩვენი „მოწინააღმდეგეა“ სოციალისტურ შეჯიბრებაში. რამდენჯერ უნდა კაპიტანს, ვახტზე დგომის დროს, მოვალეობის გარდა, ყველაფერი უნდა ვიწყოთ.“ — ფიქრობდა არსენი.

— გაზომეთ ლიალებში წყალი! — გაჯავრებული ხმით უბრძანა მეზღვაურს, თითქოს მას კი არა, მეზღვაურს დაეშავებინოს.

მოულოდნელად დაბერა ქარმა. ლურჯ ცაზე აქა-იქ შავი ღრუბლები წამოიშალნენ. ქარი თანდათან ძლიერდებოდა. ღრუბლებმა მალე მთლად დაფარეს მოკამკამე ცა. წყლის ლურჯი სიღრმე კუბრივით გაშავდა, უცებ დააკრგის მიმზიდველი სილამაზე, რაც სულ რამდენიმე წუთის წინათ ჰქონდა. ვეებერთელა ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ.

დეღვა თანდათან ძლიერდებოდა. „კომკავშირელი“ სულ უფრო მეტად წვებოდა გვერდიდან გვერდზე. გემის რწვევის კრიტიკული ზღვარი რომ შეემცილებინათ, მეზღვაურებმა უფროსი მოადგილის დაყენებით გემბანზე დააწყვეს მანქანის მძიმე დეტალები, მაგრამ ძლიერი ტალღის გვერდული დარტყმა კვლავ ქმნიდა გემის გადაბრუნების საფრთხეს.

როცა უფროსმა მოადგილემ ტვირთი დამატებით გემბანზე დააწყობინა, არსენმა მას მორიდებით შეახსენა სიძიმის ცენტრის შესახებ. „თქვენმა თეორიებმა დამალა, ამდენი ხანია ვცურავ ყოველგვარი სიძიმის ცენტრის გარეშე, ახლაც როგორმე გავუძლებთ“, უკმეხად და გაჯავრებით მიუგო უფროსმა მოადგილემ.

ამ დროს ტალღა ისე მაგრად დაეჯახა გემს გვერდიდან და ისეთიარად გადააწვინა მარჯვნივ, რომ მისი გადაბრუნების მოლოდინში მეზღვაურებს სუნთქვა შეეკრათ. კრენომეტრის ისარი თითქოს კრიტიკული ზღვარის აღმნიშვნელი ხაზის იქით გადაიხარა. „ნუთუ ყველაფერი დამთავრდა?“ — გაიფიქრა არსენმა და გაფითრდა.

მაგრამ გემი თანდათან გამოვიდა ნეიტრალური მდგომარეობიდან და გასწორდა.

— გემბანზე დამაგრებული ტვირთი უნდა ავხსნათ და, თუ მოვახერხებთ, ზღვაში გადავუშვათ. — მიმართა კაპიტანმა უფროსს მოადგილეს.

— სხვა გამოსავალი ვცადოთ.

— მაინც?

— ლიუკი ავხადოთ და ტვირთი ტრიუმში ჩაენაცვლოთ.

— ასეთ ამინდში ეს შეუძლებელია.

კაპიტანის ბრძანებით, ერთი მატროსთავანი გემბანზე დაეშვა და ელექტროამწე მოამზადა.

ტალღები გაშმაგებით ეხეთქებოდნენ შეუპოვარ ჰატარა გემს. რამდენიმე მეზღვაური ერთმანეთს გადაება საზღვაო ბაგირით და გემბანზე დაეშვა, რათა იქ დამაგრებული ტვირთი ამწეით წყალში გადაეტყუორცნათ.

ის იყო მძიმე დეტალები ამწემ ჰაერში აქაჩა, რომ გემბანს ვეებერთელა ტალღა დაეცა და ერთ-ერთი მატროსი ზვავად მოვარდნილმა წყალმა გაიტაცა. მეზღვაურებს შორის ძრწოლამ გადაუბრინა სახეზე, მაგრამ საბედნიეროდ ბაგირი არ გაწყდა და მეზღვაური გადაარჩა.

უცებ გემი უჩვეულოდ შეირჩა, გამაყრუებელმა ხმაურმა ერთი წუთითა დაფარა გაავებული ზღვის ღრიალცელი. ფოლადის ბაგირი, რითაც ამწეს მანქანის მძიმე ნაწილები აეჭაჩა, გაწყდა. ტვირთი გემის გვერდს დაეცა, ჩაღეწა



და უფსკრულში ჩაინთქა. წყლის ჩანჩქერები შადრევნებად შეიჭრა ტრიუმფში. მეზღვაურთა ნაწილი შიშის ქრუანტელმა აიტანა, კაპიტანი კი ჩვეულებრივ აუღელვებლად იძლეოდა განკარგულებებს. მხოლოდ სახის კუნთების მოძრაობა და თვალების არაჩვეულებრივი ელვარება ამქდავნიბდა მის ნერვულობას.

— პლასტირით დაფარეთ დაზიანება, — ბრძანა კაპიტანმა.

ბოცმანი და რამდენიმე მეზღვაური დაეშენნ ქვემოთ, უმაღვე გამოიტანეს პლასტირი, მიადგნენ გემის გვერდს და დაიწყეს დაზიანებული ადგილის შეკეთება. ქაემორეული ტალღები გაშმაგებით ეხეთქებოდნენ გემს. როცა საქმეს მორჩნენ, თავიდან ფეხებამდე გაწუწულნი ავიდნენ საკომანდო ხილზე, მაგრამ დაღლასა და სიცივეს არავინ გრძობდა.

გემმა თითქოს შვება იგრძნო, მსუბუქად შეითამაშა და წინ გაიჭრა.

გემის ეკიპაჟმა შვებით ამოისუნთქა. ის იყო დააბირეს კაიუტებისაკენ წასვლა, როცა საკომანდო ხილზე გამოჩნდა რადისტი. იგი მიუახლოვდა კაპიტანს და ორად გაკეცილი რადიოგრაფა გადასცა.

— „ჩრდილოეთი“ შველას ითხოვს, — თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო, — თქვა კაპიტანმა.

უცებ ზღვაში მწვანე მუქი გამოჩნდა, რომელიც მალე წითელმა შეცვალა. „კომკავშირელზე“ მიხვდნენ, რომ „ჩრდილოეთს“ მანქანა გაფუჭებოდა და ტალღები მას ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ატრიალებდნენ.

რაიონში, სადაც გემები იმყოფებოდნენ, ბლომად იყო წყალქვეშა კლდეები, რაც ძლიერ ართულებდა დახმარებას.

კაპიტანი ჩაფიქრდა. „ამხანაგი გადაარჩინე, თუგინდ ეს გადარჩენა შენ სიცოცხლის ფასდაც დაგიჯდეს“, მეზღვაურის ეს ტრადიცია კარვად ახსოვდა მას და ახლა მისი გონება დაძებულად მუშაობდა იმის ცდაში, თუ რა გზითა და საშუალებით გადაერჩინა მეგობრები.

— გეზი „ჩრდილოეთისაკენ!“ — ბრძანა კაპიტანმა.

— არის გეზი „ჩრდილოეთისაკენ!“ — გაიმეორა მორიგე შტურმანმა და ბრძანება გადასცა მესაქეს.

„კომკავშირელი“ დაუახლოვდა „ჩრდილოეთს“.

— დაყოვნება საბედისწეროა, ტალღას ყოველ წუთში შეუძლია სვლას მოკლებული გემი დაღუბოს, — ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

მართლაც, გაავებული ზღვის სტიქიონი ჩაყლაპვით ემუქრებოდა „ჩრდილოეთს“.

— ოცი გრადუსი მარჯვნივ! — გაისმა კაპიტანის მკვეთრი ხმა.

„კომკავშირელი“ შეტრიალდა, შეტორტმანდა და გაეშურა „ჩრდილოეთისაკენ“. მანძილი მათ შორის სულ უფრო და უფრო მცირდებოდა.

— მე ვაღვეცემ ბაგირს, — წამოიძახა მემანქანე კრილოვმა და დააკვირდა სტიქიონთან ადამიანების ბრძოლას.

— ბაწარი მოიბი, ვასია! — მიაძახა არსენმა, მაგრამ კრილოვი უკვე შორს იყო და მისი ხმა არც კი გაუგონია. მან დასტაცა ხელი ლოვოსტს და სირბილით გაეშურა ავზისაკენ.

ამ დროს „კომკავშირელი“ იმდენად დაუახლოვდა „ჩრდილოეთს“, რომ დაჯახების მოლოდინში ბევრმა თვალებიც კი დახუჭა.

— საჭე მარჯვნივ! — გაისმა კაპიტანის ხმა.

გემი სწრაფად შეტრიალდა და, ის იყო „ჩრდილოეთისათვის“ გვერდით უნდა ჩაევილო, როცა კრილოვმა მოხერხებულად სტყორცნა ლოვოსტი. „ჩრდი-

ლოეთიდან“ მიიღეს პასუხი შუქსიგნალით, რომ ლოგოსტი აიღეს და უშვებდნენ.

როდესაც კრილოვმა ლოგოსტი სტყორცნა, ინერციით მარჯვნივ გადაიხარა და ვერც კი მოასწრო გასწორება, რომ ავზზე დაცემულმა ვეებერთელა ტალღამ იგი ადგილს მოწყვიტა და გაცოფებულ ზღვაში გაიტაცა.

ავზს საკომანდო ხიდიდან ორი დიდი პროექტორი ანათებდა.

— დაილუბა ჩვენი ვასია, — მწუხარედ ჩაილაპარაკა არსენმა, — აბა რას უშველი ასეთ ღროს!...

ფიქრის დრო აღარ იყო. მდგომარეობა სწრაფ და ენერგიულ მოქმედებას მოითხოვდა. საჭირო იყო ავზზე დამაგრებული ლოგოსტის ახსნა და მისი საჩქაროდ გადატანა კიხოზე.

სამინულებამ, რაც რამდენიმე წუთის წინათ დატრიალდა, მეზღვაურებმა წამით შეაერთო, მათ სახეებზე შიში და შეძრწუნება აღიბეჭდა, მაგრამ ეს იყო წამიერი დაბნეულობა, მხოლოდ წამიერი.

უცებ არსენი ადგილს მოწყდა და კიბეებით გემბანზე დაეშვა.

კაპიტანი მიუხვდა განზრახვას და მკვეთრი ხმით, რომელშიც ბრძანებასთან ერთად მამობრივი მზრუნველობაც იგრძნობოდა, მიამახა:

— არსენ ჯემალის-ძევე, ფრთხილად, ბაწარი მაინც...

აღარ დაუშთაგრებია სიტყვა, რადგან მიხვდა, რომ არსენის სმენამდე უკვე აღარ აღწევდა მისი სიტყვები.

არსენი სწრაფად აიჭრა ავზზე, ახსნა ლოგოსტი და კიხოსაკენ გაექანა. ის იყო მოასწრეს წყლიდან ბაგირის ამოქაჩვა და მისი კნესტებზე დამაგრება, რომ ტალღამ „კომკავშირელი“ ასანთის ყუთითვე შეათამაშა.

„კომკავშირელი“ ნელი სკლით გაემართა წინ. ბაგირი თანდათან დაიჭიმა. „ჩრდილოეთი“ უკან მოექცა და გემებმა განაგრძეს გზა აღებული გეზით. ისინი მიდიოდნენ ნელა, ძლიერ ნელა, ფოლადის მკერდით მიაბობდნენ მრისხანე ტალღებსა და ქარს.

„კომკავშირელმა“ მეგობრების წინაშე პირნათლად მოიხადა წმიდათა-წმიდა მეზღვაურული ვალი, მაგრამ ეკიბაეს მხიარულება არ ეტყობოდა. ყველა მძიმედ განიცდიდა მეგობრის ტრაგიკულ დაღუპვას.

გათენებისას ქარი ჩაღვა. ზღვა დამშვიდდა.

„კომკავშირელი“ ლალად მიაბობდა ლურჯად მოელვარე წყალს. არხად ღრუბლის ნაგლეჯიც არ ჩანდა ფირუზ ცაზე. ძლიერ შორს, იქ, სადაც აღმოსავლეთით ლაყვარდი უერთდება ზღვის უსასრულოდ გაშლილ სივრცეს, ამონათა ბრწყვილა მზემ.

მეზღვაურებმა „კომკავშირელიდან“ შეამჩნიეს „ჩრდილოეთის“ მიღწევაში ამონეტქილი სქელი შავი კვამლი, რაც მანქანის შეკეთების შემდეგ იცნა.

მალე საბუქსირო ბაგირიც შესუსტდა და კიდევ უფრო ღრმად ჩაიძირა ზღვაში. ყველასათვის შესამჩნევი გახდა, თუ როგორ ახლოვდებოდა „ჩრდილოეთი“. იგი გაუსწორდა „კომკავშირელს“. ანძაზე აღიმართა სანიშნო აღამი. გემები შეჩერდნენ. „კომკავშირელის“ ეკიბაეი გაკვირვებით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ უშვებდნენ „ჩრდილოეთიდან“ ზღვაში ნავს. როცა ნაფი დაახლოვდა, მეზღვაურებს ერთბაშად აღმოხდათ გაკვირვებისა და აღტაცების გამომხატველი სიტყვა:

— ვასია!

კრილოვი ტალღას „ჩრდილოეთის“ გემბანზე დაენარცხებინა. მეზღვაურებს დროზე შეენიშნათ იგი და კაიუტაში წაეყვანათ. მხოლოდ დილიტლეს მისი მოსულიერება.

„კომკავშირელის“ ეკიპაჟი აღტაცებული იყო ამხანაგის ასეთი სასწაულგბრივი გადარჩენით.

საკომანდო ხიდზე მდგომ კაპიტანს რადიოგრამა გადასცეს. მეზღვაურები სმენად იქცნენ, ახალი ამბის მოლოდინში სუნთქვა შეეკროდათ.

— ამხანაგებო! — მიმართა კაპიტანმა თავშეყრილ მეზღვაურებს, — სასიხარულო ამბავი მოგვიტანა ეთერმა. თქვენი მამაკური თავდადება საზღვაო ფლოტის მინისტრის მაღლობით აღინიშნა.

მეზღვაურთა სახეებზე სიხარულის ღიმილმა გადაიბინა.

ფლაგშტოკზე ამართულ სახელმწიფო ალამს კი გაეშალა ალისფერი კალთა, რომელსაც ზღვის ნელი სიო არხევდა. იგი ამაყად დაჰყურებდა გარემოს და თითქოს ამბობდა: „განა შეიძლება ასეთმა კოლექტივმა გამარჯვებას არ მიაღწიოს?!“





ველიძის სიღიზიანი

სამშობლო მიწა

კავკასიონი ცადაზიდული
და ამირანი იმისი მდგმური,
ვარძის ქვაბთა და ქართლის გულის
გადარჩენილი თითო აგური: —
ჩვენს საფიცარს და ალავს რომ იცავს,
ჟამით ჟამამდე თავს რომ იმაგრებს —
აი ეს არის სამშობლო მიწა
და სიყვარული — მისი სიმაგრე.

ტყის სუნთქვა, მისი გრილი ნიავი,
შავი ზღვა მარად მარილიანი,
აშორებული კაცის სიავე
გამარჯვებული გმირის სიამით —
ყველა ქართველი, ჭირში რომ ჰფიცავს,
ყველა ქართველი, ფეხს რომ იმაგრებს...
აი ეს არის სამშობლო მიწა,
და სიყვარული — მისი სიმაგრე.

ლაზური სიმღერა

მთელმარე ზღვაში ქანაობს მთვარე,
კვალდაკვალ მისდევს ჭაბუკი ნავით...
და კალმახივით მოქნილი მთვარე
ისევ უძერბა ბაღეში მალევით.

მთელმარე ზღვაში
მიტურავს ნავი;
მთვარე მიძერბა
ბაღეში მალევით.

ნაპირთან მოჩანს პატარა ქალი,
ზღვის მრუმე ტალღებს ადევნებს თვალებს,
ბიჭო, რად დასდევ სხვას გრძნობით მიფრალი,
გაღმა ლოდინით დაღალე მთვარე.

ნაპირთან მოჩანს
პატარა ქალი,
მთვარეზე ბადრი,
მთვარეზე წყნარი.

ზღვის მრუმე ტალღებს ადევნებს თვალებს,
კამკამა ზვირთი მუხლამდე წვდება.
შმაგი მენავე კვლავ მისდევს მთვარეს,
მთვარე კი ჩუმად სიცილით კვდება.

ნაპირთან მოჩანს
პატარა ქალი,
მთვლემარე ზღვაში
მიცურავს ნავი.

ჩვენი გვარი

პაპაჩემი, პაპის პაპა,
უსურათოდ დარჩენილი გვარი;
დავიწყებას ჩაუყლაპავს,
ვით ნაპირზე მიგდებული ნავი.

მაგრამ მათი ხასიათი
შვილიშვილთა სახეებში მოჩანს,
ჩვენები ხომ დღესაც ზღვით და
სიყვარულით ინახავენ ოჯახს.



იოსებ ჯორჯენაძე

ჩონგური

მახსოვს, პატარა ბავშვი ვიყავი, თეთრწვერა პაპა ჩონგურზე რომ სევდიანად ამღერებდა.

ერთხელ შევამჩნიე, პაპას ცრემლებით ავსებოდა თვალები.

მისი ცრემლები სიხარულისა იყო, ისეთი უსპეტაქესი და სუფთა, როგორც ბავშვობის პირველი ღიმილი.

იგი შეჰხაროდა ჩემს ბავშვობას და ახსენებოდა სილატაკეში განვლილი წლები.

ეუყურებ ჩონგურს და მახსენდება პაპა, თვალწინ წარმომიდგება ცრემლით საესე ჩემი წინაპრები.

ვინ იცის, რამდენი ხელი შეეხო ამ უბრალოდ გათლილ ხეს, რამდენმა ტკბილად ააუღერა!

ახლა კი მათ ნაცვლად ეს ჩონგური შემორჩა. ვინ იცის, რამდენჯერ დასწყვეტია სიმები... მაგრამ მაინც არ დაუკარგავს სინარჩარე, წელთა სიმრავლეს ვერ ჩაუკლავს მისი უღერა.

ახლაც მაქვს ეს ჩონგური და სათუთად ვინახავ მას, როგორც წინაპართა ძვირფას სახსოვარს.



ნორა ზამანაძე

ვიცხოვროთ, ვიყოთ ვალგადამხდელი,
უამრავი გვაქვს ვალი უვალო,
ვალი დაგვრჩება კიდევ რამდენი,
ქვეყნად რომ ბევრსაც გადაუხადოთ.
როგორ შევიძლებთ შენთა მშობელთა
სულ გავუნადლოთ დიდი ამაგი,
გზარდეს ამ სოფლის შემამკობელად,
როგორც მზისა და მთვარის ნაქარგი.
ჩემთვის გაგზარდეს დაუნანებლად,
დარდის სარქველი გულზე ამხადეს,
დღეს სიხარულო, ერთ დროს წამებავ,
ჩემო ხატო და ჩემო სახატევ.
მშობლები მეც მყავს... თავს

მეველებოდნენ,
მომცეს ხმელეთი, მომცეს მზისეთი,
ეს სიყვარული რომ შემძლებოდა,
შენ რომ შეგფერის, მართლა ისეთი.
თუმცა ხალისით გულებს ივსებენ,
სიბერის გზაზე უკვე მიდიან,
ვალი ვალადვე მრჩება ისევე,
ჯერ არაფერი გადამიხდია.
ვალი დაგვრჩება კიდევ რამდენი,
ქვეყნად რომ ბევრსაც გადაუხადოთ,
ვიცხოვროთ, ვიყოთ ვალგადამხდელი,
უამრავი გვაქვს ვალი უვალო.



ნონაკ ჯადაღონია

ამ მიწის მადლით

მზემ ველ-მინდორი მოიბალახა
და დაღლილივით მთებს იქით მიწვა.
თუ გული გიცემს, მოდი და ახლა
უსიყვარულოდ შეხედე მიწას.
ამ მთებს არ აკლდა ადრეც მეთარე,
ამ მზეს არ აკლდა ადრეც მესტირე.
ვუყურებ მთებს და ვერ ძღება თვალი,
ვუყურებ ცას და ბავშვივით ვსტირი.
ბევრს გააკვირვებს მიზეზი ცრემლის
და დამცინებენ კიდევ ამაზე.
ვიცი, სხვაგანაც — ისე ვით ჩემი —
მიწა და მთები არის ლამაზი.

ეს სილამაზე, ეს სიხარული
მოაწვა თვალებს, ვით ზვაფი ჯებირს.
თუ სისხლი გიდუღს, უსიყვარულოდ
საქართველოს ცას ვერ გადურჩები.
ვიცი, სხვაგანაც არის მერცხალი
და გაზაფხულზე იქაც მღერიან.

ვიცი, სხვაგანაც ჰყვავის მოცხარი
და ცა სხვაგანაც მტრედისფერია.
ვიცი, ჩვენს იქით სხვისი მთებია
და სიყვარულით იქაც დადიან.
სხვების მიწაც რომ შემყვარებია,
ეს მშობლიური მიწის მადლია.
ამ მიწას გულში რომ არ ვიკრავდე,
არ მიხაროდეს მისი ვარდობა,
საქართველოს ცა რომ არ მიყვარდეს,
სხვების ცა როგორ შემყვარდება.

ეს ბილიკი: ეს კორდები
ადრეც ბევრჯერ გვითელია.
ისევ ვნახოთ ის თელები,
სადაც ღამე გვითევია.

ეს მტრედი რას აღუღუნდა,
ტრფობაში თუ მეცილება.
ფეხის წვერზე ჩაუველი და
გულში ჩუმად მეცილება.

ყველას ყოფნის ცა და მიწა
სატრფიალოდ, სანაჯაროდ.
სიყვარულმა აგვამღეროს,
გულში ვარდი სანამ ვარდობს.

სანამ გული მთელი არის,
სიყვარული ახალია,

აგერ ჩვენი თელიანი,
ჩვენი წყარო მახარია.

ამ წყაროსთან მოგიტანე
გული სუფთა წყაროსავით.
ამ თელებთან შენზე ფიქრით
ჩამოვხმარეარ საროსავით.

შენი თვალის მოტრფიალე
ვერ ვცილდები სამაყვალს.
ტანლატანა წიფელები
ბიჭებს გვანან სამაყაროს.

არასოდეს დაგველიოს
ოცნება და სიხარული.
ია გვწვდება კოჭებამდე,
ყელამდე ვართ სიყვარულით.

მ თ ე ბ ს

რალა დავმალო, პირდაპირ ვიტყვი,
ბარზე გუნება მეცვალა სულ მთლად.
ქალაქის მტვერით დამძიმდა ფილტვი
და მინდა თქვენი ჰაერის სუნთქვა.

მომინდა თქვენი ღვია და ქუჩი,
ძარღვში მეც მიდულს მთიელის სისხლი.
ახლა ამ წადილს თუ გადავურჩი:
იმ წლამდე აღარ მივიტან სირცხვილს.

თქვენს წარაფებზე გავმართავ მუხლებს,
იქნებ გამომყვეს მეც თქვენი ძალა.
მთაში მარტო გულს ავუტან შურთხებს,
მაგრამ თქვენგან არ წამოვალ ცალად.

ცაზე ვარსკვლავებს მოთიბავს მთვარე,
ჯიხეები ღამეს გახევენ რქებით.
მზე დასწვავს ორბის სისხლიან თვალებს,
გაძლება გული სიცოცხლის ქებით.

ეს გული მხოლოდ სიცოცხლეს უმღერს,
თორემ სიკვდილი რა ძნელი გახდა.
რომ არ იკარებთ კისერზე უღელს,
მთებო, ამიტომ გიკოცნით კალთას.



გიორგი სანაღიკაძე

ს ა ზ რ უ ნ ა ვ ი

ერთს თეოფილე ერქვა, მეორეს — სილო.

ერთი ხნისანი იყვნენ, ერთ დღეს დაბადებულნი. დაბაში ამბობდნენ, ნახეთ მაგენი (ღმერთო შეგცოდე), თუ ერთ დღეს არ მოკვდებიანო.

ბერიკაცები კოდმესთან შეხვდნენ ერთმანეთს. კოდმე ფშალას ბურჩებით იყო დაფარული და მის იქეთ ხევი იწყებოდა.

სილომ სული მოითქვა და ჰკითხა, როგორა ხარო.

კარგადაო, — უპასუხა თეოფილემ.

„ჰო, დაფარე. დაფარე, გაუელვა სილოს, კარგად ვიცი, რომ ხველა განბრ-
ჩობს“.

— შენ როგორა ხარ? — ახლა თეოფილემ ჰკითხა. — ქალები ჭორაობენ. მუხლებში სისუსტე გაუჯდაო.

— სისულელეა! — ჩაიქნია ხელი სილომ. თან კი გაიფიქრა, რავე ყვე-
ლაფერში უნდა ჩარგოს თავი ამ ოჯახაშენებულმაო.

— შეიტყვე? წუხელი საშინელი ქარი იყო.

— ქარმა ასე იცის გაზაფხულზე. — თქვა სილომ.

— მაგრამ მე მიყვარს ქარი. ზიხარ შენთვის, აბოლებ, ქარი კი ჩაგსისინებს.
ნეტე ამალამაც იქნებოდეს ქარი.

ამასობაში ბერიკაცები ბოგაზე გავიდნენ, ხევი განვლეს და აღმართის ასა-
ვალზე შეისვენეს.

— ამ სიბერეში თბილისში უნდა გადავსახლდე, — თქვა თეოფილემ, სიძემ
მომწერა, ისეთი წამალი გამოუგონიათ, გაგაახალგაზრდავებს თურმე!

— გაგაახალგაზრდავებსო?

— ჰო, გაგაახალგაზრდავებს.

— ტყუილია.

— შე კაი კაცო, ახლა რაღაც თანამგზავრებს უშვებენ მზეზე და, გეტყვი, წამლის გამოგონება გაუჭირდებათ?

თეოფილემ ჩიბუხი ამოიღო, დატენა.

— გინდა? პა, თუთუნი მოსწიე, — შესთავაზა სილომ.

— გმადლობ, ვერ შევეგუე.

— შენ ისევ ისაკიასთან ყიდულობ თუთუნს?

— ჰო, ისაკიასთან.

— არ გირჩევდი, ამ ბოლოხანებში სიმყრალე დასჩემდა, თუთუნი კი არა, ხავსი გეგონება.

— მაშ, თბილისში მიდიხარ? — ჰკითხა სილომ.

თეოფილემ თავი დაუქნია. ჩიბუხი გააბოლა და გაიღიმა. მზიანი დღე იდგა და გორაკიდან ხელისგულივით მოჩანდა ზღვა. ზღვა იყო წყნარი და ლურჯი. კარჭაბი თუხთუხით მიიწვედა ჰორიზონტისაკენ და თეთრ კვალს ტოვებდა. მოხუცმა ამოიხვნეშა, „აღბათ, ბადის ჩასაგდებ ადგილს ეძებსო“, — წაიჩურჩულა.

— ეჰ, როგორ გაფრინდა ის დრო, როცა ჩვენც დავდიოდით სათევზაოდ, — თქვა სილომ.

— კოჭლი შაქარა გახსოვს?

— აბა!..

— ერთ დღეს მოკვდებითო, რომ თქვა, ისიც გახსოვს?

აქ მოხუცებს თითქოს გამოეღიათ სალაპარაკო, დადუმდნენ. ნელა აყვინენ აღმართს. ცხელოდა. სილომ სახე მოიწმინდა და ზეცას აჰხედა. დიდრონი თეთრი ღრუბლები მისცურავდნენ ცაზე. „ცოტას რომ შეზინდებოდეს, კაფეში წავიდოდით“, — გაიფიქრა სილომ. ხმამალა კი თქვა:

— დიდი ხანია აღარ დამილევია ყავა. სიტყვაზე გამახსენდა. ნიკალა ისევ იქ მუშაობს?

— რა გითხრა, არც მე ვყოფილვარ კარგა ხანია. თუ გინდა ამაღამ გადავდეთ, თორემ ხვალ თბილისში ვიქნები.

— კარგი, აბა გამოვივლი. პელაგია არ დაიწყებს ბუზღუნს?

— რა ებუზღუნება. დაფახულობს ბოსტანში და ქეა.

სილომ ერთხელ კიდევ შესთავაზა თუთუნი და გზაჯვარედინთან მოიბოდიშა:

— ჩემთან დაგაბატყებდი, მარა ღვინო არა მაქვს საკადრისი.

— პა, პა, პა! — დაიღმიჭა თეოფილე, მარჯვენა ხელი წელზე დაიბიჯა და წავიდა.

მზე ისევ საშუადღეოზე იდგა. ღრუბლები ისევ ზანტად მიცურავდნენ და სადღაც დაბის ბოლოს თავგამოდებით ყვებდნენ ძაღლები.

...გავიდა ხანი და თბილისიდან ამბავი მოვიდა, თეოფილე გარდაიცვალაო.

— აპაია, — გული დაიმჯილა სილომ და მოიღვენთა.

მეტი არაფერი უთქვამს. თვლები კიდევ უფრო ჩაუშავდა და ჩაემუქა. იმ ღამეს საშინელი ქარი ამოვარდა.

ქარმა ტოტები დაამტვრია ხეებს და ორი ფიცარი ააგლიჯა ჭიშკარს.
წვიმა. ბერიკაცს ძახილი მოეყურა. შეკრთა. წამოიწია და წყვდიადს
უშტერა თვალი... კარგა ხანს იყო ასე. მაგრამ ძახილი არ გამოერებულა. ბე-
რიკაცმა უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა რაღაც და ცეცხლთან დაბრუნდა. ცეცხ-
ლზე ნედლი თევზი იხარშებოდა. სასიამოვნო ოხშივარი აღიოდა ქვაბს. მო-
ხუცმა მარილი ჩაუმატა.

ქარი კი წინანდებურად ქროდა. ქარის სისინში ტკბილად ჩაეძინა მოხუცს.
მთა ესიზმრა.

მთაზე კოჭლი შაქარა იჯდა და იღმიკებოდა.

სიღულია, გესმის?!

გესმის, სიღულია?

ალარაა შენი მეგობარი უკვე. ძაან უნდოდა გაახალგაზრდავება, მარა დრომ
თავისი გაიტანა. აწი ველარ დაგიკდება ჭიშკრის წინ და ველარ მოგიყვება ამ-
ბებს. შენი დროც ხომ არ მოსულა სიღულია?! გამოიხედე, აბა, ჩემყენ! ჰეი,
სიღულია, გესმის? გესმის?

სიღომ ამოიხვნეშა და გაედვიძა.

გადააფურთხა.

ღმერთო შეგცოდე, რამ მომალანდა კოჭლი შაქარაო.

იქნებ ეს სიკვდილი იყო თვითონ?

იქნებ...

რატომ მაინცდამაინც კოჭლის სახით გამომეცხადა, ა?

აქ მოხუცს გაახსენდა შაქარას ავდებულად ნათქვამი „თქვენ ერთ დღეს
მოკვდებითო“ და გააქრყოლა. დადარდიანდა, მაგრამ რას იზამდა. არაყი გად-
მოიღო. თუ სიკვდილია, ვაყკატურად მოვკვდეო და გადაჰკრა. ტყემლის წვეწ-
ში ამოვლებული თევზი დააყოლა. ძალა წაერთო, გონება დაეზურა. ისევ გადა-
ჰკრა.

„ალბათ. ასე იცის სიკვდილმა, — გაიფიქრა.—ჯერ ბურანში გაგხვევს და
ძილს მოგანდომებს. მერე კი შეუმიჩნევლად წაგიჭერს ხელს და სულსაც ამოგ-
ხდის. მე კი. კაცმა რომ თქვას, ჯერჯერობით არ მომბეზრებია ამ ქვეყნად ყოფ-
ნა“. აქ მოხუცს გაახსენდა, რომ დილით შვილიშვილს სათამაშო ნავის გაკე-
თებაზე უარი უთხრა და ინანა. თვალწინ დაუდგა შვილიშვილის მოცინარი სა-
ხე. ანთებული თვალები და ტოლჩა შეავსო.

ეს ჩემს პატარას გაუმარჯოს.

ღლეგრძელობა მიეცესო.

ბოლთას დაჰკრა. მოთენთილობა იგრძნო, ქუთუთოები თავისით ეხურებო-
დნენ.

„თუ დავწვები, გათავდა, ველარასოდეს ავდგები. ალბათ“, — გაიფიქრა.
მაგრამ მეტის გაძლება აღარ შეეძლო. ტანტზე გაიშოტა და რამდენიმე ხანში
ოთახი მისმა მშვიდმა ფშინვამ აავსო.

იმ დამეს არ მისულა მოხუცთან სიკვდილი. ბერიკაცი გაკვირვებული
დარჩა. მაგრამ ლოდინი არც მეორე დღისთვის შეუწყვეტია. მხოლოდ ეს იყო,
ადრინანდ აიპარა, უხმო შვილიშვილს და სათამაშო ნავის გამართვაში დაეხმა-

რა, არ დარჩეს საწყენადო. მესამედღესაც იწეა, მეოთხესაც, მეხუთესაც, მეექვსესაც, მეშვიდესაც და ბერიკაცს ლოდინიც მობეზრდა.

აივანს მიაღდა.

აივანს იქეთ ბაღია იყო და კვლებს სარეველა შესეოდა.

ძელზე გაკიდებული ბადეც გარღვეულიყო.

ჭიშკარზეც ორი ფიცარი იყო მისაჭედებელი.

უფროსმა შეიღმა უთხრა, გუშინ ახალი ქარხნის გახსნაზე რატომ არ გვესტუმრეო.

შვილიშვილმა უსაყვედურა, ბაბუ, რაზმის შეკრება რატომ ჩაგვიშალე, ხომ გაგაფრთხილეთ, ძველ მეთევზეებთან გვაქვს შეხვედრა-თქო...

და შერცხვა ბერიკაცს. შერცხვა, რადგან ახლა, როცა ირგვლივ ამდენი საქმე იყო და ამდენი ახალი ამბავი, იგი ოთახში იჯდა და გულხელდაკრეფილი ელოდა სიკვდილს.

მზე კი ისევ საშუადღეოზე იდგა და ღიმილით დაჰყურებდა მიწას.

ცხელოდა.



შაღვა შუბღაძე

ოზობა და ხარაბუზა

ერთ ოზობას ხარაბუზამ
დამცინავედ გადასძახა:
— სახლში ჯდომით საცოდავო,
წყლით გაბერილ გუდას ჰგავხარ.
გამო ერთი, მეჭიდავე,
ძალა გერჩის თუ კი დიდად!
კიო, უთხრა ოზობამ და
თავის ქსელზე მიუთითა:
— ა, ხალიჩა!

ჭიდაობა
აქ აჯობებს, რა თქმა უნდა!
ხარაბუზამ თავმომწონედ
მიაშურა აბლაბუდას.
მყის ოზობამ ფეხი გაჰკრა,
ხან სწორად, ხან აღმაცერად,
ბუზია თუ მუთაქაია!
სასწაული მოხდა ხელად.
შიშნაკრავი ხარაბუზა
გასაფრენად გაიწია.
რა ვერ შეძლო, აბზუილდა:
— ჩვენში ასე არ იციან!
ოზობამ თქვა:
— მე არ ვიცი
თქვენში თუ რა წესებია.
ჩვენთვის დიდად საშიშარი
მტრის ხელი და ფეხებია.
გათოკილი გვეყავდეს მტერი, —
ეს კანონი მარადია,
სხვანაირად საჭიდაოდ
არავისთან არ გადიან.

მკვებნარა ლოქორა

— მთელ დედამიწას მოვიელი, —
ლოქორამ ასე მოჭორა.
— როგორ, ვერ შევძლებ? ო, მაშინ
მოგიკვდეთ თქვენი ლოქორა!..
რამდენი დღეა, რომ წვალობს,
არ შეისვენა, სულ არა,
მაგრამ არ იქნა, ჩალის ზვინს
მაინც ვერ შემოუარა.
ჩამოჭრილ ჩალის ღეროზე
ჩამოჯდა ბოლოს მკვებნარა.
თქვა: — „უპ, რა უსასრულოა
ეს დალოცვილი ქვეყანა!“



ანჟორ აპულაშვილი

გურიის მთები დაუთოვია

გომბორის მთაზე მზე და მაისი,
 სიტყვას საშენოს აქ უთრთოლია.
 ეს რა უეცრად მე დავინისლე...
 გურიის მთები დაუთოვია.
 ნაკვალევით მიზებებს ვეძებ
 შენი წასვლის და მერე არმოსვლის.
 დაუთოვია გურიის მთებზე,
 ჩაუცმევია თეთრი სამოსი...
 მოუტაცია შენი გული ვის?
 დაიკანკალა ქარში ფოთოლმა...
 დაუთოვია მთები გურიის.
 ბახმაროს მთაზე მართლა მოთოვა.
 ...და დაცლილ სასმისს დავაშტერდები...
 ვილაც მღერის და გულზე მედება:
 სხვას ასე შენთვის ვის უთრთოლია!
 გურიის მთები დაუთოვია.

მოვადეჟი საქართველოს

არაგვს აჭიქებს ეს კლდე ურღვევი,
 ტალღები ქვემოთ ბრაზით მიდიან...
 მთაზე ვდგევარ და მაწევს ღრუბელი,
 როგორც მთას — ნისლი ამიკიდიან...
 აქ თუ დაესწრო ვაჟა თემობას,
 არაგვს თუ გაჰყე აღუდას ცრემლო...
 აქედან უკვე საქართველოა,
 აქედან უკვე — სარუსთაველო.



შაღვა ჩივიშვილი

ფიქრები იშლებიან ზღვის პორიზონტზე
და ჩემში შემოდის სიმშვიდე ზღვის.
არ მჯერა არმოსვლა...
მწამს, მოვა ის...
შორს გემის აფრები ნიავეში ფრიალებს
და გული ინთება მზით.
არ მჯერა არმოსვლა,
მწამს მოვა ის...

მე მასთან ერთად დავდიოდი დღეცა და ღამეც.
ხან შევეცინებდით ცისკრის კრთომას,
ხანაც ვარსკვლავებს.
ის სიყვარულით მომაპყრობდა თაფლისფერ
თვალებს...

გაქრა იგი დრო,
ახლა სახლში ვღუღუნებ მასთან,
ახლა სარკმიდან მიღიმიან ცის ვარსკვლავები.
აღუ... მიძახის ჩემი პატარა,
თავისკენ მიხმობს მისი თვალებიც.



პიონერა ღღონგი

შენთან მოვალ, ციცინათელა

მოსალამურდა,
ცალი თვალი უკვე მოხუკა
მზემ საამურმა.
მომწყინდა თითქო,
ალარა ჩანს ის თმახუტუკა.
საით წავიდა?
ვბრუნდები სახლში,
გზებს დარაჯობს ვერხვი და თელა,
მათ ჩრდილში მკრთალად
გამინათებს ციცინათელა.
ჭიშკართან შევდექ —
ბები შინ არ დაბრუნებულა,
საით წავიდე?..
დამიცადე, ნუ გაფრინდები —
შენთან მოვალ, ციცინათელა!



პოეზია

ცდუნების ღერეშანი

ნაბიუსანი აზის უმშვენირესი მეფე იყო. არ შეიძლებოდა არ შეგყვარებოდათ, როცა ის საუბრობდა. ამ კეთილ მეფეს ყოველთვის აქებდნენ, ატყუებდნენ და ქურდავდნენ. ამგვარ მაგალითს ყოველთვის სახელმწიფო ხაზინადარი იძლეოდა და მას სხვებიც ბაძავდნენ. მეფემ ეს იცოდა; მან რამდენიმეჯერ შეცვალა ხაზინადარი, მაგრამ ვერ შეძლო შეეცვალა მეფის შემოსავლის ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფის წესი, რომლის მიხედვითაც მცირე ნაწილი ყოველთვის მის უდიდებულესობას ხვდებოდა, ხოლო უმეტესი—ადმინისტრატორებს. თავისი გასაჭირი მეფემ ზადიგს გაანდო. „თქვენ, რომელმაც ამდენი რამ იცით, ხომ არ შეგიძლიათ რამენაირად მომიძებნოთ ისეთი ხაზინადარი, რომელიც არ გამქურდავს?“

— როგორ არა, — უპასუხა ზადიგმა, — მე პატიოსანი ხაზინადარის მოძებნის საშუალება ვიცი.

გახარებულმა მეფემ ზადიგი გადააკოცა და ჰკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა ამის მოხერხება: — საჭიროა მხოლოდ აცეკვოთ ყველა, ვინც ხაზინადარის თანამდებობას მოისურვებს, და მათ შორის ვინც ყველაზე მსუბუქად იცეკვებს, ის იქნება უპატიოსნესი.

— თქვენ ხუმრობთ, — უთხრა მეფემ. — აი გადასახადების ამკრეფის მოძებნის უცნაური საშუალება! როგორ! თქვენ მიმტკიცებთ, რომ ის, ვინც უკეთეს ანტრეშას გააკეთებს, ყველაზე მარჯვე და პატიოსანი კაცი იქნება?!

— ვერ გეტყვით, რომ იგი იქნება ყველაზე უფრო მარჯვე, — შეაწყვეტინა ზადიგმა, — მაგრამ გარწმუნებთ, რომ ის იქნება ყველაზე პატიოსანი ადამიანი.

ზადიგი იმდენად დამარწმუნებლად ლაპარაკობდა, რომ მეფემ იფიქრა, ზადიგს ხაზინადარის გამოძებნის რაღაც ზებუნებრივი საიდუმლო საშუალება გააჩნიაო.

— ზებუნებრიობა არ მიყვარს, — თქვა ზადიგმა. — ჯადოსნები და მისწერი წიგნები არასდროს მყვარებია; თუ თქვენი უდიდებულესობა უფლებას დამ-

რთავს ჩავატარო ცდა, რომელსაც მე მას ვთავაზობ, იგი დარწმუნდება, რომ ჩემი საიდუმლოება სრულიად უბრალო და იოლია.

ნაბიუსანი უფრო მეტად გოცდა, რა გაიგონა, რომ ეს საიდუმლოება უბრალოა. ისე გოცდა, თითქოს რაღაც სასწაულზე ელაპარაკებოდნენ.

— რახან ასეა, — თქვა მან, — იმოქმედეთ, როგორც გენებოთ.

— დამრთეთ ნება და თქვენი იმედი მოლოდინს გადააჭარბებს.

იმავე დღეს ზადიგმა მეფის სახელით გამოაცხადა, რომ ვისაც მისი ბრწყინვალეების ნაბიუსანის ხაზინადარის თანამდებობა სურს, შეუძლია მსუბუქი აბრეშუმის ტანსაცმლით გამოცხადდეს მეფის სადარბაზო ოთახში.

სამოცდაოთხი პრეტენდენტი გამოცხადდა მეფის სალონში. მეზობლად მდებარე სალონში ვიოლინოს დამკვრელები მოათავსეს. ყველაფერი მზად იყო ბალისათვის, მაგრამ ამ სალონის კარები დახუტული იყო, და იქ რომ შესულიყავით, ჯერ საკმაოდ ბნელი დერეფანი უნდა გაგველოთ. შეკარე ხედებოდა და აცილებდა ყოველ კანდიდატს და ამ გასასვლელში რამდენიმე წუთით მარტო ტოვებდა. მეფემ, რომელმაც ზადიგის საიდუმლოება უკვე იცოდა, მთელი თავისი ძვირფასი განძი ამ გასასვლელში გამოაფინა. როცა სალონში ყველა პრეტენდენტი მოგროვდა, მეფემ გასცა განკარგულება და ცეკვა დაიწყო. არავის, არასდროს ასე მძიმედ და უგერგილოდ არ უცეკვია! ყველას თავი დაეხარა, წელში მოხრილიყო, ხელები გვერდებზე მიწებებოდა. „ქურდბაცაცები“. — ამბობდა ზადიგი თავისთვის. მხოლოდ ერთი, მათ შორის, ცეკვავდა მსუბუქად, თავაწეული, ხელებდაშვებული, „აჰ! პატიოსანო, სპეტაკო ადამიანო!“ — ჩურჩულებდა ზადიგი. მეფემ კარგი მოცეკვავე გადაკონა, გამოაცხადა იგი ხაზინადრად და ყველა დანარჩენი უსასტიკესად დასაჯა, რადგან ყოველ მათგანს, დერეფანში ყოფნის დროს ჯიბეები გაეხსო და ძლივს მოძრაობდა. გაურისხდა მეფე ადამიანის იმ ბუნებას, რომელმაც 64 მოცეკვავეთა შორის 63 ქურდად აქცია.

ბნელ დერეფანს ცდუნების დერეფანი დაარქვეს.

ფრანგულიდან თარგმნა ირინე არეშიძემ.



სოსო ხელაძე

იგი თავიდან იწყებს ცხოვრებას

სათავგადასახლო მოთხრობა

ნაპირისაკენ პატარა ნავი მოცურავდა. შიგ მხოლოდ ერთი კაცი იწვა და ფეხებს უცნაურად ამოძრავებდა, თითქოს პატარა პედალიან საბავშვო მანქანას მართავსო. გვერდით სანადირო თოფი, ზურგჩანთა და სათევზაო ჯოხი ედო.

„დავიქანცე, — გაიფიქრა მან. — რამდენჯერ გავსულვარ ზღვაში ამაზე შორს და დაულაღვად მივსულვარ ნაპირამდე, ახლა კი რა ღმერთი გამიწყურა!“ უცბად მოტორის ხმა მოესმა, იმწამსვე გაილურსა. ნავის ქუჭრუტანიდან მარცხნივ გაიხედა. საექვო ვერაფერი შეამჩნია. შემდეგ მარჯვნივ დააკვირდა, იქაც ვერაფერი შენიშნა და თავისუფლად ამოისუნთქა. „როგორც ვატყობ, ჯერჯერობით ბედი მწყალობს“, — თავი გაიმხნევა მენავემ. შემდეგ კურსი შეამოწმა კომპასის საშუალებით და სვლას უმატა. თვალები ოდნავ მოხუჭა და ისევ ფიქრს მიეცა. თვალწინ დაუდგა ახალგაზრდა უწვერულვაშო კაცი. გვერდით სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი პატარა ბიჭი მიჰყვება. მათთან ერთად მიაბიჯებს იმ ბიჭის დედა. აი, რკინიგზის სადგურზე

მივიდნენ. პატარა ბიჭი კისერზე ეხვევა ახალგაზრდას. შორიანლო გოგონა დგას. თვალები აცრემლდება, ის ქალი კი მხნედ უდგას გვერდში. აი ვილაც აფრთხილებს, დაიკავონ ადგილები ვაგონებში. ყმაწვილი კაცი მაგრად იკრავს პატარას გულში. „ჭკუით იყავი, დედა არ გააბრაზო!“ შემდეგ ქალს მიუბრუნდა. „შვილო, სამშობლო არ შეარცხვინო!“ — მაგრად ჩაიკრა გულში ქალმა ვაჟკაცი. ზარის ხმაც მოისმა. იქვე მდგომ გოგონას კი თვალები ცრემლით დასივება: „არ დაგივიწყებ, დაველოდები“, — მოესმა მას. „დედა! ნუნუ!“ დაიყვირა უცებ მენავემ და თვალები გაახილა... „ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ დედასთან და ძმასთან შეხვედრა უკანასკნელი იქნებოდა, ნუნუ კი... როგორი თვალებით აცილებდა, დაველოდებო... აი, მოვდივარ, რომ... მენავეს უცებ ლითონივით ცივად ჩაესმა შორეული ხმა: „სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ შენი დედა და ძმა სასტიკი წამებით მოკლეს. რას იზამ, გამაგრდი და შური იძიე!“. „საწყალი დედაჩემი!“ — ბრაზით კბილები დაახრჭიალა.



ნაპირს მიახლოებოდა. ახლომახლო ვერავინ შეამჩნია. წამოდგა. დაჯდა და სათევზაო ანკესი გამართა, ნავი ნელ-ნელა მიაცენა ნაპირს. დიხხარა, დახრახნილი საცობი მოხსნა, თოფი და ზურგჩანთა აიღო და ნაპირზე ისკუბა. მანვე ფეხი ჰკრა, იგი წყლით აივსო და ზღვის ფსკერზე დაეშვა. თვითონ კლინარის ნაპირს აჰყვა და მეთევზეებს შეერთა. თითქმის ორ საათზე მეტი დიპყო მათთან. აქ მის შემდეგ მოსულ ახალგაზრდა მეთევზეს დაუშვებობდა, რომელსაც რატომღაც ბედი არ სწყვლობდა.

— გეტყობათ ახალბედა ხართ, — უთხრა ახალგაცნობილს. — ნუ შიშობთ, შინ ცარიელი არ მიხვალთ, ჩე გაგიყოფთ.

ახალგაზრდა და მენავე ქალაქისაკენ ერთად გაუდგნენ გზას. დიდხანს უსიტყვოდ მიდიოდნენ. დუმილი ახალგაზრდა მეთევზემ დაარღვია.

— საიდან ბრძანდებით?
— ამ დილით ჩამოვედი დასასვენებლად. — და ქალაქი დაუსახელა.
— ბინად სადა ხართ?

— ჭერჭერობით არსად, სადგურში. ერთი კაცი ოთახს შემპირდა. მინდა მთელი შევებულე ნადირობაში გავატარო. გამიგონია, აქეთ კარგი სანადირო ადგილებიაო.

მგზავრები ნადირობისა და თევზაობის ამბებს მოჰყვენენ. როცა შარავზე გამოვიდნენ, ტაქსში ჩასხდნენ.

— მე სადგურში წავალ, — თქვა მენავემ, — თქვენ საით?

— მეც სადგურში წამოვალ, თქვენ გაგაცილებთ და შემდეგ სახლისაკენ გავწევ.

მენავეს სახე მოელუშა. მაგრამ თანამგზავრს უმალვე ღიმილი შეაგება.

— ო, კეთილი!
მანქანა ქალაქისაკენ დაიძრა.

— ცარიელი მოდიხართ? — იკითხა მძღოლმა.

— მე არ გამიძართლა, — გულნატ-

კენად ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ, ამან კი, — ამხანაგზე მიუთითა, — ლიც მანქანის სარკმელს მიკვროდა, — გვერიანად დაიჭირა.

მანქანამ მარჯვნივ შეუხვია, პატარა ქუჩა გაიარა და სადგურის მოედანზე გავიდა. მენავემ თვალი მოავლო არემარეს და მძღოლს უთხრა:

— აქ გამიჩერეთ.
მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა, კარი მიხურა და ახალგაზრდას მიმართა:

— დღევანდელი ჩემი ნადავლი ჩვენი გაცნობისა იყოს, თქვენ წაიღეთ. მე ხომ ჯერ არ ვიცი, სად დავბინავდები. ახალგაზრდას სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მენავემ დაასწრო:

— მადლობა მერე იყოს. ჩვენ, ალბათ, კიდევ შევეხვებით ერთმანეთს. მე აქ ნადირობისა და თევზაობის მეტი სხვა საქმე არა მაქვს.

— კეთილი, — დაეთანხმა ახალგაზრდა, — ასე იყოს. ჰო, მართლა, თუ ბინა ვერ იშოვოთ, შეგიძლიათ ჩემთან მოხვიდეთ, არ მოგერიდოთ. სახლში მარტო ვარ, როგორმე მოგვლავთ დროს, — და თავისი ბინის მისამართი მისცა.

— ნომერი ხომ არ გექნებათ? — თავზიანად შეეკითხა კლიენტი აბანოს მოლარეს.

— ცოტა დაიცადეთ და მოგართმევთ.

— მადლობელი ვიქნები, — მიუგო კაცმა და სკამზე ჩამოჯდა. კარებს მისჩერებოდა და ყოველ შემოსულს აკვირდებოდა. აი, შემოვიდა ვიღაც ახალგაზრდა, თვალი მოავლო დარბაზს, სკამზე მჯდომ მოქალაქეს გადახედა, რომელსაც სანადირო კოსტიუმი ეცვა, ხოლო გვერდით ზურგჩანთა ედო. ახალმოსულმა მისკენ გასწია.

— ძალიან ცხელა, მეგობარო?

— ჰო, ცხელა.

— თამბაქო ხომ არა გაქვთ?

— არა, არ ვეწევი.



ამ დროს მას სთხოვეს, ნომერში მიბრძანდითო. სწრაფად წამოდგა, ზურგჩანთას ხელი დაავლო და ნომერში შევარდა.

ერთი საათის შემდეგ იმ ნომრიდან ლამაზ ნაცრისფერ საზაფხულო კოსტიუმში გამოწყობილი კაცი გამოვიდა. მას ხელში ზურგჩანთა ეჭირა. ზრდილობიანად მადლობა გადაუხადა მოლაზრეს და ქუჩაში გამოვიდა. პირველი შემხვედური მამაკაცი შეაჩერა და ჰკითხა:

— ბოდიში, მეგობარო, ვერ მიმასწავლით მონადირეთა კავშირს? ან იქნებ იცით, სად არის მათი მაღაზია.

— როგორ არა, აი ამ ქუჩას გაპყევით, მარჯვენა მხარეზე საყავე შეგხვდებათ: შეუხვეით და ქუჩის გადაკვეთაზე პირდაპირ მონადირეთა კავშირია.

მადლობა გადაუხადა და მონადირეთა კავშირისაკენ გასწია.

— შეიძლება? — იკითხა უცნობმა კარებში.

— მობრძანდით! — მიიწვიეს.

ოთახში, სადაც უცნობი შევიდა, მაგიდას შემოსხდომოდნენ მონადირეები და მასლაათობდნენ.

უცნობის შესვლისთანავე საუბარი შეწყვიტეს.

— თქვენ რაზე შეწუხებულხართ. მეგობარო? — შეეკითხა ერთი მათგანი უცნობს.

— მე აქაური არ ვახლავართ, შევებულემაში ვარ. ნადირობის ეშმაკი მყავს შემჭდარი და... თქვენთან კარგი სანადირო ადგილები ყოფილა.

მონადირეებმა, როგორც კი გაიგეს ახალმოსული ჩვენი თანამოსაქმეაო, უმაღ მიზატიყეს და სკამი დაუდგეს.

— საიდან ჩამოსულხართ?

უცნობმა ქალაქი დაუსახელა და იქაურ სანადირო ადგილებზეც ილაპარაკა.

— ჰოდა, ახლა, როგორც ვითხარით: შევებულემა ავიღე და ბარგი-ბარხანით

თქვენკენ გამოვწვიე. ამბობენ, სადაც წაიქნისო ბაზა გქონიათ. — მან ზურგჩანთა გახსნა, თოფი ამოიღო და თავმჯდომარეს უთხრა:

— მე თქვენთან სათხოვარი მაქვს. თუ არ შეწუხდებით და საშუალება გექნებათ, ეგ თოფი და ჩემი ზურგჩანთა ხვალამდე შემინახეთ. მე ჯერ ოთახი არ მიჭირავებია და სად დავბინავდები, არ ვიცი.

— კეთილი, ბატონო, სიამოვნებით, — უთხრა თავმჯდომარემ, — ზურგჩანთა გამოართვა და კარადაში ჩაკეტა.

ახალგაყნობილთან ერთად ყველანი გარეთ გამოვიდნენ და ნელ-ნელა დაიშალნენ.

დღე იწურებოდა. უცნობმა სასადილოში ისადილა და შემდეგ ქალაქის პარკისაკენ გაუდგა გზას. „როგორ გამოცვლილა აქაურობა, — ფიქრობდა იგი, — რამდენი ახალი სახლი აუგიათ. ქუჩებიც დაუშვევნებიათ“. გაზეთის კიოსკთან შეჩერდა, ადგილობრივი გაზეთის ახალი ნომერი იყიდა, ჯიბეში ჩაიღო და გზა ისევ პარკისაკენ განაგრძო. აი ქუჩის ერთ გადაკვეთაზე რეკლამა წაიკითხა: „ნახეთ ეკრანზე ახალი მხატვრული ფილმი „მე ვიტყვი სიმართლეს...“ უცნობმა საათს დახედა. „დაწყებად 30 წუთია, წავალ, ვნახავ“, — გადაწყვიტა და კინოთეატრისაკენ გაემართა. ბილეთი აიღო და ფილმი შევიდა. ერთ კუთხეში სკამზე ჩამოჯდა და ჯიბიდან გაზეთი ამოიღო. პირველი გვერდიდან მას ახალგაზრდა ჩაის მკრეფავი გოგონას სურათი უცქეროდა. „სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე აღამიანები“, — წაიკითხა მან. „ერთ დროს მეც ხომ მოწინავე ვიყავი, ჩემი სურათი ხშირად იყო გაზეთში. ახლა კი...“ ირგვლივ მიმოიხედა. ხალხი უკვე დარბაზისაკენ მიემართებოდა. ისიც იქითკენ წავიდა. დარბაზში სინათლე ჩაქრა. ეკრანზე ილუმინაციებით გაჩორაღდნებული ქალაქი გამოჩნდა. აი, ქუჩაში დადის ახალგაზრდა, იგი სამუ-

შაოს ეძებს... მას კი ყველგან კარებს უკეტავენ... შემდეგ იგი ვილაცას ძარცვავს... ძლივს დაუძვრა... კიდევ რამდენიმე სიძნელე ხვდება გზაზე და ბოლოს მოემგზავრება საბჭოეთში, რომ... „ვაი, რა მოხდება“, — გაიფიქრა უცნობმა. „ალბათ, დაიჭერენ“. მაგრამ ამას რას ხედავს! იგი კარგად მიიღეს, სამსახური მისცეს. გაიჩინა ახალი მეგობრები, ახალმა ცხოვრებამ, ხალხმა, კეთილმა ხალხმა მას ბოროტ განზრახვაზე ხელი ააღებინა და იგი ამბობს სიმართლეს, იწყებს ახალ ცხოვრებას და ხალხთან ერთად მიდის ნათელი მიმავლის გზით. მას აპატიეს წარსული...

უცნობი გაოგნებული, აღელვებული გამოვიდა კინოდან.

ლამაზია ზღვისპირა პარკი. უცნობმა პარკის საცეკვაო მოედანს აუარა, ცოტა ხნით ღია ესტრადასთან შეჩერდა და პარკის ერთ-ერთი ხეივანით უფრო ბნელი ადგილისაკენ გასწია. შორიდან თავისუფალი სკამი შენიშნა. ნაბიჯს უმატა, ირგვლივ მიმოიხედა. არაფერი იყო, სკამზე ჩამოჯდა და პიჯაკის საყულო აიწია.

„ესეც ასე, მგონი ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, მიმართლებს. ვითომ ბედნიერი ვარ?..“

მწარედ ამოიხვნეშა.

„კი მაგრამ ღამე სად გავათიო? სასტუმროში? არა, არ შეიძლება... ვინ იცის, როგორია ჩემი პასპორტი... მაშ სად? ძველი ნაცნობები მოაგონდა, მაგრამ ვერაფრით მოიგონა ქუჩა. წინათ შეიძლება მიეგნო, ახლა კი ის ადგილები სულ გამოცვლილა. არა, მათთან, რომც მიაგნოს, ვერ მივა... მაშ სად? ჰო, მართლა, ახალგაზრდა მონადირე, რომელსაც თევზის ჭერაში ხელი მოეცარა. მასთან მგონი შეიძლება. მარტო ვარო, შესაფერისი ადგილია. იქ წაველ“. საათს დახედა. ათის ნახევარი იყო. წამოდგა და ნელი ნაბიჯით გზას გაუყვა.

მეორე სართულზე კარები გაიღო.

პიჯამაში გამოწყობილმა ახალგაზრდამ სიხარულით შესძახა:

— მოხვედით?! ძალიან გამიხარდა. ასეც ვფიქრობდი. აბა, სად უნდა გენახათ ოთახი და ისიც ასეთ დროს! ჩვენს ქალაქში რომელი კუთხიდან გინდათ, რომ არ ჩამოდიან დასასვენებლად. ჩემთან სასურველი სტუმარი იქნებით. რატომ ხართ უხასიათოდ? ალბათ, დაიღალეთ, არა უშავს... ისე დიდებულად მოგასვენებთ... თქვენი წყალობით ვახშამიც კარგი გვაქვს. მეზობლის გოგონას შევამზადებინე თქვენი დაჭერილი თევზები, — შემდეგ ახლოს მიიწია და ყურში ჩაუჩურჩულა:—ძალიან გთხოვთ არ გამცეთ, ასე ვთქვი, მე დავიჭირებთქი. ჰო, მართლა, გაცნობა სულ დაგვაიწყდა, თუმცა ჩვენ „ძველი“ ნაცნობები ვართ — მე გურამი ვარ, სტუდენტი. თქვენი ვინაობა?

ახლად მოსულს პასუხი არ დაუყოვნებია:

— ოთარ სოლომონის-ძე მშვენიერად, ხარატი.

მასპინძელმა მხიარული საუბრით სტუმარი წინა ოთახში შეიყვანა.

— ეს ჩვენი საერთო ოთახი იქნება. აი, იმ ოთახში დავიძინებთ.

სტუმარმა უცებ სურათს ჰკიდა თვალი. ადგილს მოწყდა და იქით გაიწია. ახალგაზრდას ეს არ გამოაპარვია.

— სურათით დაინტერესდით? —

ჰკითხა მან ფერდაკარგულ სტუმარს. — ეს მე ვარ, ის კი დედაჩემია. ახლა დასასვენებლად გემგზავრა სოფელში. რა მოგივიდათ? თქვენ, როგორც ვხედავ, ვილაცამ გაწყენინათ.

— არაფერი, სიმართლე გითხრათ, თავს მართლა ცუდად ვგრძნობ, — უპასუხა სტუმარმა. — ცოტათი თავიც მტკივა. ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. გურამი სწრაფად წამოდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ. ა, თინიკო, შენა ხარ! როგორ ხარ... კარგად... იცი რა, თინა, აი, მე რომ მეთევზეზე გესაუბრე, ის



ჩემთან არის... ცოტა რომ დავევიანო, ხომ არ გეწყინება... როგორ? თამარის კოს დღეობაა?... კი, მაგრამ სტუმარს ხომ ვერ დავტოვებ... ისიც წამოვიდეს?... კეთილი, თინა, მე დავპატიებ შენს მაგივრად. მაშ მელოდე. მოვიდივარ. — გურამმა ყურმილი დადო.

— ოთარ! ჩემი ერთი ნაცნობი გოგო... დაწვრილებით მერე გეტყვი, დღეობას იხდის. მე ნება მაქვს მისი სახელით დავპატიეო. წავიდეთ, სულ ახალგაზრდები ვიქნებით, კარგ დროს გავატარებთ.

— არა, გურამ, მე ვერ წამოვალ, სადმე სხვაგან ვიშოვი ღამის გასათევს.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, — გააწყვეტინა გურამმა. — შენ ჩემი სტუმარი ხარ და ვერსად ვერ წახვალ. თუ არ გინდა წამოსვლა, აქ დარჩები ჩემს მოსვლამდე, არ მოიწყინო... დაიძინე, ხვალ კი ისეთ დროს გავატარებთ... არ წავიდოდი, მაგრამ გამიბრაზდება, მერე კი მის შერიგებას დიდი დრო დასჭირდება. მაშ ასე, მივიდივარ! ძილი ნებისა, ძმობილო. — გურამმა პაჯაკი მხრებზე მოისხა და გარეთ გავიდა.

მარტოდ დარჩენილი ოთარი დიდხანს გაუძირველად იჯდა მაგიდასთან. თავში ათასგვარი ფიქრები უტრიალებდა. „სად ვარ... ვისთან... გურამი... სურათი... ვაი, შენ ჩემო თავო...“ შემდეგ თავი მალა ასწია, მის წინ მდგარ ჭიქას ხელი სტაცა და ელვის სისწრაფით გამოსცალა. მაშინვე წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა, კარადა ფრთხილად გააღო, ტანსაცმელი დაათვალიერა, ქალის პალტოს ხელი შეაზო და გულში ჩაიკრა. ხელი ძალაუნებურად ჯიბეში ჩაჰყო, იქიდან პატარა მოწმობა ამოიღო. „პერსონალური პენსიონერის წიგნაკი“, თავისთვის ჩაილაპარაკა მან. გადაშალა... თვალეები აუტყრემლდა. თავს ძალა დაატანა და ოდნავ გასაგონად წაიკითხა: „ელენე ბესარიონის ასული წულაძე“. ოთარს ელდა ეცა, რაღაც ხმამაღლა შეჰყვირა და იქვე

ჩაიკეცა. დიდხანს, ძალიან გვიწვიანად იყო იგი გაუძირველად კარში. შემდეგ ძალა მოიკრიბა, წამოდგა, წიგნაკი თავის ადგილას ჩაღო, ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში ქალის პალტო. კარადიდან თავისი პიჯაკი გამოიტანა, კარებიც მიკეტა და წინა ოთახში გამოვიდა.

„...მომატყუეთ არა, თქვე კაციჭამიებო!“ — კბილების ხრჭიალით ამბობდა თავისთვის. „ვნახოთ, ვინ ვის მოატყუებს. არა, რაც მოხდება, მოხდეს. რაც უნდა მიყონ, ამ ბედნიერ ცხოვრებას ვერ ავურეგე ვერა, ვერა-მეთქი...“ იგი საწერ მაგიდასთან მივიდა, ფანქარი აიღო და ქაღალდის ნახევზე დაწერა: „თუ ძმა ხარ, ჩემგან არაფერი გეწყინოს. ჩვენ, ალბათ, ვერასოდეს შევხვდებით. ოთარი“. შუქი გამორთო და გარეთ გამოვიდა.

განიერ ოთახში სავარძელში იჯდა ორი კაცი. ერთი ხანში შესული, მეორე ახალგაზრდა. მრგვალ მაგიდაზე ელექტრონათურა ენთო. მელოტი, ხანში შესული კაცი პაპიროსს აბოლებდა და უსმენდა.

— მეც ასე ვიცოდი, ამხანაგო პოლკოვნიკო. იგი ჩემთან უნდა მოსულიყო. როცა თქვენ დამირეკეთ, იგი უკვე ჩემი სტუმარი გახლდათ.

— ჰოდა, თქვენც თინიკოდ გამასალეთ, ლამაზად დამხატეთ არა? — გველიმა მელოტ კაცს. ახალგაზრდამ თავი ჩალუნა.

— ძალიან დაიბნა. ჩემმა და დედაჩემის სურათმა იგი წონასწორობიდან გამოიყვანა. არ ვიცი რა, მაგრამ მეორე რაღაც მოაგონდა. ეტყობა, კარგად უნდა სვამდეს.

ისევ დუმილი.

— ჰოდა, ჩემო გურამ, ასე მოვიქცეთ, — პოლკოვნიკი წამოდგა. ახალგაზრდამაც დააპირა წამოდგომა. — არა უშავს, შენ იჯექი და ისე მომისმი-



ნე. უნდა დაიმსახურო მისი ნდობა. ეს როლი ისე უნდა გაითამაშო, როგორაც ამასწინანდელი ოპერაციის დროს. გახსოვდეს, რომ ეს მასზე მეტი გამოცდილი იქნება, თუმცა მის მოქმედებაში რაღაც ყოყმანი ჩანს, რაღაცას განიცდის. გახსოვდეს, გურამ, — პოლკოვნიკი ახლოს მივიდა და ახლგაზრდას ხელი მხარზე დაადო. — თუ იგი გამოვიტყდეს ყველაფერში, შენ მაინც შენი როლის თამაში განაგრძე. გამოცხადება ფრთხილად ურჩიე. შეიძლება უთვალთვალეზენ და ჩვენთან მოსვლამდე მოსონ. ეგ ვარიანტიც გაითვალისწინე. გასაგებია, კაპიტანო წულაძე? — ახლა უკვე ოფიციალური ტონით განაგრძო ლაპარაკი ხანში შესულმა კაცმა.

ახლგაზრდა ფეხზე წამოხტა და მხედრულად უპასუხა:

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო.

ამ დროს კარები გაიღო და შიგ მხედრულ ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი შემოვიდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ.

— ბრძანეთ. წულაძე, დაიცადეთ, — თქვა პოლკოვნიკმა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — განაგრძო ახლად მოსულმა ოფიცერმა. — დღევანდელი მეთევზე თვითონ მოვიდა და თქვენს ნახვას ითხოვს.

ახლგაზრდამ გაკვირვებით შეხედა პოლკოვნიკს.

— აი, თურმე რა აწუხებდა „მეთევზეს“, ახლა კი გასაგებია მისი ღელვა.

— კაპიტანო, — მიმართა მან წულაძეს, — თქვენი როლი ჯერ მაინც არ იცვლება. წადით, ფორმა ჩაიცვით და კაბინეტში დამელოდეთ. მე დაგირეკავთ. ამ კარიდან გადით, — და მან ფარდის უკან კარზე მიუთითა. ახლგაზრდამ სწრაფად დატოვა ოთახი. პოლკოვნიკი სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

— სთხოვეთ „მეთევზეს!“

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვი-

და კაცი, რომელიც პოლკოვნიკის პირდაპირ მაგიდასთან მივიდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ახლად მოსულმა ძლივს გასაგონად დაიწყო.

— მე ჯაშუში ვარ, დიახ, ჯაშუში... დამაპტიმრეთ. მომატყუეს, გზიდან ამაცდინეს. მაგრამ, გახსოვდეთ, ცუდი არაფერი გამიკეთებია. არც თავის მოკვლას ვაპირებ. — მან საყელოზე ხელი იტაცა, მოიგლიჯა იგი და პოლკოვნიკის საწერ მაგიდაზე დააგდო.

— აი, ამბულები, — განაგრძო მან. — მე ყველაფერს გეტყვით. შემდეგ კი რაც გინდათ, ის მიყავით. მე არაფრის არ მეშინია! — ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. პოლკოვნიკმა მაგიდაზე დავარდნილი საყელო ხელში აიღო. იქიდან ორი პატარა საწამლავიანი ამბულა ამოიღო და მოსაუბრეს დაბალი ხმით მიმართა:

— ნუ ღელავთ, მოქალაქევ, დაბრძანდით. ჩვენ აბა რა უნდა გიყოთ. — ჭიქაში წყალი ჩაასხა და ახლად მოსულს მიაწოდა. — დაბრძანდით, მე გისმენთ.

ახლად მოსული სავარძელში ჩაეშვა, წყალი მოსვა და ცოტა ხნის დუმლის შემდეგ დაიწყო:

— პოლკოვნიკო, მე რამდენიმე გვარი მაქვს და რამდენიმე საბუთი. ამჟამად თქვენს წინაშე მე ოთარ სოლომონის-ძე მშვენიერადაა ვარ. ნამდვილი ჩემი გვარი კი წულაძეა, ოთარ დომენტის-ძე წულაძე.

— ოთარ დომენტის-ძე წულაძე, — გაიმეორა პოლკოვნიკმა.

— დიახ, წულაძე, — ფეხზე წამოდგა და დაიწყო. — განა მე ჯაშუშად დავიბადე? განა მე ოდესმე სამშობლოს ღალატი მიფიქრია? არა, არა, პოლკოვნიკო! — ხმას აუწია.

— ოთარ დომენტის-ძე, გთხოვთ ნუ აღელდებით, დაბრძანდით. მე თქვენ გისმენთ, მხოლოდ ერთი პირობით — ვილაპარაკოთ წყნარად. აბა საყვირალი რა გვაქვს, გთხოვთ, მე გისმენთ.

ოთარი გაწითლდა.

— ბოდიში, — ჩაილაპარაკა, წყალი ოღნავ მოსვა, სავარძელში ღრმად ჩაეშვა და მთელი თავისი თავგადასავალი უამბო. როცა დაიწყო იმ ამბის მოყოლა, თუ როგორ შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე, პოლკოვნიკმა იგი შეაჩერა და თვითონ განაგრძო:

— ღამით პატარა უნომრო კატერით ზღვაში ვახვედით, იქ თქვენ დავალება მოგვცეს, რამდენჯერმე წაგაკითხეს, თქვენმა „შეფმა“ პირადად შეამოწმა, როგორ აითვისეთ ყოველივე ეს და შემდეგ ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. — პოლკოვნიკმა ოთარს წინ რუკა დაუდო. — აქ, აქამდის კატერით მოხვედით, — მან ფანქრით შემოხაზა ადგილი. — შემდეგ ნავში ჩაგსვეს, ცოტა ბუქსირით გატარეს და მოულოდნელად მარტო აღმოჩნდით გაშლილ ზღვაში.

ოთარი გოცებულები უსმენდა. პოლკოვნიკი ღიმილით განაგრძობდა:

— თქვენ „შეუმჩნევლად“ გადმოხვედით ჩვენს მიწა-წყალზე და აი ამ ადგილას ჩასძირეთ თქვენი ნავი.

— კარგი შეუმჩნეველია, ჩემმა მზემ, — ჩაილაპარაკა ოთარმა.

— თევზაობა, ახალი მეგობარი, აბანო, მონადირეთა კავშირი, ზღვისპირა პარკი, კინო. — პოლკოვნიკმა დაწვრილებით უამბო ოთარს მისი მთელი დღის თავგადასავალი. — და შემდეგ მიხვედით სრულიად შემთხვევით თქვენს „დახვერტლ“ ძმასთან, გადაწყვიტეთ არ დაგერღვიათ მათი მყუდრო და საამური ცხოვრება, იმავე საღამოს მოხვედით ჩემთან და აღიარეთ ყველაფერი.

— მე ყველაფერი არ მიტყვამს. ძირითადი სათქმელი დამრჩა. მერე კი...

— მერე კი, რაც გვიანდა ის გიყოთ. არა? ახლა გვიანაა. ამაზე შემდეგ. ახლა კი წადი სახლში შენს ძმასთან.

ოთარი გაკვირვებული წამოვარდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ პოლკოვნიკმა დაასწრო:

— რა გიკვირთ? გახსოვდეთ, თქვენ არ მიცნობთ. ჩვენთვის საჭირო იქნებით. — ოთარი პირდაღებული უსმენდა, პოლკოვნიკი კი ღიმილით მშვიდად განაგრძობდა: — თქვენი დავალების შესახებ თქვენ ჩვენს ერთ თანამშრომელს უამბობთ, მისგანვე მიიღებთ ყოველგვარ ინსტრუქციებს. — მან ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა. — კაპიტანო, მოდით ჩემთან.

კარები გაიღო და ოთარში გურამი შემოვიდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი ბრძანების თანახმად გამოვცხადდი კაპიტანი წულაძე...

ოთარი სახტად დარჩა, რა ეთქვა არ იცოდა. პოლკოვნიკი მშვიდად მივიდა გურამთან, ხელი მხრებზე მოხვია და მშობლიურად უთხრა:

— იცნობ ამ კაცს, გურამ?

გურამი ვერ მიხვდარა იყო რაში იყო საქმე. ოთარი კი თავს ვერ იჭერდა, მთელი სხეული უცახცახებდა. იგი თვალბრუნებით მისჩერებოდა გურამს, რომელიც გოცებით უცქეროდა მას.

— ვერ მიცანი? — აკანკალებული ხმით უთხრა ოთარმა. — მე ოთარი ვარ, ბიჭო, შენი ოთარი.

— ოთარ, ძმაო. — ეს თქვა და ადგილიდან მოწყდა გურამი, გულში ჩაეკრა მტირალსა და აცახცახებულ ძმას.

— ჩემო ძმაო, ჩემო პატარა გურიკო, შენი ჭირიმე, ბიჭო... მე ცუდი არაფერი ჩამიდენია... თვითონ გამოვისყიდი, თუ რაიმე დავაშავე. შენი ჭირიმე, შენი, ჩემო ერთადერთო, — ჩურჩულებდა ოთარი.

პოლკოვნიკი გვარიშვილი და კაპიტანი წულაძე საგამომძიებლო განყოფილების უფროს ლეიტენანტთან ერთად მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ. მაგიდაზე ქალაქლები ელაგა.

— აბა რა ნახეთ თოფში? — იკითხა

პოლკოვნიკმა, უჯრიდან პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

— იგი გუშინ დავშალეთ კონდახის ნაწილში. ორში წერილი აღმოჩნდა 6—60 კოდით. წერილი უკვე გაშიფრულია. — გურამმა საქალაქიდან პატარა ქალაქი ამოიღო და პოლკოვნიკს წინ დაუდო. „შენი მადლობელი ვართ. ამის მიღებიდან გადადი 16-17 ტალღაზე. დრო 0,7 წ.“ მეორე: „თუ ეჭვი აიღო, ფოსტალიონი შეგიძლია გაგზავნო მოუტანი წერილისათვის“.

— დიდი ვინმე ყოფილა, — თქვა პოლკოვნიკმა. — კაპიტანო, როცა ოთარი თოფს გადასცემს, იმ დღეს რადიოგადაცემაში ხელი არ შეუშალოთ. ჩაიწერეთ კი ყველაფერი სიფრთხილისათვის. თოფი ისე ააწყვეთ, რომ ეჭვი ვერ მიიტანოს. როგორც ჩანს, გამოცდილი ჯაშუშია. მათი პირველი შეხვედრის შემდეგ ოთარს განსაკუთრებულად გაუფრთხილდით. დამატებით კიდევ ერთი მეგობარი მოგვმატებათ.

— ყველა ზომა მივიღეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო. თოფი თვითონ ააწყო. წერილი თავის ადგილზეა. ასე რომ ვერავითარ ეჭვს ვერ მიიტანენ. ოთარი სანადიროდ ხვალ წავა. მარწმუნებს, შენი წაყოლა არ არის საჭიროო.

— არავითარ შემთხვევაში. მას განზრახული აქვს, ალბათ, პირველ შეხვედრისთანავე „აიყვანოს“, რაც დაუმეცებელია. კაპიტანო, ეცადეთ დაარწმუნოთ იგი ამაში. ხომ გამიგეთ? ჩვენ მისი საქმიანობა და კავშირი გვესაჭიროება. შეიძლება იგი ბოლოს ოთარით შევეცვალოთ.

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო, ყველაფერს გავაკეთებთ.

— მაშ ასე, გურამ, — ალერსიანად უთხრა პოლკოვნიკმა, — წახვალ შენც. თქვენ მარტო არ იქნებით. კვირას იმ ადგილებში, სადაც თქვენ მიდიხართ, ბევრი მონადირე იქნება. თუ საჭირო გახდა, შენ მათ გამოიყენებ. გაზსოვდეს, მონადირეები კარგი მეგობ-

რები და მეგზურები არიან. ჰო, თვალთვალს ნუ დაუწყებთ, იაროს თავისუფლად. არც მის შემდეგ, როცა თოფებს გაცვლიან.

— ვასილ ივანეს-ძე, — დაიწყო გურამმა.

— ვიცი, ვიცი, რაც გაწუხებს, გურამ. ჩვენ ოთარის ჩვენება შევამოწმეთ. საბედნიეროდ, მზევრავთა ოცეულის მეთაური ცოცხალი აღმოჩნდა. იგი ახლა ერთ-ერთი სადაზვერგო ნაწილის უფროსია. საუკეთესო დახასიათებას აძლევს ოთარ წულაძეს. მაგ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ეს შეგიძლია უთხრა ოთარს.

მაშ ასე. ნახვამდის. გისურვებ წარმატებას და კარგ ნადავლს. — პოლკოვნიკი წამოდგა და გურამს ხელი გაუწოდა.

— შემიძლია წავიდე, ამხანაგო პოლკოვნიკო?

— წადით, კაპიტანო! გურამი მხედრულად შემოტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

შუაგულ ტყეში, პატარა ღელის ნაპირას, ორი კაცი იჯდა. ისინი ეჭვიანად უტკეპროდნენ ერთმანეთს. ჯერ პაპიროსები გაცვალეს, შემდეგ თოფები შეათვალაიერეს, მერე რალაც უთხრეს ერთმანეთს. ბოლოს, ჩვეულებრივი საუბარი მაღალმა წითურმა კაცმა დაიწყო.

— სად იყავი ამდენ ხანს. მე უკვე ათი დღეა მოვდივარ აქ.

— მე მეხუთე დღეა, რაც ჩამოვედი. ძალიან გამიჭირდა პირველად.

— რატომ იმავ ან მეორე დღეს არ მოხვედი?! — მრისხანედ უთხრა წითურმა კაცმა.

— აკი გითხარი, გამიჭირდა-მეთქი. ჩემი საბუთები საეჭვო იყო. ორი დღე ნამდვილის შოვნას მოვანდომე. მერე იყო კიდევ სხვა დაბრკოლებები.

— ეჭვი ხომ არ აიღეს? — აღელვე-
ბით იკითხა წითურმა.

— სამავისო არაფერია. ბინაზე ერთ
სტუდენტთან გავჩერდი. მის გამო მოხ-
და ყველაფერი.

— გამოგვადგება?

— მაგაზე ჯერ არ მიფიქრია.

— მართალი ხარ. ამ ძაღლებთან
ფრთხილად უნდა იყო. ვინ იცის, ვინ
არის. ახლა საქმეს შევუდგეთ. რა და-
გაბარეს?

— თქვენი კმაყოფილი არიან. თქვენს
ანგარიშზე დამატებით ორჯერ მეტი
თანხა შეაქვთ. გევალებათ ორი თვის
შემდეგ ადგილი გამოიცვალოთ. ხალხის
შემოგზავნა ძნელი ხდება. ამიტომ უფ-
რო მეტად რადიოთი უნდა იმუშაოთ;
ნახაზებს მე-160 ნომრით დღესვე გა-
ანადგურებთ.

წითური კაცი ყურადღებით უსმენ-
და.

— დანარჩენი ბარათშია.

— სად არის ბარათი, მოიტა.

მოსაუბრემ გამომცდელად შეხედა
წითურ კაცს.

— შენ თითონ არ იცი, სად არის ბა-
რათი?

წითურს გაეღიმა. ხელი მოხვია. ახ-
ლა მთელი ნდობით უთხრა:

— ვიცი, ვიცი, ძმობილო. ნუ გამიბ-
რაზღები, ჩვენთან სიფრთხილეა საჭი-
რო. ამ დაწყველილ ქვეყანაში ძალიან
ძნელია მუშაობა. მოიტა თოფი.

— ფრთხილად, ვაზნებია ლულაში.

შემდეგ მოსაუბრეებმა თოფები გა-
ცვალეს.

— მაშ ასე, აიღე ეს ორი ვაზნა. მი-
უახლოვდები თუ არა საზღვარს, იქეთ-
კენ ისროლე, რა ადგილიც ამ ასანთის
ფსკერზეა ნაჩვენები, — მან ვაზნებთან
ერთად მოსაუბრეს ასანთი მისცა. ყუთ-
ზე დახატულ რუკაზე სროლის ადგილი
უჩვენა.

— ხომ გაიგე? — ჰკითხა წითურმა
კაცმა.

— გასაგებია.

— კიდევ ერთი დავალება. რადიოგა-
დაცემა გაჭირდა. აი, წაიღე ჩემი სახე-
დირო ჩანთა. შიგ გადამცემია. ორი გა-
დაცემა შენი სტუდენტის ბინიდანაც
რომ მოხდეს, არა უშავს, ოღონდ
ფრთხილად გადასცემ ამ ტექსტს.— მან
პატარა ქალაღი მისცა, რომელიც რა-
მდენჯერმე წააკითხა მოსაუბრეს, შემ-
დეგ კი დასწვა.— ხომ გაიგე? პასუხს
მეტყვი სამი დღის შემდეგ. შევხვდებით
კინო „განთიადში“. მესამე სეანსზე.
აიღებ მეათე რიგს. შეეცადე მეტორმე-
ტე სკამი. აბა, წავედით.

ორივე ტყის პატარა ბილიკს გაჰყვა.

— ჰოპ, ჰოპ! — მოესმათ მათ.

— ჰოპ, ჰოპ, ფრთხილად, აქეთ არ
ისროლოთ, — უპასუხა ერთმა მათგან-
მა.

წითურმა მარჯენივ შეუხვია და
ტყის სიღრმისაკენ გასწია. მეორემ კი
ვიწრო ბილიკით სვლა განაგრძო. რო-
ცა ტიალ ადგილს მიუახლოვდა,
მას ისევ მონადირეთა შეძახილები მო-
ესმა. ცოტაც და ისინი იქითკენ წა-
ვიდნენ, სადაც მარტოდ დარჩენილი
კაცი იდგა.

— მოვიდა, მოვიდა! — მოესმა მას.
ზემით აიხედა, თოფი უცებ მხარზე მო-
იგდო და გაისროლა. ტყის ქათამი, რო-
მელიც ის იყო ხეებს უნდა მიფარებო-
და, ფარფატივ წამოვიდა ძირს. მსრო-
ლელმა მეორეც მიაყოლა. ამ დროს მას
სამი კაცი მიუახლოვდა.

— კარგი სროლა გცოდნია, მეგობა-
რო, — უთხრა ერთმა მათგანმა. მათ
შორის უფრო ახალგაზრდა კი მასთან
ახლოს მივიდა. — რა ქენი, ოთარ, ჩუ-
მად ჩაულაპარაკა ახლად მოსულმა.

— ყველაფერი რიგზეა. ვეცადოთ
პირველი მატარებლით დავბრუნდეთ.

— კეთილი.

ნადირობით გაუყვნენ გზას სადგუ-
რისაკენ...

...როცა მატარებელი ქალაქში შემო-
ვიდა, უკვე დაღამებული იყო. გურამმა
და ოთარმა ტაქსი დაიჭირავეს და სახ-

ლისაკენ გასწიეს. სასტუმრო ოთახში მათ პოლკოვნიკი დაუხვდათ, რომელსაც სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა.

— ოო, მობრძანდით, მონადირეებო, როგორი ნადავლით მოხვედით? — ჰკითხა მან ახალმოსულებს.

— რა კარგია, რომ აქ დამხვედით. — პასუხის ნაცვლად უთხრა ოთარმა. — საქმე სასწრაფოა. უთქვენოდ მგონი ვერც გადავწყვეტდი, — ოთარმა მონადირის ჩანთა მაგიდაზე დადო და რადიომიმღებ-გადამცემი ამოიღო.

— შეხვედრისას უნდობლობა ხომ არ შეგიმჩნევია? — იკითხა პოლკოვნიკმა.

— ყველაფერი ჩვეულებრივად წავიდა. მეტ უნდობლობას მე ვიჩენდი. ახლა საქმე შემდეგშია. ამ საღამოს რადიოთი უნდა გადავცე დავალება და მივიღო მათგან პასუხი. მე უნდა გადავცე მათ, რომ ხვალ არის საბოლოო გამოცდა ახალი სამთო ტანკისა, რომ ამ გამოცდას ესწრება კონსტრუქტორი და მივიღო ნებართვა, მოესპო თუ არა იგი. გარდა ამისა, არის ერთი საიდუმლო ინფორმაცია.

— მერედა რა გაღელვებს, შენც ნუ გადასცემ, — უთხრა გურამმა.

— ასე არ ივარგებს, გურამ, — ჩაერია საუბარში პოლკოვნიკი, რომელიც დაკვირვებით უსმენდა ოთარს. — ეს გადაცემა მაინც მოხდება. მან იგი გამოცდის მიზნით დაავალა ოთარს. კიდევ ეჭვობს, ფრთხილობს. რომ არ გადასცეს, მეორე შეხვედრაზე ოთარი ცოცხალი აღარ იქნება.

— სწორია! — დაუდასტურა ოთარმა. ამავე ტექსტს და სულ სხვას, უფრო საიდუმლოს იგი თვითონ გადასცემს. გადაცემა მოხდება ერთსა და იმავე დროს. იგი ჩართავს ჩემს ტალღაზე მის მიმღებს და შეამოწმებს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მაქვს ერთი წინადადება.

— ვისმენ, გურამ.

— მოვაწყოთ ასე. დავახშოთ გადა-

ცემა. ვეცადოთ დახშობა მოხდეს ისე, რომ მიიღონ ნაწყვეტები... ხელს ნუ შეგუშლით.

— შეიძლება ასეც მოვიქცეთ. — ოთარი დაფიქრდა. მას თვალწინ დაუდგამისი „შეფი“, რომელიც მოუთმენლად ელის საღამოს ცნობებს. ცნობის ნაცვლად კი იღებს რაღაც ნაწყვეტებს. იგინება, ყვირის, ითხოვს გამეორებას. ტალღა კი დაკავებულია. მისი აქაური უფროსი ოფლში იწურება შიშისგან, იმეორებს და იმეორებს ერთსა და იმავეს: „თუ გაიგეთ, თქვენი მესმის, რაშია საქმე“, ოთარის გაეღმა.

— სხვა რა არის ახალი, ოთარ? — იკითხა პოლკოვნიკმა. ოთარი ფიქრებიდან გამოერკვა.

— არის კიდევ ერთი დავალება. მე უნდა მოვაწყო ნადირობა საზღვრის ნაპირას და აი ამ ადგილას, — მან ჯიბიდან ასანთის ყუთი ამოიღო და პოლკოვნიკს ადგილი უჩვენა, — უნდა მეორე მხარისაკენ ვისროლო აი ეს ტყვიები. მან სავაზნიდან ორი ვაზნა ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— გასაგებია, თვითონ ფრთხილობს, ჩავარდნისა ეშინია, — პოლკოვნიკმა ვაზნები აიღო, ჯიბეებში ჩაიღო და კარებისაკენ გასწია. გურამ, შენი გარეთ გამოსვლა საჭირო არ არის. თუ საჭირო იქნები, მე დაგირეკავ. ოთარ, გადაეცი ყველაფერი ზუსტად. მიღებული რადიოგრამა რომ გაშიფროთ, შემატყობინეთ. გურამმა იცის, სად ვიქნები. აბა, ნახვამდე.

...დანიშნულ დროზე ოთარმა გაგზავნა ეთერში დღისით მიღებული დავალება. რამდენიმე წუთის შემდეგ ლილას დაჭირა და მიღებაზე გადავიდა. „ვერ გავიგეთ, ხელს გვიშლიან, გადადით მორიგ ტალღაზე“. ოთარმა რადიოგრამა გაშიფრა და გურამს მიაწოდა, რომელიც ტელეფონით პოლკოვნიკს ელაპარაკა. რამდენიმე წუთის შემდეგ მიიღო განკარგულება „გადაეცი“. ოთარმა ისევ ჩართო გადამცემი და ტექს-



ტი გაიმეორა. ისევ ისეთი პასუხი — „ხელს გვიშლიან“. ასე სამჯერ შესცვალეს ტალღა. გადაცემა არ ხერხდებოდა. ოთარმა ახალი რადიოგრამა გაშიფრა. „რადაც არ უნდა დაგიჯდეს, აღადგინე კავშირი. გადმოგზავნე მასალეზი, რაციით იმუშავე დღისით. ტალღები აღმოჩენილია. ფრთხილად. დრო მეასსამე“. ოთარმა მიძღებ-გადამცემი გამოართო.

- ეს დრო ჩემთვის არ არის ცნობილი.
- დღეს ხომ არ მოხდება გადაცემა, ოთარ? — იკითხა გურამმა.
- არა, დღეს არავითარ შემთხვევაში. არც ხვალ დღისით. ეს საშიშია.
- შენ როდის უნდა გამოცხადდე მასთან?
- ზეგ.
- ასე რომ მანამდე, ალბათ, გადაცემა არ იქნება.
- მეც ასე ვფიქრობ.

კინოთეატრ „განთიადის“ სალაროსთან კაცი მივიდა.

— ერთი ბილეთი მესამე სეანსზე მეათე რიგში, თუ შესაძლებელია, მეთორმეტე ადგილი მომეცით.

მოლარემ ბილეთი მისცა. როგორც კი მობრუნდა, სალაროდან გამოსასვლელში წითურმა კაცმა რადაც ანიშნა და ქუჩაში გავიდა. ისიც მას გაჰყვა. წითურმა ნაბიჯს უკლო. „წავიდეთ. მარცხნივ იარე ჩემგან დაშორებით. მომყევი“. ერთ პატარა ჩიხში შევიდა, იქიდან ეზოში გავიდა და ისევ ქუჩას გაჰყვა ქალაქის განაპირისაკენ. აი ერთ ეზოს მიუახლოვდა და შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა. საექვო ვერაფერი შენიშნა და ეზოში შევიდა. იქიდან ისევ მოპირდაპირე ქუჩაზე გავიდა. ახლა იგი ერთი მიტოვებული მშენებლობის ეზოში შევიდა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა და სიბნელეში მიიმალა. წამიც არ გასულა, რომ სწორედ იმ ადგილზე,

სადაც წითური იდგა, ახალი სილუეტები აღიმართა. სიბნელიდან წელი სტენა მოისმა. იმავე ხმით უპასუხა ახალმოსულმა და იქით გასწია, საიდანაც ხმა ისმოდა. ცოტაც და იგი შეჩერდა. მას ვილაც უცნობი მისჩერებოდა.

- რა ჰქენი, რატომ ჩაიშალა გადაცემა?
- არ ვიცი. თვითონ უნდა იცოდე.
- იყო პასუხი.

— გაგვეცი, არა? — მოისმა ისევ სიბნელეში, — შე ძაღლო შენა. თქვენისთანებზეა ნათქვამი, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. ვინ გახსნა თოფი, რატომ იყო მოშვებული ხრახნები?

სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ისევ მოისმა:

— მოიწი ახლოს, ძაღლისშვილო. აი დაიჭი, — და რადაც ესროლა. — მანდ ამჟღეობია. ახლავე შეჭამე. სულერთია, მინც მოგკლავ, ჩქარა, შე ოხერო!

სიჩუმე ჩამოვარდა. წითური ახლოს მიიწია... „რას ყოყმანობ?“ ამ დროს მის მოპირდაპირედ მდგომი უკან დაიწია და ხელი ჯიბისაკენ წაიღო. როგორც კი შენიშნა ეს წითურმა კაცმა, ელვის სისწრაფით დააძრო ფინური დანა და მისკენ გაექანა. სიბნელიდან დარტყმის ხმა მოისმა, შემდეგ მას კენესა მოჰყვა. ამ დროს ის ადგილი ჯიბის ფარნის თვალისმომჭრელმა შუქმა გაანათა.

— ხელეები მაღლა! — მოისმა და ჰაერში ცისფერი რაკეტა ავარდა. ორი კაცი, რომლებსაც ხელში ჯიბის ფარნები ეჭირათ, მოჩხუბრებისაკენ დაიძრნენ. ერთი მათგანი წითურთან მივიდა, რომელიც უგრძნობლად მიწაზე გამშლართულიყო, მეორე კი ოთარს მიეშველა, რომელსაც მარცხენა მხარი გასისხლიანებოდა და მკერდიდან თავისი ხელით დანას იძრობდა, საიდანაც ნიაღვარივით მოსჩქეფდა სისხლი.

- ოთარ, როგორა ხარ, ბიჭო?!
- არაფერია, გურამ, ნუ შეშინდე-



ბი, — ძლივს ამოილაპარაკა ოთარმა და იქვე ჩაიკეცა.

— ამხანაგო კაპიტანო, — გამოეხმაურა მას ის კაცი, რომელიც წითურთან მივიდა, — იგი მკვდარია.

— არა, გურამ, — ჩაიჩურჩულა ოთარმა. — იგი მკვდარი არ არის, გაბრუებულია დარტყმით. ჩქარა ააცალეთ ამპულები, თორ... — ველარ დაამთავრა ოთარმა, გრძნობა დაკარგა. სისხლი კი ისევ მოსჩქეფდა მკერდიდან.

— ჩქარა მანქანა, — დაიღრიალა გურამმა.

— ნუ ღელავთ, კაპიტანო, — მოესმა გურამს პოლკოვნიკის მშვიდი ხმა. — მანქანები აქ არის.

მან გურამს ხელი მოჰკიდა და გვერდზე გაიყვანა.

— ფრთხილად ჩასვით ჩემს მანქანაში და პირველსავე საავადმყოფოში მიიყვანეთ. ჩვენ ახლავე მოვალთ.

ორმა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ახალგაზრდამ ოთარი ფრთხილად ხელში აიყვანა და მანქანაში ჩასვა. პოლკოვნიკი ახლა წითურს მიუბრუნდა, რომელიც უკვე გონს მოსულიყო და ხელგმეპყრული იდგა ორ მცველს შუა.

— გებთ, ბატონო მაიორო, — დამცინავად მიმართა მას პოლკოვნიკმა.

— როგორც ხედავთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, — ირონიულად უპასუხა მან პოლკოვნიკს, — მაგრამ ჩემგან თქვენ ვერაფერს გაიგებთ.

— არც გვაინტერესებს. თქვენი ბინიდან უკვე ყველაფერი გამოვიტანეთ. ნივთები და ფაქტები ავალაპარაკებენ, ბატონო მაიორო, — და თავისი სიტყვის დასამტკიცებლად პოლკოვნიკმა ჩიბიდან რალაც ნივთი ამოიღო და წითურს აჩვენა. წითური ერთბაშად გამოიცვალა, წამსვე გაქრა მისი სიამაყე. იგი თითქოს დაიღია, დაჩივდა.

— მე... მე... არაფერი... — რალაცის თქმა დააპირა მან.

— მავაზე შემდეგ, მისტერ ვემსპიტ.

— მოუჭრა პოლკოვნიკმა. — წამსვე წამოვიდა. ჩვენ კი, გურამ, საავადმყოფოსკენ. ნუ ღელავ, ყველაფერი რიგზე იქნება.

მან გურამს ხელი ხელში გამოსდო და ჩქარი ნაბიჯით გასწია მანქანისაკენ.

ქალაქის № 3 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში დიდი ფუსფუსი იყო. ქირურგი ნუნუ ჩხაიძე სასწრაფოდ გამოიძახეს ბინიდან. როცა იგი საორდინატოროში შევიდა, იქ პოლკოვნიკი და გურამ წულაძე დაუხვდა. გურამი ძალიან ღელავდა. პოლკოვნიკი საავადმყოფოს მთავარ რენტგენოლოგს ელაპარაკებოდა, რომელმაც, როგორც კი ოთახში ექიმი შემოვიდა, პოლკოვნიკთან საუბარი შეწყვიტა და ქირურგს მიმართა:

— რთული მდგომარეობაა. აი, შეხედეთ, — რენტგენის ფირი გაუწოდა, — გააწრულია გული და მერე, ხედავთ, როგორ?

— სისხლი ბევრი დაკარგა ავადმყოფმა? — იკითხა ქირურგმა.

— ძალიან ბევრი, — ექთანის ნაცვლად უპასუხა პოლკოვნიკმა.

— ექიმო, სისხლის კატეგორია დადგენილია. სისხლი უკვე გადაუფსხით და საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეთ.

ამ დროისათვის ქირურგს უკვე ხალათი ეცვა და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა საოპერაციოსაკენ. კარებთან მობრუნდა.

— გურამ, შენ რატომ ღელავ? ვინ არის? რაშია საქმე?

გურამს პასუხი არ გაუცია. ნუნუ გაკვირვებით უტკეპრდა მას. „რაშია საქმე? — ფიქრობდა ის. — რამ ააღელვა, ნეტავ ეს ბიჭი?“ ნუნუს გურამი ასე აღელვებული და აფორიაქებული არასოდეს უნახავს.

საოპერაციო მაგიდის ირგვლივ რამდენიმე ექთანი იდგა. ასისტენტს უკვე გაემზადებინა ყველაფერი. როცა ნუნუ მაგიდასთან მივიდა, ერთ-ერთმა ექთან-

ნმა მას ავადმყოფის პულსი და სიცხე ამცნო.

— გადახადეთ! — ნუნუ უფრო ახლოს მიიწია. — მობანეთ! — ასისტენტმა ფრთხილად მობანა გულმკერდის არე. ნუნუმ ხელში ლანცეტი აიღო და ის იყო უნდა დაეწყო ოპერაცია, რომ უცებ ხელები გაუქვავდა. მკერდზე, რომელსაც უნდა შეხებოდა მისი ხელები, დამლა ამოიკითხა — „ნუნუ“. „ოთარ“ — უნდოდა დაეყვია მას. უცებ თვალთ დაუბნელდა. „რატომ, რატომ გაიკეთე, ოთარ, დამლა. სირცხვილია, ამხანაგები რას იტყვიან“. — მოაგონდა მას. მაშინ ისინი მოსწავლეები იყვნენ, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ! როცა გაიბუტებოდნენ, ნუნუ ბრაზით ეტყოდა ოთარს: „ამოშალე ჩქარა ეგ დამლა. ნუ ატარებ ჩემს სახელს. სულერთია, მე ამოგჭრი“.

— ექიმო, პულსი კვლავ ეცემა. — დაბალი ხმით ჩაილაპარაკა ექთანმა.

ნუნუ გამოერკვა.

— უანგბადი ჩქარა! მოამზადეთ სისხლი გადასასხმელად! — და ოპერაცია დაიწყო.

პოლკოვნიკმა ყურმილი დადო.

— შემდეგ, განაგრძეთ, ამხანაგო კაპიტანო.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მიღება-გადაცემის საქმე კარგად მიდის. „შეფი“ ჯილდოს მპირდება.

— შენ ყოჩაღი ხარ, გურამ! — შეაქო პოლკოვნიკმა გურამი. — მაგრამ შენზე ნაკლები როდია ოთარი. ჰო,

მართლა, როგორ არის, უკვე მთელი კვირა გავიდა, რაც არ მინახავს.

— გმადლობთ, უკეთ არის. უკვე ოთახში დადის. მგონი ერთი კვირის შემდეგ მთლად გამოჯანსაღდეს.

— ეს ძალიან კარგია. მეკავშირეებს როდის გზავნიან?

— ოც დღეში, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— კეთილი. მანამ ოთარი ფეხზე დღეება. ვეცადოთ ისე „ავიყვანოთ“ სამივე, რომ ოთარს ნაკლები დღევა მოუხდეს. სად უნდა შეხვდნენ? ისევ ნადირობაზე?

— არა, ამჯერად შეხვედრა მატარებელში უნდა მოხდეს. მათგან ორი პირადად იცნობს ოთარს.

— სწორედ ეგ აჭირვებს საქმეს, თორემ მათი „აყვანა“ ამ დრომდისაც შეიძლებოდა. დღეს რომელ საათზე უკავშირდებით?

— ჩვეულებრივად.

— მორიგ ინფორმაციას დაგიმზადებენ. გურამ, გადაეცი ოთარს, რომ ჩვენ ყველაფერი დევაზუსტეთ. მისი თანაპოლკელები კარგად ახასიათებენ მას. რამდენიმე დღეში პასპორტს მივეცემთ. ქორწილი როდის აქვთ?

— მომავალ კვირას.

— ჰოდა საჩუქარიც იმ დღისთვის დიდებული იქნება. დედათქვენი როგორ გრძნობს თავს?

— ძალიან კარგად. დღედაღამ თავზე ადგას ოთარს, ახალშობილივით თავს ევლება.

— სწორია, გურამ. ოთარი მეორედ იშვა ქვეყანაზე. იგი თავიდან იწყებს ცხოვრებას.





ადექსანდრა ჩხაიძე

გეგმური ხომალდის თავგადასავალი

ჩვენ მივხატებთ სანაპირო ქუჩის ხეივანით.

მარჯვნივ ასფალტის მაგისტრალია— მოძრაობით და ხმაურით საესე, მარცხენივ კი ზღვა — მშვიდი და დიდებუ-ლი.

აქ შეუძლებელია არ ილაპარაკო ან არ იფიქრო ზღვაზე. ადამიანზე საოცარი ძალით მოქმედებს ზღვის სიახლოვე. მართლაც, ძნელია გულგრილად უტყვირო ამ უსასრულო სივრცეს. ზღვას უთუოდ აქვს რაღაც ანდამატური, რაც ასე გიზიდავს, გატყვევებს. დღეს იგი ლამაზია და უწყინარი, მაგრამ რამდენი დაგუბებული ენერგიაა მასში. ახლა რომ ასეთი მშვიდია, შეიძლება ამაღამვე ისე გაგიჟდეს, რომ ნაფოტივით აათამაშოს აი ის საოკეანო ხომალდი. დაწყვიტოს რკინის ბაგირები, მოარღვიოს ქვის მოაჯირი და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ტყორცნოს ზვირთის ფაფარი.

მაგრამ ახლა ზღვა წყნარია და უნებლიედ აღვიძრავს რომანტიკულ ფიქრებს შორეულ ოკეანეებში მოგზაურობაზე, უცხო ქვეყნების ხილვაზე. მაგრამ ჩვენ ზოგჯერ გვაიწყდება, რომ მეზ-

ღვაურობა მხოლოდ მომხიბვლელი მოგზაურობა როდია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შრომა, ხშირად ხიფათიც. იმ ვეება გემის ქათქათა კედლებს იქეთ გაუმადარი ტრიუმებაა, რომლებიც უნდა აივსოს და დაიცალოს. პირდაბ-ჩენილ ღუმელებსაც კეება უნდათ. რომ სვლა არ შენელებს. წელზევით გაშე-შელებული ცეცხლფარეშები კი ზოგჯერ აუტანელ სიცხეში გავარგარებულ ღუმელებთან დგანან. მხოლოდ მეზღვაურისათვისაა ნაცნობი ის მძაფრი გრძნობა, როცა მთისოდენა აისბერგი წამოვა გემისაკენ, გასრესას უპირებს და მისი გადარჩენა კაპიტნისა და ეკიპაჟის მამაცობაზეა დამყარებული. შენ გძინავს კომფორტაბელური კაიუტის თბილ საწოლში და არც კი ფიქრობ, რომ იმ წუთში ღამეს ტეხენ, მგზავრის მშვიდ ძილს ფხიზლად დარაჯობენ ვახტზე მდგომი ადამიანები.

— საკვირველია, — ვეუბნები ჩემს თანამგზავრს, ნავსადგურის უხუცეს მუშაკს ივანე ბერიძეს, — ხომ ხიფათით აღსავსეა მეზღვაურის ცხოვრება, მაინც რამდენს იზიდავს ზღვა, ოკეანე!
— განა ხმელეთზე სიარული კი უხი-

ფათოა, — იღიმება ივანე და მიმითითებს მარჯვნივ, სადაც განუწყვეტლოვ დაჰქრია მანქანები, ავტობუსები.

— რაც არ უნდა იყოს, აქ ფეხი მაინც მიწაზე გიდგას!

— ეჰ, როგორ გეტყობა, რომ მეზღვაური არა ხარ!

ჩვენი კამათი თანდათან ემსგავსება იმ ძველ თქმულებას, მეზღვაურს რომ ჰკითხეს, რატომ არ მიანებებ თავს გემს, მამა, ბაბუა, პაპა ხომ ზღვაში დაგედუხნენო. მეზღვაურმა უპასუხა, თქვენ კი რატომ წევებით საწოლზე, თქვენი წინაპრები ხომ საწოლზე მოკვდნენო.

ამ უბანში ივანეს ბევრი ნაცნობი ჰყავს. მისალმებას ძლივს აუდის. უმეტესობა ძველი მეზღვაურია. მართალია, ახლა მათ გემთან მხოლოდ მოგონებაღა აკავშირებთ, მეზღვაურის ფორმა სამოქალაქო ტანსაცმლით შეუცვლიათ, მაგრამ პერანგს ქვემოთ მაინც მოუჩანთ ზებრისმაგვარი მისისურები.

სალამობით ისინი სანაპიროზე გამოდიან, რომ ღრმად ჩაისუნთქონ ზღვიდან მონაბერი მლაშე ნიავე, თუაღლი შეაღონ გემებს; შემდეგ კაფეში მრგვალ მაგიდას შემოუხსნდებიან, დაზოგვით სვამენ ფინჯან ყავას და ერთხელ კიდევ მოიგონებენ ახალგაზრდობას, ნახულს და განცდილს.

მოსაგონარი კი აუ, რამდენია!

...ბინდდება.

ჩვენ ქვის მოაჯირზე გადაყრდნობილი გავსტყვრით ზღვას. ახლა, მზის ჩასვლისას, იგი კიდევ უფრო მიმზიდველია, უფრო მშვიდიც, თითქოს დასაძინებლად ემზადებოდ.

ნავსადგურში შემოსული ფრთამალი კატერი ან მეთევზეთა სეინერი თუ დაარღვევს მის მყუდროებას. ლიცლიცებს ზღვის ზედაპირი და სუსტი ტალღები ელამუნებიან ნაპირს.

სამგზავრო ნავსადგურის მისადგომთან მომცრო, კოხტა გემს ჩაუშვია ღუზა. ეს „ადრიატიკია“, ბერძნების გემი.

მან ტურისტები ჩამოიყვანა ბათუმში. მოსორებით რუხი და გრძელკანიანი კერი მოჩანს. მას ნავთობპროდუქტებით ტვირთავენ და უკვე კარგა ღრმად ჩამჯდარა წყალში. ალბათ, ამაღამვე გავა ნავსადგურიდან.

ჩვენს წინ სეინერების, ბუქსირებისა და ნიჩბიანი ნავების მთელი ფლოტილია გამწყვრივებულია.

— აბა, ამას თუ იცნობ? — მეკითხება ივანე და მიმითითებს ჩვენს გვერდით ნაპირზე გარიყულ კარჭაპსა თუ ბუქსირზე.

თვალი შეევაღლე, მაგრამ მასში ღირსშესანიშნავი ვერაფერი აღმოვაჩინე, — ჩაშავებული, ყანგმოდებული კორპუსი, გაძარცული გემბანი, რომელზეც არც ანძა მოჩანს, არც მილი...

— ადამისდროინდელი უნდა იყოს, — ღიმილით ვეუბნები.

— საქმეც მაგაშია, — საეხებით სერიოზულად ამბობს ივანე, — აბა კარგად დაუკვირდი, ხომ არ გეცნობა? შენ ხომ ბათუმელი ხარ?!

ახლა მეც დავინტერესდი, მეორე მხრიდან შემოვუარე და ერდოზე ძლივს გავარჩიე გადარეცხილი ასოები — „ბატუმი“. ლითონის ჰეინტი ელექტროსაჰტრისით მოუჭრიათ და იგი ზღაპრული მხეცის ეშვივით ჩაფლულა ქვიშაში. მასზე ამოვიკითხე გემის სახელწოდების პირველი ნახევარი — „კრასნი“.

„კრასნი ბატუმი“! აი თურმე რა ყოფილა! ამ სახელს კარგად იცნობენ არა მარტო მეზღვაურები, არამედ თვითუღი ბათუმელიც. რამდენი ათეული წელია „კრასნი ბატუმი“ ემსახურება ბათუმის ნავსადგურს! რამდენმა მეზღვაურმა აიდგა ფეხი მის გემბანზე!

— თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ მოვედი ბათუმის ნავსადგურში, „კრასნი ბატუმი“ კი უკვე დამხვდა აქ, — მეუბნება ივანე და სიყვარულით ათვალაიერებს ხომალდის ნაჯაფარ კორპუსს. ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი თავის ახალგაზრდობას აგონებს.



ნახევარი საუკუნის წინათ!

რამდენი რა მოხდა ამ ჩვენს მეოცე საუკუნეში და ყველაფერი ამის მომსწრეა ეს პატარა, შეუმჩნეველი ხომალდი, უფრო სწორად, ნახომალდარი.

— ეჰ, მაგას რომ ენა ჰქონდეს!.. — თითქოს ჩემს ფიქრებს უპასუხებს ივანე, — რამდენ რამეს მოყვებოდა!

ისევ დავდუმდით.

უკვე სავსებით ჩამობნელდა, უფრო გარკვევით აღუდუნდა ტალღები და თითქოს ბებერი ხომალდის ხმა შემომგისმა:

„თუ კარგად დამაკვირდებით, ჩემს ტანზე ახლაც შეამჩნევთ ბრინჯაოს დაფას ნაჩუქურთმევი წარწერით — „1903 წ. ნიკოლევი“. ეს დაბადების დრო და ადგილია. ჩემი სიმძლავრე 250 ცხენის ძალას უდრიდა, ხოლო წყალწყვა — 152 ტონას. ასეთმა მასშტაბებმა ახლა შეიძლება ღიმილიც კი მოგგვაროთ, მაგრამ მაშინ პირველი თუ არა, არც უკანასკნელი ვიყავი. მასსოვს შავი ზღვის ნავსადგურები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩემს დასაკუთრებაში. აბა, ნავსადგურების პაპას ვინ აჯობებდა! რამდენიმე წელი ოდესის ნავსადგურს ვემსახურებოდი. მუდამ დაუფიწყარია ჩემთვის იქ გატარებული დღეები. თითქოს გუშინ იყო, ჯავშნოსანმა „პოტიომკინმა“ რომ დააქუხა თავისი ქვემეხები. დიდი ამბები დატრიალდა მაშინ ოდესაში. მაგრამ იქ ყოფნა დიდხანს არ დამცალდა, ფოთის ნავსადგურისაკენ ავიღე კურსი. აქაც ერთი წელი თუ ვიყავი; საბოლოოდ ბათუმში ჩავუშვი ღუზა. ეს იყო 1910 წელს.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, მაშინ სახელიც სხვა მერქვა „ტავრიდა“. ჩემი მოსვლა ბათუმის ნავსადგურში დიდი ზეიმით აღნიშნეს. ხუმრობით ბათუმის ფლოტილის ფლაგმანს მეძახდნენ. კაპიტანიც შესაფერისი დამინიშნეს, გამოცდილი მეზღვაური ნიკოლოზ დონდუა. ნამდვილი ვაჟკაცი იყო. იყო იმიტომ ვამბობ, რომ მას

შემდეგ აგერ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, თორემ ჩემი პირველი პიტანი ახლაც ცოცხალია. მართალია, ჩემსავით ისიც დაბერდა. ხუმრობა ხომ არაა, აგერ უკვე 86 წლის მაინც იქნება. კარგა ხანია პენსიაშია, მაგრამ ხშირად მომინახულებს ხოლმე. თავის ახალგაზრდობას თუ იგონებს! მოსაგონარი კი განა ცოტაა...

მე შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში როდი ვცურავდი. ჩემი მოვალეობა პატარა იყო — მოვმსახურებოდი ნავსადგურში შემოსულ გემებს. ერთი შეხედვით თითქოს უმინიშნელო საქმეა, არა? მე კი სხვანაირად ვფიქრობ. დიდი საოკეანო გემები და კრეისერები გაშლილ ზღვაში ლაღად გრძნობდნენ თავს, მაგრამ როგორც კი მოუახლოვდებოდნენ ბათუმს, რეიდზე უმწეოდ შეჩერდებოდნენ. და აი სწორედ მე ვაყენებდი ნავმისადგომთან ამ ვეებერთელა ხომალდებს. მერე კიდევ ნავსადგურში სხვა საქმეს რა დალევდა. დღიან-ღამიან მოსვენება არ მქონდა, რადგან მე ერთი ვიყავი, ხოლო საქმე ათასი.

ჰო, იმას ვამბობდი, ძირითადად შემოსულ გემებს ვემსახურებოდი, ნავსადგურიდან შორს არ გავდიოდა-მეთქი. ზოგჯერ ფოთში თუ მომიხდებოდა წასვლა. მაგრამ, ერთ ხანს, ჩემი დანიშნულება და მარშრუტი რამდენადმე შეიცვალა. ეს იყო პირველი მსოფლიო ომის წლებში. მოგეხსენებათ, მაშინ რუსეთი თურქეთს ეომებოდა. ბათუმში ომი მაინცდამაინც არ იგრძნობოდა. მე ჩემს ჩვეულებრივ მოვალეობას ვასრულებდი. ეს კია, სამხედრო გემებს მიმოსვლა გახშირდა, ჯარის ნაწილების მოძრაობა გაიზარდა. ბოლო ხანებში რუსეთის სარდლობას, ალბათ, ძალზე გაუჭირდა, რადგან მეც მოვაგონდი. ერთხელ ჯარის ნაწილით და საომარი საჭურვლით დამტვირთეს. კურსი თურქეთის სანაპიროებისაკენ ავიღეთ. და ახლოებით ექვს საათში ტრაპეზუნის ნავსადგურში ჩავუშვით ღუზა. აქ მცო-

რე ხანი დავყავით, დაჭრილები მივიღეთ და უკან, ბათუმისაკენ გამოვემართეთ. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. რომ ვთქვა, ბრძოლებში მივიღე მონაწილეობაო, არ იქნება მართალი, ისე კი მეც მიმიძღვის პატარა წვლილი მებრძოლების გადარჩენაში, რომელთა შორის იყვნენ ქართველებიც, რუსებიც და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. ჩვენ დიდი-დიდი ორასი დაჭრილის წამოყვანა თუ შეგვეძლო. ხშირად მესმოდა, როგორ ედავებოდნენ ოფიცრები ჩემს კაპიტანს ნიკოლოზ დონდუას, მეტი დაჭრილის გადაყვანას მოითხოვდნენ. საერთოდ, გემის გადატვირთვა სასტიკადაა აკრძალული და ყველა კაპიტანი ვალდებულია დაემორჩილოს ამ წესს, მაგრამ აბა მაშინ წესსა და რიგს ვინ დაგიდევდა! კაპიტანსაც ქვა ხომ არ ედო გულის მაგივრად; ბოლოს ისიც თანხმდებოდა და ასე პირთამდე გადატვირთული მოვემართებოდით ბათუმისაკენ. სად არ იწვნენ დაჭრილები! — გემბანზე, ტრიუმფში, კაპიტანის კაიუტაშიც კი. ზოგჯერ სუნთქვაც მიჭირდა, განსაკუთრებით შტორმის დროს, მაგრამ კაპიტანი მყავდა სამივედო, ეკიპაჟი—გამოცდილი.

რამდენიმეჯერ ქერჩშიც მომიხდა წასვლა. მოგხსენებათ, ომიანობის დროს ხალხი ვაჭირვებით ცხოვრობდა, სურსათი არ იყო საყოფად, განსაკუთრებით მარილის ნაკლებობა იგრძნობოდა და მეც ქერჩიდან კარჭაბით ჩამომქონდა მარილი.

1918 წელს, ბათუმში თურქეთის ჯარი რომ შემოვიდა, ნავსადგურის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არაფერი დაეტოვებინა მოწინააღმდეგისათვის. ნავსადგურში ერთადერთი მცურავი ამწე გემქონდა, ორმოცტონიანი; იმ დროს იგი ჩვენთვის მთელ სიმდიდრეს წარმოადგენდა. მისი გადატანა ფოთში მე მხვდა წილად. როცა თურქებმა ბათუმში დატოვეს, ის ამწე ისევ ჩამოვიტანე ფოთიდან. ახლაც ცოცხალია; აი

ხომ ხედავთ, ნავმისადგომთანა. მაგ...
რამ ახლა, მაინცდამაინც, აღარ გავხსენებენ, რადგან ერთის მაგივრად ბარე ათამდე ელექტროამწე ემსახურება ნავსადგურს.

თავი თუ არ შეგაწყინეთ, მინდა კიდევ ერთი პატარა ამბავი მოგიყვებოდეთ. ალბათ, თქვენთვის საინტერესო იქნება. ამ ამბის მონაწილეთაგან ახლა ბევრი აღარაა ცოცხალი, მე მგონი, არც; არავის დაუწერია ამაზე. ვგონებ, ურიტო არ იქნება, რომ სხვებმაც იცოდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, მათი მამებისა და პაპების სასახელო საქმეები.

ეს მოხდა 1921 წლის მარტში, სწორედ იმ დღეებში, როცა მენშევიკები ტოვებდნენ საქართველოს და საზღვარგარეთ გარბოდნენ. დიდი არეულობა იყო მაშინ ჩვენს ნავსადგურში. რეიდზე იდგნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის სამხედრო და სამგზავრო გემები. უკვე გრძობდნენ, რომ აქ აღარაფერი ესაქმებოდათ და წასასვლელად ემზადებოდნენ. ერთერთ გემზე გადავიდა მენშევიკთა მთავრობა. მაგრამ სანამ ჩვენს ნაპირს დატოვებდნენ, მენშევიკებმა გასცეს კიდევ ერთი ბრძანება: ბათუმის ნავსადგურში მყოფი ყველა გემი, დიდი და პატარა, ნიშნის მიცემისთანავე უნდა მოხსნილიყო ღუზიდან და გაჰყოლოდა ფრანგთა კრეისერს კონსტანტინეპოლისაკენ. სხვათაშორის, ნავსადგურში მაშინ იდგნენ აგრეთვე ფოთიდან ჩამოყვანილი სხვადასხვა ზომის თბომავლები, კატერები, კარჭაპები, ნაგები. მაგრამ მენშევიკების მთავრობას უკვე აღარავინ არ სცნობდა. გადაწყდა, ყოველნაირად შეგვეშალა ხელი ოკუპანტებისათვის, რათა სისრულეში არ მოეყვანათ თავიანთი განზრახვა.

გუშინდელივით მახსოვს: ფრანგების კრეისერიდან ჩემკენ გამოემართა პატარა მოტორიანი ნავი, რომელშიც ფრანგი ოფიცერი იჯდა.

— სად არის კაპიტანი? — იკითხა მან დამტვრეული რუსულით.

— მე გახლავართ, — წარუდგა ოფიცერს ნიკოლოზ დონდუა.

— წინადადებას გაძლევთ, თქვენმა ბუქსირმა რეიდზე გაიყვანოს ნავსადგურში მყოფი ყველა თბომავალი და ნავი, ხოლო შემდეგ უკან გამოგვყვით.

ნიკოლოზს ნავსადგურის არაღუგა-ლური ბოლშევიკური ორგანიზაციის საიდუმლო დავალება ჰქონდა. ამიტომ პასუხი არ დააყოვნა:

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ბუქსირზე არც ერთი გრამი საწვავი არაა, მოგეხსენებათ, უსაწვავოდ...

— გაძლევთ ორი საათის ვადას, — შეაწყვეტინა ოფიცერმა, — წინააღმდეგ შემთხვევაში, სხეანაირად მოგელაპარაკებთ! — და ჩემკენ მრისხანედ მომართული კრეისერის ქვემეხებისაკენ გაიშვირა ხელი.

შემდეგ მან თანმხლებ მატროსს რა-ღაც შეხვეული გამოართვა და კაპიტანს გაუწოდა.

— ახლავე დაუშვით თქვენი ალამი და აი ეს — ფრანგული ალამი აღმართეთ.

ეს თქვა და კრეისერისაკენ გაემართა.

ამასობაში, დონდუას მთელი ეკიპაჟი შემოეხვია.

— ეს მაინც რაფა გაბედა მაგ გადამთიელმა, თქვენი ალამი ჩამოუშვით და ჩვენი ააფრიალეთო!.. — გაბრაზდა უფროსი მექანიკოსი სოფრომ გაბისკერია და ფრანვის დატოვებული ალამი შორს მოიქნია.

— როგორ მოვიქცეთ, ბიჭებო? — მიუბრუნდა დონდუა ეკიპაჟის წევრებს.

— რა საკითხავია! ამოდენა სიმდიდრე მტერს დავუთმოთ?! ჩვენი „ტავრა-და“ მაგათ გავატანოთ? — შესძახა მექანიკოსმა ალექსანდრე გვასალიამ.

— დღეს თუ ხვალ ბოლშევიკები შე-

მოვლენ. ჩვენი ვალია, ნავსადგურის მთელი მეურნეობა შევინახოთ! — განაცხადა მემანქანე ლუკა ბორდიენკომ.

— ბუქსირს ჩავძირავთ და მტერს კი არ დავანებებთ! — ასე გადაწყვიტა მთელმა ეკიპაჟმა.

სხვა გადაწყვეტილებას არც მოველოდი ჩემი ბიჭებისაგან, მაგრამ მაინც გამეხარდა. უნდა შეგახსენოთ, რომ მაშინ ერთადერთი ბუქსირი ვიყავი და ამიტომ მხოლოდ მე შემეძლო მთელი ფლოტილის გაყვანა ნავსადგურიდან. ამრიგად, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რას გადაწყვეტდა ჩემი ეკიპაჟი.

ამასობაში, ნაპირზე ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მართლა მიემალათ საწვავი. თქვენ მაშინ ხომ ნავსადგურის ზედამხედველად მუშაობდით, ჩემო ივანე, და ჩემზე უფრო გამახსოვრებათ ეს ამბავი. ისე ჩახერგეს რკინიგზის სადგურში საწვავით სავსე ცისტერნა, რომ ფრანგები კი არა, ეშმაკიც ვერ მიაგნებდა.

გავიდა ერთი საათი და კრეისერიდან ჩემკენ ისევ გამოემართა მოტორიანი ნავი.

— რატომ დგეხართ? — იკითხა მრასხანედ ოფიცერმა.

— ჯერ საწვავი არ მიგვიღია, ... მშვიდად მიუგო დონდუამ.

— აბა, აბა, დაუჩქარეთ! — თქვა ოფიცერმა და ისევ გაბრუნდა კრეისერისაკენ.

წინააღმდეგობის გაწევა, ბრძოლის მიღება უაზრო იყო. თვალის ასახვევად, აქაოდა. საწვავი უნდა მივიღოთო. გავემართეთ მოპირდაპირე ნავმისადგომისაკენ, აი იქ, სადაც ახლა ტანკერები ნავთობპროდუქტებს იღებენ.

აქ კაპიტანმა შეკრიბა ეკიპაჟი.

— ბიჭებო! — მიმართა მან, — კრეისერის ქვემეხებთან ჩვენ ვერაფერს გავხდებით. არადა, დამორჩილება და-



ლატს უდრის. ამიტომ ჯობს, ჩავძიროთ ჩვენი „ტავრიდა“. რას იტყვი?

მთელი ეკიპაჟი დუმდა.

მათ დუმილში კარგად მესმოდა ის დიდი გულისტკივილი, რასაც თვითეული მათგანი განიცდიდა ამ იძულებითი გადაწყვეტილების გამო. მართალი გითხრათ, მშობლიურ ნაპირებთან ჩაძირვა მერჩვენა, უცხო ქვეყანაში გადაკარგვას; თანაც დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან, ჩემი ბიჭები ისევ მომიგონებდნენ, წყლიდან ამომიღებდნენ და კიდევ ვაუწყებდი სამსახურს ბათუმის ნავსადგურს.

— გასხენით კინგსტონები! — მომესმა კაპიტნის ბრძანება.

მთელი ეკიპაჟი ნაპირზე გადავიდა.

სულ მალე ვიგრძენი, თუ როგორ გამეგოს გვერდები წყლით, თანდათან დავმძიმდი, სულ უფრო ღრმად ვიძირებოდი ზღვაში...

ვხედავდი, თუ როგორ უხმოდ მთხოვებოდა მთელი ეკიპაჟი. ჩემი კაპიტანი თვალს მარიდებდა. უცებ ნიკოლოზმა შესძახა:

— შეაჩერეთ!.. დახურეთ კინგსტონები!

ყველანი მას მიაჩერდნენ.

მეც მომეშვა ცოტათი გულს.

— იყოს ასე ნახევრადჩაძირული. მოვიცადოთ. უკანასკნელ მომენტში, თუ საჭირო იქნა, მთლად ჩაფუშვებთ ფსკერზე, — თქვა დონდუამ.

მაგრამ, საბედნიეროდ, ეს მომენტი აღარ დადგა.

ორი საათის შემდეგ ფრანგი ოფიცერი მოტორიანი ნავით ისევ მომადგა, მაგრამ რომ შემხედა, ვიძირებოდა, ერთი მაგრად შეიკურთხა და კრეისერისაკენ გაბრუნდა.

აღბათ, ფრანგებს ჩვენთვის აღარ ეცალათ, თავიანთი გაჭირვება აწუხებდათ. მალე უცხოელთა გემებმა ასწიეს ღუზები და მოიხსნენ რეიდიდან. თანდათან თვალს მიეფარნენ.

ჩემმა ეკიპაჟმა მაშინვე დაიკავა აღ-

გული. უმალ ამოქაჩეს წყალი. თანდათან ფლად ამოვისუნთქე. ასე გადავრჩით მე და ჩემი ამხანაგები უცხოეთში გადაკარგვას, სადაც ახლა ჩვენი ძვლები კი არა, აღბათ, ხსენებაც აღარ იქნებოდა.

ნავსადგურში დაიწყო ახალი ცხოვრება. სახელიც ახლებური შემარქვეს „კრასნი ბატუმი“. ჩემმა პირველმა კაპიტანმა ნიკოლოზ დარჩიამ მომნათლა. თვითონ კი გამომეთხოვა, რადგან, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეზღვაური, ნავსადგურის ლოცმანად გადაიყვანეს. თუმცა ჩვენ შემდეგაც სულ ერთად ვიყავით. რადგან ორივე ერთად ვაყენებდით ნავმისადგომთან გემებს.

მე ისევ ძველებურად ვმუშაობდი. მართალია, პირველ ხანებში გემები ნაკლებად შემოდისდნენ, მაგრამ სამაგიეროდ ნავსადგურის მშენებლობასა და კეთილმოწყობაში ვმონაწილეობდი. განა ასეთი იყო მაშინ ჩვენი ნავსადგური! ახლა აქ, ხომ ხედავთ, საღამოობით ხალხი ისე გამოდის სასეირნოდ და დასასვენებლად, როგორც პარკში, წინათ კი ეს გახლდათ ქალაქის ყველაზე ჭუჭყიანი და მოუწყობელი უბანი. მთელი ქუჩა ყუეახანებსა და სამიკიტნობს ეკავათ. იყო ერთი ნარდის თამაში და დანების ტრიალი. ომმა და მოუვლელობამ თვითონ ნავსადგურიც გააოხრა — ნავმისადგომები — დანგრეული, ფსკერი — დანავიანებული. ვინ იცის, რამდენჯერ მიმირტყამს გვერდები წყლიდან ამოჩრილი რკინის ბოძებისათვის. ჰოდა, ყველაფერ ამას მოვლა და პატრონობა უნდოდა. ამ საქმეშიც მე ჩამაბეს. პირველ რიგში ფსკერის გაწმენდას და გასწორებას შევუდექით. ერთხელ, კინალამ ნაადრევად წავიღე წერილი საიქიოში. ნაპირიდან არც თუ ისე დაშორებით ფსკერს ვაღრმავებდით. ამოღებული ხრეში კარჭაპით მეორე მხარეს გადაგვქონდა და უფრო ღრმა ადგილებს ვასწორებდით. უცებ, შიშნარევი შეძახილი მომესმა. ვხედავ,



წყლიდან ამოღებულ ციკვში რამდენიმე ქვემეხის ყუმბარა გაჩხერილა. ასეთ დროს სიფრთხილეა საჭირო, თორემ შეიძლება ყუმბარა გასკდეს. უკან ჩაშვებაც არ შეიძლებოდა. ბიჭების სიციხლე ზეწვზე ეკიდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუხევიდა უკან. ფრთხილად დააწყვეს ყუმბარები კარჭაპზე, შემდეგ ისინი შორს გაეიტანეთ და ზღვაში გადაეყარეთ.

ახლა რომ გემთსაშენი ქარხანაა, წინათ სარემონტო სახელოსნოები იყო. იქ მუშაობდნენ ძველი ბოლშევიკები გიორგობიანი, ავთანდილოვი, დეტრუჟი და სხვები. მათი თაოსნობით გაკეთდა ფსკერის საწმენდი მტურავი კარჭაპი „საბჭოთა საქართველო“. ეს კარჭაპიც მე დამყავდა. ასე თანდათან მოვიყვანეთ წესრიგზე ნავსადგური. წინათ მხოლოდ მეთევზეთა სეინერები და იალქნაინი ნავეები თუ ადგებოდნენ ნაპირს, ახლა კი, ზომ ხედავთ, ის ვეებერთელა გემი ისე ახლო დგას ნავმისადგომთან, რომ ხელით მიწვდება კაცი.

მალე დამაკისრეს კიდევ ერთი მოვალეობა: ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა. ნავსადგურში კი, სადაც ყოველთვის დიდძალი საწვავი და ათასნაირი ძვირფასი ტვირთია, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩემს გემბანზე მოაწყვეს ცეცხლმჭრობი მოწყობილობა. ეკიპაჟიც გაიწაფა ამ საქმეში და ბევრჯერ ისახელა თავი. მახსოვს, ერთ-ერთ საწყობში ბამბას გაუჩნდა ცეცხლი და, ჩვენ რომ დროზე არ მივშველებოდით, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა საქმე.

ერთი სიტყვით, როგორც შემეძლო, ისე ვეწეოდი ჭაპანს. თანდათან ვხუცდებოდი, ძალა მაკლდებოდა, მაგრამ მცირე ხნით შემასვენებდნენ, შემაკეთებდნენ, მომივილიდნენ და მოლონიერებული კვლავ ვდგებოდი მწყობრში. ამასობაში ნავსადგურს ემატებოდა ახალი თბომავლები, კატერები, ნავეები. ჩემს დასახმარებლად მოვიდა ბუქსირი

რი „სტახანოვეცი“. სხვათაშორის, მასზე ახლა მუშაობს ჩემი ყოფილი მეგობარი ტანი ვლადიმერ ელიავა.

ვინ მოთვლის, რამდენმა მეზღვაურმა აიღვა ფეხი ჩემს გემბანზე! მიხარია, როცა ვხედავ მათ, — დავაჟაკებულეებს, სახელმოხვეჭილთ, ვეებერთელა გემების კაპიტნებად და შტურმანებად. ანდა როგორ არ გაგებარდება, როცა ბათუმის ნავსადგურში ხანგრძლივი მოგზაურობიდან ბრუნდება ტანკერი „გორკი“. ამ ტანკერის კაპიტნის ხიდურზე მე ვხედავ გრიშა სტურუას. დარწმუნებული ვარ, რომ ისიც მომქეზნის, ცალი თვალით მაინც და, ალბათ, მოიგონებს „კრასნი ბატუმზე“ გატარებულ ჭაბუკობის წლებს. ამას წინათ ყური მოვკარი, მეზღვაურები ლაპარაკობდნენ, გრიშა სტურუა კაპიტნად დაუნიშნავთ ტანკერ „თბილისზე“. ეს ის ტანკერია, ზერსონელებმა რომ ააგეს და თბილისის 1500 წლის პატივსაცემად საქართველოს დედაქალაქის სახელი რომ უწოდეს. ამ ზაფხულს შორეული მურმანსკიდან ჩამოვიდა ჩემი აღზრდილი აკაკი ჭყონია. იგი ახლა თევზმჭერი ფლოტილის ერთ-ერთი გემის კაპიტანია და, როგორც ამბობენ, კარგი მეზღვაურიცაა. ჩამოვიდა და მაშინვე მომიჩახულა. შევამჩნიე, ცოტა არ იყოს, გული დაწყდა, ასე დაჩაჩანაკებული რომ დამინახა.

რახან სიტყვას მოჰყვა, ბარემ იმასაც გეტყვით, რაც მაწუხებს. ამ ქვეყანაზე უკვდავი არავინ და არაფერია. არც მე ვარ მათუსალა და დროა უკვე ძვლები დავასვენო. მაგრამ მაინც მინდა რაღაც პატარა სარგებლობა მოვუტანო ადამიანებს. სრულებითაც არ მწყენია და არც მტკენია, რკინის ჯავშანი რომ შემომაცალეს. ვიცი, მას გამოიყენებენ ახალი, უფრო დიდი გემის ასაშენებლად და ამჯერად ჩემი სხეულის ერთმა ნაწილმა შეიძლება უფრო შორეულ რეისებში იმოგზაუროს. მანქანა-მოწყო-



ზილობანი ჩვენი ქალაქის საზღვაოსნო სასწავლებელში წაიღეს, რომ მასზე მეზღვაურთა მომავალი თაობა დაოსტატდეს ნაოსნობაში. ერთი სიტყვით, მე კიდევ მოვიტან პატარა სარგებლობას, მაგრამ გული რატომღაც მაინც მეთანადრება. მეთანადრება იმიტომ, რომ ნაწილებად ჩემს დაშლასთან ერთად დავიწყებას მიეცემა ერთი პატარა საბუქსირო თბომავლის „კრასნი ბატუმის“ ცხოვრების ისტორია. შეიძლება, თავისთავად, ეს არც იყოს დიდი დანაკლასი, მაგრამ ჩემს ცხოვრებასთან დაკავშირებულია ჩვენი ქალაქის ნავსადგურის, ბათუმელ მეზღვაურთა მთელი თაობის სახელოვანი საქმეები. ისინი კი დავიწყების ღირსნი არ არიან.

მიმიხვდით, რისი თქმაც მსურს? ბათუმი ძველთაძველი საზღვაო ქალაქია. მის განვითარებაში ნავსადგურს თვალსაჩინო ადგილი უკავია. ჰოდა, ხომ არ არის დრო, სერიოზულად ვიფიქროთ ბათუმში საზღვაო მუზეუმის შექმნისათვის? მე მგონია, რომ კარგა ხანია დროა. თავიდან რომ გვეფიქრა ამაზე, დღეისათვის საკმაოდ მდიდარი მუზეუმში გვექნებოდა და სხვა მიღწევებთან ერთად საზღვაო ტრადიციებითაც მოვაწონებდით თავს ჩვენს ქალაქში ჩამოსულ ტურისტებსა და დამსვენებლებს. განა არ არის საინტერესო, რაც ახლა მოგითხრეთ? განა ყველა იცის, რომ ელიზბარ გოგიტიძე ბათუმელია? მუზეუმს ნამდვილად დაამშენებდა ამ სახელოვანი კაპიტნის ცხოვრების ამსახველი მასალები. ვეშაპთმხოცი ფლოტილია „სლავა“ ვის არ გაუგონია! მასზე მამაცურად შრომობენ ბათუმის სა-

ზღვაოსნო სასწავლებელში აღზრდილები — ზენაიშვილი, ინწკირველი, სვანიძე და ბევრი სხვა, რომლებმაც მრავალჯერ ისახელეს თავი და ასახელეს მშობლიური ქალაქი. სხვათაშორის, ალბათ, გახსოვთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ „სლავა“ ეწვია ბათუმს. მერე რა? აქედან მხოლოდ მოგონება დარჩა, რომელიც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცემა. მუზეუმში მოთავსებულ უბრალო ფოტოსურათს კი შეეძლო მრავალი ათეული წლის შემდეგაც გაცეცოცხლებინა ეს ფაქტი. რამდენი საზღვარგარეთელი ტურისტი ჩამოდის ბათუმის ნავსადგურში, რამდენი უცხოელი მეზღვაურისათვის აღმოუჩენიათ სამედიცინო დახმარება ჩვენს ექიმებს! ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელოა, შარშან შეეციის გემის მეზღვაურები რომ შეხვდნენ ჩვენი ქალაქის ფეხბურთელებს, მაგრამ ესეც ისტორიაა. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ რამეს მოგვითხრობდა ბათუმის საზღვაო მუზეუმში! ცუდად ნუ ჩამომართმევთ და ამ მუზეუმში მეც მექნებოდა ერთი პატარა კუთხე“.

...ჩვენ უკან ებრუნდებით სანაპირო ქუჩით.

ლამის სიწყნარეში ყრუდ გაისმის ნაბიჯების ხმა. ახლა უფრო იშვიათად ჩაიქროლებს ავტომანქანა.

ზღვა კიდევ უფრო წყნარია და მის ზედაპირზე ფოსფორივით ციმციმებს ელნათურების შუქი.

წყნარი ტალღები ელამუნებიათ ნაპირს და მათ დუდუნში თითქოს კვლავ გვესმის ბებერი ხომალდის აღსარება.



ზიგე ხინთიბიძე

სახალხო განათლებისა და კულტურის ახალი
მძღაპრი აღმავლობის შვიდწდედი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შევიწლია-
ნი გეგმა, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ მი-
ილო, მიზნად იხსახავს კომუნისტი მატერიალურ-
ტექნიკური ბაზის შექმნას. მაგრამ კომუნისტიზე
გადასახველად საჭიროა არა მარტო შესახამისი
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ ამავ
დროს მასების კომუნისტური შეგნებულების მაღა-
ლი დონეც, რადგან, როგორც ამხ. ნ. ხრუშჩოვ-
მა განაცხადა თავის მოხსენებაში სკკპ XXI ყრი-
ლობაზე, „რაც უფრო მაღალია მილიონიანი მასე-
ბის შეგნებულება, მით უფრო წარმატებით შეს-
რულდება კომუნისტური შეგნებლობის გეგმები“.
ამიტომ, რომ პარტია თანამედროვე ეტაპზე
უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მშრომელთა, უწი-
ნარეს ყოვლისა ნოზარდი თაობის კომუნისტურ
აღზრდას და შევიწლიედის ერთ-ერთ მთავარ ამო-
ცანად მიიჩნია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის
შემდგომი გაძლიერება.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობის კომუნის-
ტურ აღზრდაში განსაკუთრებული როლი ეკუთვ-
ნის სკოლას. იგი მოწოდებულია აღზარდოს კომუ-
ნისტის მომავალი მშენებლები, მოსწავდე თაობას
ჩაუნერგოს საბჭოთა ადამიანის საუკეთესო მორა-
ლური თვისებები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს
მის სულიერ ფორმირებაში. ამ ამოცანის გადაჭ-
რაში ჩვენს სკოლას გარკვეულ წარმატებებთან ერ-
თად ჰქონდა სერიოზული ნაკლოვანებებიც. მათ-
გან მთავარი იყო ცხოვრებასთან სუსტი კავშირი,
შრომითი აღზრდის შეუფასებლობა. პარტიამ
დროულად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ამ
ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მათელ სას-

კოლო მუშაობას საფუძვლად დაუდო ვ. ი. ლენინის
დებულება იმის შესახებ, რომ „... შეუძლებელია
წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეა-
ლი უინისოდ, თუ ახალგაზრდა თაობის სწავლება
ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული:
ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გა-
რეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავ-
ლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნება აყვა-
ნილი იმ სიმადლეზე, რომელსაც ტექნიკის თანა-
მედროვე დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარე-
ობა მოითხოვს“ (თბზ., ტ. 2, გვ. 584).

აქედან გამომდინარე შევიწლიედის მანძილზე
შემდგომ გაიზრდება სახელმწიფოსა და საზოგა-
დოების როლი ახალი თაობის აღზრდაში. კერძოდ,
გათვალისწინებულია ბავშვთა ბაგების, ბაღების,
სკოლა-ინტერნატების ქაღის გაფართოება. მარტო
სკოლა-ინტერნატებში 1965 წელს ისწავლის სულ
ცოტა ორნახევარი მილიონი ბავშვი, ხოლო საბავ-
შვო ბაღების კონტინგენტი გაიზრდება ოთხი მი-
ლიონ ორასი ათასამდე. ამავ პერიოდში უმაღლე-
სი სასწავლებლები გამოუშვებენ ორ მილიონ
300 ათას სპეციალისტს და მათი საერთო რიცხვი
1965 წელს 4.5 მილიონზე მეტი იქნება.

სოციალისტური საზოგადოების სულიერი კულ-
ტურის განვითარებასა და გამდიდრებაში დიდმნი-
შვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე ლიტერა-
ტურა და ხელოვნება. მათი ამოცანაა დაეხმარონ
პარტიას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დი-
ადი ამოცანის გადაჭრაში, მრავალეროვანი სოცია-
ლისტური კულტურის განვითარებაში, კარგი
ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში. ამიტომ

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკის, სკულპტურისა და ფერწერის ახალ მძლავრ აღმავლობას. ახალ შვიდწლედში ფართოდ განვითარდება პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, გაფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, გადრეკება ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნის ტირაჟი.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხრუნველობით სოციალისტურმა კულტურამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია აჭარაშიც. საბოლოოდ ლიკვიდირებულია წერაკითხვის უცოდინარობა, მთელი რესპუბლიკა მოფენილია სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცემის კერების ფართო ქსელით. ახლა აჭარაში არ არის ისეთი სოფელი, სადაც არ ჩქეფდეს სისხლსაგვსე კულტურული ცხოვრება. თუ საბჭოთა ხელოვნულების დამყარებამდე აქ არ იყო არც ერთი უმაღლესდამთავრებული მშრომელთა წრიდან, ახლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ათასობით უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტი მუშაობს. ადგილობრივი კადრების მომზადება განსაკუთრებით გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ბათუმში გაიხსნა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ყოველწლიურად უშვებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. აჭარის მშრომელთა შვილები უმაღლეს სპეციალურ განათლებას იღებენ აგრეთვე თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

აჭარის მშრომელები სისხარული შეხედვნე კანონს სკოლის გარდაქმნის შესახებ და იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმდინარე შვიდწლედში განხორციელდება სახალხო განათლების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით შვიდწლედის ბოლოსათვის ჩვენს რესპუბლიკაში იმუშავენ 210 დაწყებითი, 124 რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური და 63 საშუალო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაცვლად ახლანდელი 390 სკოლისა ვეძენება 357 ახალი ტიპის სკოლა, ხოლო მოსწავლეთა კონტინენტი გაიზარდება 51.800-მდე. გარდა ამისა, შემდგომ გაფართოვდება საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

1959-1965 წლებში მილიონობით მანეთი დახარჯება კაპიტალურ მშენებლობაზე განათლების სამინისტროს ხაზით. გარდა ამისა, შემდგომ გაძლიერდება ახალი სასკოლო შენობების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაღებისა და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით.

მუშა-ახალგაზრდობის სწავლების გაუმჯობესების მიზნით გაფართოვდება მუშა-ახალგაზრდობის სკოლების ქსელი. სათანადო ყურადღება დაეთმობა ნიჭიერი ბავშვების სკოლების ქსელსაც. განსაკუთრებით ხელოვნების მთელ რიგ დარგებში (მუსიკა, ქორეოგრაფია, სახეითი ხელოვნება და სხვ.).

ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ახლა აჭარის მოსახლეობას მომსახურებას უწევს ღრამატული თეატრი, ათობით კინოთეატრი, რაიონული და სასოფლო ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, სახელმწიფო და რევოლუციის მუზეუმები და სხვ. შენდება ახალი კინოთეატრები ქობულეთში, ხულოსა და ბათუმის რაიონებში. დამთავრდა კინოთეატრ „კომკავშირელის“ შენობის რეკონსტრუქცია ქალაქ ბათუმში. ბათუმელებს უკვე აქვთ ფართოკრანინი კინოთეატრი.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება. 1965 წელს აჭარაში იქნება ასოცდაშენი კინოდანადგარი, ე. ი. ორმოცდახუთი მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. სოფელ ადვილევში დამატებით გაიხსნება ოთხი კულტურის სახლი, სამი სასოფლო კლუბი, ამაღვივე სასოფლო, ხოლო ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა. უკვე მიმდინარეობს კულტურის სახლის ახალი შენობის მშენებლობა შუასვეში. კულტურის სახლის ახალი შენობა აიგება ხულოშიც. მომავალ წელს მწყობრში ჩადგება სამუსიკო სასწავლებლის სამსართულიანი შენობა ქალაქ ბათუმში. მალე დამთავრდება სახელმწიფო ცირკის შენობის რეკონსტრუქცია, რაზეც ერთი მილიონი მანეთი დაიხარჯება. ქალაქ ბათუმის ცენტრში აიგება 600-ადგილიანი კეთილმოწყობილი ფართოკრანინი მონუმენტური კინოთეატრი.

შემდგომ გაფართოვდება წიგნების გამოცემა. 1965 წელს აჭარის სახელგამის მიერ გამოშვებული წიგნების საერთო ტირაჟი მიაღწევს 210 ათას ერთეულს, ე. ი. 50 ათასით მეტი იქნება, ვიდრე 1958 წელს. უკვე წელს გაიზარდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“, აგრეთვე ქობულეთისა და ხულოს რაიონული გაზეთების ტირაჟი.

აჭარის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში გაერთიანებული მწერლები. მათმა ნაწარმოებებმა აღიარება ჰპოვეს არა მარტო აჭარაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც: ამავე დროს მწერალთა რიგში დღითიდღე იზრდება ნიჭიერი ახალგაზრდების ხარჯზე.

აჭარაში მომუშავე მწერალთა წინაშე დგას მეტად საპატიო ამოცანა — სრულყოფილად ასახონ ახალი ცხოვრება, გვიჩვენონ მომავლის შემოქმედი

ადამიანები. „ხალხის სამსახური. — ამბობდა აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სსრ კავშირის მწერალთა ყრილობაზე, — მწერალთა ყველაზე მაღალი მოწოდებაა. ადამიანისათვის არ არის იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ცხოვრობდე კოლექტივში, შრომობდე კოლექტივთან ერთად და შეგნებული გქონდეს. რომ შრომობ შენი საზოგადოების საკეთილდღეოდ. ხალხის საკეთილდღეოდ“. სრულიად უმეპელია, რომ ჩვენი მწერლები პირნათლად გაამართლებენ პარტიისა და ხალხის ნდობას და წარმატებით გადაჭრიან მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქციეს აჭარაში მომუშავე მხატვრებმაც. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ისინი მოვალენი არიან კიდევ უფრო სრულყოფილ თავიანთი შემოქმედება, შემდგომ აამაღლონ ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული დონე.

რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს ილია ტაყვაჯაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. მისმა ნიჭიერმა კოლექტივმა დიდი ხანია

გაითქვა სახელი მთელ საქართველოში და ბევრი კარგი დადგმით გაახარა მაყურებელი. კიდევ უფრო დიდა თეატრის პერსპექტივები. მომავალ სეზონში იგი მაყურებელს უჩვენებს მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებს უ. შექსპირის „ოტელოს“, რომელშიც ოტელოს როლს შეასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობალაძე, ხოლო იაკოს როლს — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე.

კულტურის ფრონტზე დიდი მოვლენაა კულტურის სახალხო უნივერსიტეტის შექმნა ქალაქ ბათუმში, ხოლო სახალხო თეატრებისა — ხულოსა და ქალაქ ბათუმში.

ეს ციფრები და ფაქტები მკაფიოდ მოწმობენ, რომ მიმდინარე შეიღწეული — ეს არის სახალხო განათლებისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის შეიღწეული, რაც დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს უსახაგეს საბჭოთა ინტელიგენციას. ეჭვი არ არის, ჩვენს გმირულ მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად იგი ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნისმის მშენებლობის დიად საქმეში.



მზია ნაღიჩაძე

მამია შარაზანიძის პოეზია

ჩემო სამშობლოვ, ასე რომ ჰყვავი,
ბედნიერი ვარ, ვმღერი და ვხარობ,
მზად ვარ გმირულად შეგწირო თავი.
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო.

ეს სტრიქონები, რომლებიც მკაფიოდ გად-
მოგვეცემენ საბჭოთა ადამიანის ფიქრებსა და
გრძნობებს, მის ღრმა პატრიოტიზმს, ეკუთვნის
მამია შარაზანიძეს. ისინი ყველაზე უკეთ გამოხატა-
ვენ პოეტის იდეურ მრწამსს, მისი პოეზიის ძირი-
თად იდეურ მიმართულებას. და მართლაც, პირვე-
ლი ლექსიდან მოკიდებული, რომელიც 1934 წელს
გამოაქვეყნა თვრამეტი წლის ქაბუქმა, მამია ვარ-
შანიძე თითქმის ოცდახუთი წელია მთელი გატა-
ცებით უმღერის თავის აყვავებულ სოციალისტურ
სამშობლოს.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა მამია ვარ-
შანიძის პოეზიის ძალა, მისი პოეტური ნიჭი და
მგზნებარე პატრიოტიზმი ლექსებში, რომლებიც
პოეტმა მშობლიურ მხარეს — განახლებულ აჭარას
მიუძღვნა. თურქეთის ბატონობისაგან, ეროვნული
და სოციალური ჩაგვრისაგან თავდაღწეული აჭა-
რის ახლანდელ ტკბილ დღეებს, ახალი ცხოვრების
მზის სხივებს იგი განიცდის როგორც ხალხის სა-
ნუკვარ ოცნებათა ახდომას, როგორც სამუდამო გა-
თენებას მშობლიურ მხარეში. ამიტომ ამბობს პო-
ეტი:

მზე კაშკაშით აღმომხდარა,
ლაშე დაუძლევი,
ეს იმღერე, ჩემო გულო,
სხვა სიმღერა ძველია,
ქუხილივით დაიქუხე,
ვიცი, თუმც ეს ძნელია.

საბჭოთა პოეტის მაღალ მოწოდებას მამია ვარ-
შანიძე მუდამ ხედავდა და ხედავს ხალხის ცხოვ-

რებასთან პოეზიის მჭიდრო კავშირში, ხალხის
სამსახურში, მისი ფიქრებისა და გრძნობების მარ-
თალ გამოხატვაში. აი რით აიხსნება, რომ ლექსში
„გაზაფხული“ უსაყვარლესი მამულის ყველმოდე-
რებულ მგალობელს იგი იქ უხმობს, სადაც ახალი
ცხოვრება ქუხს და გუგუნებს, სადაც იგრძნობა
ჩვენი ქვეყნის მძლავრი მაჯისცემა, სადაც ჩქეფს
ნამდვილი შემოქმედებითი შრომა:

ოქროს წყარო ჩქეფს, შუქი თოვს
და ნისლი აღარ უვლის მთას,
მსურს მძლავრად დაეაგუგუნოს
სიმღერა გაზაფხულისა.
ვხედავ აყვავდა მიდამო,
ბაღში მებადის რგულიცა,
ბედნიერებით ავმღერდი,
სულიც მიმღერის, გულიცა.

სამშობლოს დღევანდლობა — ეს არის მარა-
დიული გაზაფხული, როცა ყველაფერი ჰყვავის და
იფურჩქნება, როცა ირგვლივ სიხარული და ბედ-
ნიერებაა. მაგრამ ვიდრე ასეთი ნათელი დღეები
დადგებოდა, ხალხმა არნახული ტანჯვა განიცადა,
უთვალავი ჭირი გამოიარა და სავესებით კანონზო-
მიერია, რომ პოეტი დიდ ყურადღებას უთმობს
მშობლიური მხარის წარსულს, ხალხის შეურიგე-
ბელ ბრძოლას უცხოელი და შინაური ექსპლოატა-
ტორების წინააღმდეგ. წარსულის გახსენებით იგი
ხაზს უსვამს ჩვენი სინამდვილის სიდიადეს, მის
მომხიბვლებლას და მეტოხველეებში ზრდის სო-
ციალისტური სამშობლოს სიყვარულს, ე. ი. ძვე-
ლისა და ახლის დაპირისპირებას იყენებს, რო-
გორც მხატვრულ ხერხს, რომელიც ეხმარება პოეტს
გვიჩვენოს, თუ როგორ შეცვალა ნათელმა ბნელი,
როგორ დაშვიდრდა ახალი სოციალისტური ყოფა
(„ემერულა მაღქვაძე“, „ხიხანი“, „ჩვენი მიწა

მზია ნაღიჩაძე

მამია ვარკვანიძის პოეზია

ჩემო სამშობლო, ასე რომ ჰყვავი,
ბედნიერი ვარ, ვმღერი და ვხარობ,
მზად ვარ გმირულად შეგწირო თავი,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო.

ეს სტრიქონები, რომლებიც მკაფიოდ გად-
მოგვეცემენ საბჭოთა ადამიანის ფიქრებსა და
გრძნობებს, მის ღრმა პატრიოტიზმს, ეკუთვნის
მამია ვარკვანიძეს. ისინი ყველაზე უკეთ გამოხატა-
ვენ პოეტის იდეურ მრწამსს, მისი პოეზიის ძირი-
თად იდეურ მიმართულებას. და მართლაც, პირვე-
ლი ლექსიდან მოკიდებული, რომელიც 1934 წელს
გამოაქვეყნა თერაპეტი წლის ჭაბუკმა, მამია ვარ-
კვანიძე თითქმის ოცდახუთი წელია მთელი გატა-
ციებით უმღერის თავის აყვავებულ სოციალისტურ
სამშობლოს.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა მამია ვარ-
კვანიძის პოეზიის ძალა, მისი პოეტური ნიჭი და
მგზნებარე პატრიოტიზმი ლექსებში, რომლებიც
პოეტმა მშობლიურ მხარეს — განახლებულ აჭარას
მიუძღვნა. თურქეთის ბატონობისაგან, ეროვნული
და სოციალური ჩაგვრისაგან თავდაღწეული აჭა-
რის ახლანდელ ტკბილ დღეებს, ახალი ცხოვრების
მზის სხივებს იგი განიცდის როგორც ხალხის სა-
ნუკვარ ოცნებათა ახდომას, როგორც სამუდამო გა-
თენებას მშობლიურ მხარეში. ამიტომ ამბობს პო-
ეტი:

მზე კაშკაშით აღმომხდარა,
ღამე დაუძლევი,
ეს იმღერე, ჩემო გულო,
სხვა სიმღერა ძველია,
ქუხილივით დაიქუხე,
ციცი, თუმც ეს ძნელია.

საბჭოთა პოეტის მაღალ მოწოდებას მამია ვარ-
კვანიძე მუდამ ხედავდა და ხედავს ხალხის ცხოვ-

რებასთან პოეზიის მჭიდრო კავშირში, ხალხის
სამსახურში, მისი ფიქრებისა და გრძნობების მარ-
თალ გამოხატვაში. აი რით აიხსნება, რომ ლექსში
„გაზაფხული“ უსაყვარლესი მამულის ყელმოღე-
რებულ მგალობელს იგი იქ უხმობს, სადაც ახალი
ცხოვრება ქუხს და გუგუნებს, სადაც იგრძნობა
ჩვენი ქვეყნის მძლავრი მაჯისცემა, სადაც ჩქეფს
ნამდვილი შემოქმედებითი შრომა:

ოქროს წყარო ჩქეფს, შუქი თოვს
და ნისლი აღარ უფლის მთას,
მსურს მძლავრად დაეგუგუნო
სიმღერა გაზაფხულისა.
ვხედავ აყვავდა მიდამო,
ბაღში მებაღის რგულიცა,
ბედნიერებით ავმღერდი,
სულიც მიმღერის, გულიცა.

სამშობლოს დღევანდლობა — ეს არის მარა-
დიული გაზაფხული, როცა ყველაფერი ჰყვავის და
იფურჩქნება, როცა ირგვლივ სიხარული და ბედ-
ნიერებაა. მაგრამ ვიდრე ასეთი ნათელი დღეები
დადგებოდა, ხალხმა არნახული ტანჯვა განიცადა,
უთვალავი ჭირი გამოიარა და საეგზეით კანონზო-
მიერია, რომ პოეტი დიდ ყურადღებას უთმობს
მშობლიური მხარის წარსულს, ხალხის შეურიგე-
ბულ ბრძოლას უცხოელი და შინაური ექსპლოატა-
ტორების წინააღმდეგ. წარსულის გახსენებით იგი
ხაზს უსვამს ჩვენი სინამდვილის სიდიადეს, მის
მომხიბვლელობას და მკითხველებში ზრდის სო-
ციალისტური სამშობლოს სიყვარულს, ე. ი. ძვე-
ლისა და ახლის დაპირისპირებას იყენებს, რო-
გორც მხატვრულ ხერხს, რომელიც ეხმარება პოეტს
გვიჩვენოს, თუ როგორ შეცვალა ნათელმა ბნელი,
როგორ დამკვიდრდა ახალი სოციალისტური ყოფა
 („ემართლა მალქაბაქი“, „სიხანი“, „ჩვენი მიწა

გვირგვინა", „ასლან ჯაბინძის ნაკვესები“, „წყლის პირას დაგრჩა ქოშები“ და სხვ.). განსაკუთრებულ ძალით იჩინა თავი ამ მხატვრულმა ხერხმა მამია ვარშანიძის ლექსში „შვიდი ძმა ვართ, შვიდი და გვყავს“. მასში პოეტი იხსენებს იმ დროს, როცა აჭარელ ქალს უკრძალავდნენ მის-თხოველობა არამამადიანს:

გაპარვაზე უარი თქვა,
გამელაგებდა დამიყინა,
მამას კაცი მიეუკუზაგენე, —
მამა ცეცხლად აქინელილდა,
დედამ თმები დაიგრაგნა,
ძმამ და ბიძამ მიყვირნა.

ასე იყო ძველად, მაგრამ ასე აღარ არის და პოეტის ლირიკული გმირი უხმობს მას, ვისაც მისი და მოეწონება:

აგისრულებ შენ დიდ წადილს,
დარდი რისთვის გაიჩინე,
შვიდი ძმა ვართ, შვიდი და გვყავს,
გვესტუმრე და აირჩიე.

პოეტის გულწრფელად ახარებს ის დიდი სოციალისტური ვარდაქმნები, რომლებმაც ძირფესვიანად შეუცვალეს სახე მის მშობლიურ კუთხეს და განაპირობეს ახალი ადამიანის ჩამოყალიბება. თუ წინათ ჩადრში ვახვეულ აჭარელ ქალს წაართვის ადამიანური ღირსება და უფლება, სახელი რაა, ისიც კი არ ერქვა ქართული, დღეს იგი მამაკაცებთან მხარიმხარ აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თავდადებით შრომობს და თავისი წვლილი შეატქვს ჩვენი ქვეყნის საერთო დოვლათის შექმნაში:

შენი ქალი წურავს ღვინოს,
წინათ წვეთს არ იკარებდა,
შენი ქალი ირქმევს ნინოს —
ქართულ სახელს,
წინათ ჩადრს რომ იფარებდა.

ცნობილია, რომ საბჭოთა ლიტერატურის გენიალური ფუძემდებელი მაქსიმ გორკი ჩვენს მწერლებს მოუწოდებდა აესახათ სოციალისტური შრომა, შრომა როგორც ახალი ადამიანის ჩამომყალიბებელი და ახალი ადამიანი, როგორც შრომის ორგანიზატორი. ითვალისწინებს რა დიდი პროლეტარული მწერლის ამ მოწოდებას, მამია ვარშანიძე აღიღებს სოციალისტურ შრომას, ჩვენი ყოფის პერიოკას, ცხოვრების მთავარ გმირს — კომუნისტების მშენებელ საბჭოთა ხალხს. ლექსში „მშობლიურ ჩემო კერავ“ იგი ხატავს თანამედროვე სოციალისტურ სოფელს და გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა მან სახე საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების მეოხებით:

ჰო, აქ იყო ჯამე დიდი,
არასოდეს ედო რაზა,
მასხოვს ხოჯა თეთრი ჩაღმით,
გასძახოდა სოფელს აჯანს,

მასხოვს ჯუშა, მლოცველებო.
არაბულად თქმული ფრანზა,
ახლა, ჩემო მეზობლებო,
ეს სოფელი მეღამაზა.
აქეთ ელუბი. იქით სკოლა,
გამასხარა თქვენმა ვაზმაც...
თქვენ ილიჩის ნათურებით
ღამე ეღვით გაეჩხაზავთ.
აქეთ მირბის ეს შარაგზაც.
წინ გამეგო ფინდანად,
ახლა, ჩემო მეზობლებო,
ეს სოფელი მეღამაზა.

სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრებამ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ წარსულს ჩააბარეს სიღარიბე და უმეცრება. წინათ ჩამორჩენილი აჭარა დღეს საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე მხარეა და თავდადებით იბრძვის კომუნისტების აღმშენებლის. მაქსიმელისადმი მიძღვნილ ლექსში „მინაწო ვარსკვლავიანო“ პოეტი გულწრფელად უმღერის საერთო ბედნიერების შექმნელს, ახალი ცხოვრების გამოიჭედ და გამარჯვებულ ხალხს:

ვინ არ აღიღებს თქვენს ჯაფას,
ელევის გამმენ ხელობას,
გადაღმა ძმებსაც გადაწვედეს
ჩვენი მუხბარე მსხეობა,
ღედება ვარსკვლავიანო,
მზეჩაუქმრალი ხეობავ...

საბჭოთა წყობილების მზრუნველობით აღსდგა და განეთარდა სოფლის მეურნეობის უძველესი დარგი — მევენახეობა, რომელიც თავიანთი ბატონობის დროს მთლიანად მოსხუეს თურქებმა. ძველისძველ მამაპაპისულ ქვერეზში კვლავ ამღერდა ღვინო. მარჯვე შრომამ და გარჯამ ღანგრეული მესხის ოჯახი დღეს ფეხზე დააყენა:

მესხი ვარ და ხელმადლიანს
ეუო დამიმშვენებია,
ნახე რა არ მამადია,
რა არ მომიშენებია.
ვაზი რთველის ეშხში ცურავს,
ლალისფერი მტევნებია;
ტკბილი ღვინო დამიწურავს,
ქვევრში ამიმღერებია.

ჩვენი ბედნიერი დღეების ნამდვილი გმირი — ეს არის შრომისმოყვარე საბჭოთა ადამიანი — მუშა, გლეხი, ინტელიგენცია. სწორედ ისინი ქმნიან ყველა დოვლათს, ქვეყნის სიმდიდრეს. ამიტომაც გახდა მამია ვარშანიძის შემოქმედების ორგანული ნაწილი ჩვენი ხალხის სიმამაცე და გმირული შრომა.

სამშობლოს ერთგულების, პატრიოტული თავდადების ცხოველყოფილი იდეა წარმოადგენდა მამია ვარშანიძის პოეზიის შთამავრებულ და მა-

სულდგმულელებელ ძალის დიდი სამამულო ომის პერიოდში. არა მარტო როგორც პოეტი, არამედ როგორც მეომარიც იგი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ხალხის ბრძოლაში პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. ომის პირველ წელსვე მამია ვარშანიძე ჩადგა მოქმედი საბჭოთა არმიის რიგებში და თავგანწირვით ებრძოდა მომხდურ მტერს. მრდილოეთ კავკასიის ფრონტზე იგი იყო განაყოფის ალკე კომიტეტის მდივანი და სწორედ ომის მრისხანე დღეებში — 1943 წელს შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში. ამიერიდან იგი არა მარტო როგორც პოეტი-მეომარი, არამედ როგორც კომუნისტიც ღრმა პატრიოტული შეგნებით ემსახურებოდა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დაცვის წმიდა-წმიდა საქმეს. მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, როცა უსაზღვროდ საყვარელ სამშობლოს საშინელი საფრთხე დაემუქრა. ლექსში „გამგზავრება“, რომელიც 1941 წლის 20 აგვისტოს დაწერა, პოეტი ამბობდა:

ვარდ-ყვავილებში იწვა ჩემი
ტურფა მთა-ველი,
ცამდე მტრედითი ლურჯ ფრთებს შლიდა
დიდი მშვიდობა,
უცვებ გრივალმა მოიქროლა,
ომში წაველი,
მტერი მოგვიხდა,
აზა სახლში რაღა მინდოდა.

ღედა-სამშობლოს უანვარო სიყვარულითაა შთაგონებული მამია ვარშანიძის ლექსი „სამშობლო-სათვის“. პოეტი „მზის შუქით მოყვანილ“ ვაკეკაცს სამშობლოს დასაცავად მოუხმობს:

შენი სიცოცხლე უტკებესი
მზის შუქით რომ მოყვანილა,
მამულს შესწირე, ვაკეკაცი,
მამულს მზიანს და სხვაგვანს.

ლექსში „მთაწი კავკასის“ სამშობლოს მგზნებარე სიყვარულს ბუნებრივად ერწყმის მტრის უნაბირო ზიზღი:

მგლები ამ მთებშიც შემოპარულან
და სურთ თბილისიც რომ გადათელონ,
ვდგვიარ დარაჯად მამა-პაპურად
და მქრდით ვიცავ ჩემს საქართველოს.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში პოეტს ღრმად სწავდა, რომ საბჭოთა ხალხი ომს უსათუოდ მოიკებდა, ბრწყინვალედ გაიმარჯვებდა, რადგან სამართლიან საქმეს იცავდა. ეს ღრმარწმენა ჩანს პოეტის იმდროინდელ საუკეთესო ლექსებში:

მეხი ვერ დასცემს მაღალ მთას,
მეხი ვერ მოთხრის მუხასა,
მტერი ვერ დასძლევა სამშობლოს
აგრე გრივალეზრ მქუხარსა.

მკერა ისევეც გამოიდარებს,
დაღებუა ლხენის ტკილი წუთები,
ნუ დამიდარდებთ, ნუ დამიდარდებთ,
გამარჯვებული დაგებრუნდებთ.

და როცა გამარჯვების დღე დადგა, თავისი აღფრთოვანება პოეტმა მშვენიერად გამოთქვა ლექსში „მისი“, რომელშიც უმღერა ქვეყნად ბოროტების მოსხოზას, იმედლიანი შრომით, მშვიდობით გაღამაზებულ მომავალს:

ყველა სიკეთემ კაცის გულში
ფრთები გაშალა,
და ბოროტებზე სამუდამოდ
გაღაშენდები.
არა, არ ვდარდობ, მიხარია
ვმღერი აშკარად —
ჩემი მამული სიღამაზით
ქვლავ დამშვენიდები.

ასლებურად აქვდრდა პოეტის ჩანვი დიდი სამამულო ომის დანთავრების შემდეგ. პოეტი მხურვალედ მოუწოდებს კეთილი ნების ადამიანებს ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ სისხლით მოპოვებული მშვიდობა, არ მისცენ საშუალება იმპერიალისტ ავაზაკებს ქვლავ დაანთონ ახალი ომის ხანძარი. მას გულწრფელად ახარებს, რომ მშვიდობის იდეა სულ უფრო ეფუფლება მასებს და სწამს, რომ ხალხები გზას გადაულოზავენ ომს:

მშვიდობის მძღვარი ტალღა იზრდება,
ყველა უბრალო კაცს რომ ახარებს,
დამარცხდება, ვინც სიკვდილს გვიპირდება,
განთიადს ვერცხი ვერ დადამებს.
ასე ყოფილა მუდამ, ყოველთვის,
ამინდი სძლედა უამინდობას,
გაქრება ყველა ავის მდომელი
და გაიმარჯვებს ხალხთა მშვიდობა.

მშვიდობის იდეებთან ერთად მამია ვარშანიძის ომისშემდგომ პოეზიაში დიდი ადგილი უკავია ხალხთა ურღვევი მეგობრობის იდეას, მეგობრობისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ძლიერების ერთერთი ძირითადი წყაროა. ამ მეგობრობამ გვიხსნა შავებნელი წარსულისაგან, ამ მეგობრობამ დაარღვია საუკუნეობით შექმნილი ეროვნული კარჩაკეტილობა და მოსპო ეროვნული შუღლი. ლექსში „გამარჯვების სიმღერა“ იგი წერს:

ჩვენი დელები მუდამ ტიროდნენ
სამშობლოს ბელზე იმ წყეულ დროში.
გვიხსნა ძმობამ და გვიხსნა გმირობამ,
ხალხთა ძმურ კავშირს ვერავინ მოშლის.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის იდეას მამია ვარშანიძის პოეზიაში ბუნებრივად ერწყმის სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, მსოფლიოს ყველა ხალხთა მეგობრობის იდეა. ამას მოწმობს პოეტის ლექსები „ნიკოს ბელიანისის სხოვნას“, „კორეელი მეზადე“ (ბალადა), „ლექსები ნაზიმ პიქმეთოზე“, „მუსა ჯალილს“ და ბევრი სხვა.

პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანს მეგობარი ყველგან ჰყავს, დედამიწის ყველა კუთხეში. მისი მეგობარია ყველა ის, ვინც იბრძვის ბუნდური მომავლისათვის, დემოკრატიისა, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის. ლექსში „გაზაფხულის ბაღნარიდან“ პოეტი შეხარის მეგობრობის დიად კანდელს, რომელიც ამაყად ბრწყინავს ჩვენი ქვეყნის ცაზე.

მამია ვარშანიძისათვის უცხო არ არის არც სატრფიალო ლექსები, რომლებიც გამსჭვალულია ნაზი ლირიკული განცდებით. პოეტის რწმენით, სიყვარული არის გამაკეთილშობილებელი, ამაზღლებელი ძალა, იგი ეხმარება საბჭოთა ადამიანს შრომაშიც და ბრძოლაშიც, აღაფრთოვანებს ახალ-ახალი გმირობისათვის სამშობლოს სისახელოდ და სახიფათოდ. დიდი სამამულო ომის დღეებშიც კი, ცეცხლის ხაზზე მებრძოლს თვალწინ ედგა გულისზიარი და ღრმა დაჯერებით წერდა:

საყვარელ სახეს ტრფობით გუცქერი,
მარად ცეცხლია შენზე ოცნება,
რომ დამაფინო ვარდის ფურცელი,
ყველა ქრილობა შემხოვრცდება.

გარდა ლექსებისა, მამია ვარშანიძეს აქვს პოემებიც, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა „ხინანის არწივები“. ეს ღრმად ეროვნულ-პატრიოტული პოემა რეალისტური სიცხადით გვიჩვენებს აჭარის ყოფის ფართო ისტორიულ სურათს, გადმოგვცემს მისი განთავსულებისათვის ბრძოლის სახელოვან ეპიზოდებს სელიმ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით. იგი საინტერესოა როგორც თენისა და იდიის, ისე მხატვრულობის თვალსაზრისით. პოეტი მოხერხებულად იყენებს უბრალო, მაგრამ მკვეთრ მხატვრულ სახეებს.

ამ პოემის გამო ქართული კრიტიკის უსუცესი წარმომადგენელი იპ. ვართაგავა თავის აღფრთოვანებას და მადლობის გრძნობას გამოხატავს პირად წერილში მამია ვარშანიძისადმი. კრიტიკოსს მთლიანად მოჰყავს პოემის ერთ-ერთი ადგილი:

აჭარისწყალი ზვიად მთებს,
ჩახვეულ-ჩაჩქერებულნი,
მორბის, მოშხუის, კლდეებთან
შებმას და შეხლას ჩვეული.
ზოგან ქაფს იყრის, მრისხანებს,
ზოგან მგლოვარე ჩანავა,

ლოკავს და ლოკავს შმაგივით:
ლოღებს ხავსიან-ჟანგიანს.
მამულიშვილო, უსმინე,
იქნება ზარის ეამია.
იქნებ წყალსაც ჭირს ვარამი:
ხახულისა და შაგუთის,
მით მოსტირიან წვეარამნი
წყალს ნაპირ-ნაპირ შაშვები,
ეგებ ამიტომ აცვიათ
შაშვებს და ამ მთებს შაშვები:
გზა ოღორ-ჩოღორ, ჩაშლილი
კლდეებში მიხლართება,
რომ გათენდება მამინაც
ვერ იტყვი აქაც გათენდა.

და წერს: „ამ ნაწყვეტიდანაც ჩანს, რომ მისი ავტორი ნამდვილი პოეტია, რომ მას სადა, მაგრამ ლამაზი სიტყვებით, მხატვრული სახეების, სურათის შექმნა შეუძლია, ისეთი სურათებისა, რომლებიც საუკუნეთა წარსული ცხოვრების შინაარსს და ვითარებას ცხადყოფს, ასულდგამულგა...“

„შაშვი შავი“ და „შავი მთები“ მრავალტანჯულ-ლი აჭარის თევზადასავლის სიმბოლოა. ხოლო თქვენი ძმების სახელები — „ახმედი“, „ყარაღა“ და „მოედინი“ დამპყრობთა სურვილი და მისწრაფებაა ქართველების გადაგვარებისა, ასიმილაციისა, მაგრამ ძალადობამ ქართველებს მხოლოდ სახელი დაუსახინჩრა, გული კი ვერ ამოგვიღია, გვარი ვერ შეუცვალა, ჯიშინობა ვერ წაართვა. ეს ახარებდა, ამას ტკბილად გრძნობდა დიდი ილია, აჭარელთა „დაბრუნების“ დიდი მეხოტბე“.

უზუცესი კრიტიკოსის ეს სიტყვები ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია. ამ პოემით მამია ვარშანიძემ ნართლაც ცხადყო, რომ ის ორიგინალური და ნიჭიერი პოეტია, რაც, სხვათაშორის, რამდენიმე წლის წინათ იწინასწარმეტყველა ქართული პოეზიის უბადლო ოსტატმა იოსებ გრიშაშვილმა. აი რას წერს პოეტი მ. ვარშანიძის წიგნით „მებრძოლის სიმღერები“ (1940 წ.) მიღებული შთაბეჭდილებების გამო: „უთქველად ნაზის გინც-დის პოეტი ხარ, ლირიკოსი და ახალი, ორიგინალური შინაარსის მიმგნები. ეჰა რა მომავალი გაქვს. ჰალალო იყოს“.

დაე მართლაც ჰალალო იყოს ნიჭიერი პოეტის ხალასი ლექსი.



აკვამუს მხითარაიანი

ქართული და სომხური ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიიდან

„ქვეშარიტი ნიჭი მაგნიტია. ამა თუ იმ ხალხის სიყვარულის გასაღები ასეთი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების ხელშია“, წერდა კ. გამსახურდია ა. ისაჰაკიანისადმი მიძღვნილ სტატიაში. მრავალი ქართველი და სომეხი მწერალი, მათთვის ჩვეული კავკასიური გულუხვობით, ამ „გასაღები“ სწვდებოდნენ თავიანთი ხალხების დიადი გულების აურაცხელ სიმდიდრეს და საცხებით მართალია კ. გამსახურდია, როცა ამბობს, რომ ჩვენი ერთობლივი ისტორიის უძველესი დროიდან მომდინარე ეს ლეგენდარული ძახილი უსაგნო წარმოდგენის ნაყოფი როდია. ლიტერატურის, არქიტექტურისა და ფერწერის შედეგების მქონე ამ უძველეს ხალხებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ მრავალრიცხოვანი უცხოელი დამპყრობლებისა და „საკუთარი“ მჩაგვრელებს წინააღმდეგ, მეტად მჭიდრო ეკონომიური, კულტურული და სამხედრო ურთიერთობა ჰქონდათ და კრიტიკულ მომენტში მუდამ ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ რამდენჯერმე გამოსტაცეს ანისი ხელშუკებს. ბაგრატ III და სონხეთის მეფე ვაგაკმა განადგურეს ამირ მამლუნი სომხეთში. 1722 წელს, როცა პეტრე პირველმა გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ, საქართველოს მეფე ვახტანგმა და სომხეთის მხედართმთავარმა დავით-ბეკმა 52-ათასიანი არმია მოამზადეს რუსების დასახმარებლად და მათი ძველთაძველი მტრის ირანის განსადევნად. შრომისმოყვარე და ჭირთამთმენი ისტორიკოსები სიყვარულით წერდნენ სომხეთ-საქართველოს მეგობრობის ბრწყინვალე ფურცლებს, უკვ-

დაყვოდნენ ამ მეგობრობას და შთამომავლობას უბარებდნენ: წმიდად შეინახეთ და თვალისჩინვით გაუფრთხილდით ერთმანეთის სიყვარულსაო. ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ სომხეთის მხედართმთავარ ვართან მამიკონიანის ქალიშვილი საქართველოში გაათხოვეს, ხოლო 40 ქვეყანაში დავით სასუნელის მიერ შერჩეული 40 ბუმბერაზი მისი მადლიერი იყო იმის გამო, რომ საცოლეები გურჯისტანში შეურჩია. ისინი საცოლეებითურთ გაემგზავრნენ თავიანთ ქვეყნებში ბუმბერაზთა მოდგმის ასაღორძინებლად. VII საუკუნის ისტორიკოსი მოგვსეს კალანკატვაცი სიამაყით ლაპარაკობს სახელოვან თბილისზე და აღშფოთებით იხსენიებს ხაზარებს, რომლებიც „ეკვეთნენ ქართველთა ქვეყანას, როგორც აბოზოქრებული ნიადვარი, სწრაფი მდინარე“. ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს, მწერლებს ალუბეჭდავთ თავიანთი ხალხების საბრძოლო მეგობრობის, ერთობლივი შემოქმედებითი შრომის მრავალი ფაქტი, ხოლო ამ ხალხების კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია საქართველოსა და სომხეთის მეცნიერებისა და განუმეორებელი ხელოვნების წარმომადგენელთა ურთიერთკავშირის მრავალ მაგალითს იძლევა.

ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა და განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია რუსეთთან ამიერკავკასიის ნებაყოფლობითი შეერთების შემდეგ. საკულისხმია, რომ რუსეთ-სპარსეთის ომში, რომლის შედეგად აღმოსავლეთ სომხეთი განთავისუფლდა სპარსეთის უღლისაგან, რუს და სომეხ მეომრებთან ერთად თავიანთი სახელები უკვ-



დავეყენე ქართველებმაც, მათ შორის ალ. ჭავჭავაძემ, ა. განგებლოვმა და სხვებმა. შემთხვევითი როდია, რომ 1827 წლის საომარი კამპანიის დამთავრებისთანავე დაკავშირებით გენერალ პასკევიჩის ბრძანებაში ქართული შენაერთები ნახსენებია როგორც „რუსეთის ძღვემამოსილი ჯარის მამაცი თანამშრომლები“.

თავიანთი ზედის რუსი ხალხის ზედთან დაკავშირების შემდეგ სომეხი და ქართველი ხალხების კულტურა და ლიტერატურა გამოვიდა რუსეთის ლიტერატურასთან ურთიერთობის ფართო ასპარეზზე, რომელიც სწორედ XIX საუკუნეში უმაგალითოვდა აყვავდა და ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი, საზოგადოებრივი იდეებით გამსჭვალული, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ლიტერატურა გახდა. რუსული კულტურისა და ლიტერატურის მეოხებით სომეხებისა და ქართველების წინაშე დაისახა კულტურის აყვავების ახალი გზები და პერსპექტივები. სომეხმა და ქართველმა მწერლებმა განავრცეს თავიანთი წინამორბედთა საუკეთესო ტრადიციები, სწავლობდნენ თავიანთი ხალხების ცხოვრებას, იცადნენ და აღრმავებდნენ ეროვნული კულტურის სპეციფიკურობას და აღმოსავლეთის წარბაქც, მაგრამ გამოხატვის საშუალებებით შეზღუდულ და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებში ჩაწვდომით მეტად ვიწრო პოუზისთან შედარებით, დაუკავშირდნენ უფრო განვითარებულ რუსულ და დასავლეთეუროპულ ლიტერატურას. ისინი დაადგნენ კაცობრიობის უმდიდრესი მხატვრული გამოცდილების ყველაზე განვითარებულ გამოვლინებათა — რეალისტური რომანტიზმის, კრიტიკული რეალიზმის, რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გზას, მრავალფეროვანი სახეებისა და ფორმების გაზოგადების გზას, რაც მანამდე არ მოუპოვებოდათ სინამდვილის გამოხატვის პოეტური ტერმინების საგანძურში.

სამართლად „ციმპირში“ დეკაბრისტების, რუსეთის მოწინავე ადამიანების გადმოსახლების შემდეგ მრავალეროვანი კავკასია, რომლის ცენტრი იყო თბილისი, სხვა კულტურული კერები კი ბაქო, ერევანი, ქუთაისი, შუშა, წინანდალი და სხვა, ხალხთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის, მათი მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განვითარების ჭეშმარიტი სამჭედლო გახდა. ეს განსაკუთრებით თბილისზე ითქვამს. კერძოდ, თბილისში აიღვა ფეხი, როგორც მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ მ. ნალბანდიანმა,

1 წინანდალი, ა. ჭავჭავაძისეული მამული, ჭეშმარიტად კულტურის კერა იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ დროის მოწინავე ადამიანების ურთიერთობის განმტკიცებაში და, ჩვენი აზრით, იგი სპეციალურ, გულმოდგინე შესწავლას მოითხოვს.

ამ შესანიშნავმა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებულმა ადამიანმა, პოეტმა, პროზაიკოსმა, კრიტიკოსმა, კრიტიკოსმა, „გეონომისტმა, ფილოსოფოსმა, ლიტერატურის თეორეტიკოსმა, ყურნალისტმა და მთარგმნელმა. იგი იყო XIX საუკუნის სომეხთის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე, რომელმაც საუფუძველი ჩაუყარა მატერიალისტურ ესთეტიკას, რევოლუციურ-დემოკრატიულ კრიტიკას, სოციალური სამართლიანობის იდეებს სომეხეთში. ყურნალი „იუსისაპალი“ („ჩრდილოეთის ციალი“) ბეჭდვდა საზოგადოებრივი განწყობილებით გამსჭვალულ ნაწარმოებებს, რომლებიც იმ დროის საკვიბოროტო საკითხებს, ლიტერატურისა და ენის არსებით პრობლემებს ეხებოდნენ.

„იუსისაპალიში“, მისი რედაქტორის ს. ნაზარიანცისა და მ. ნალბანდიანის გარდა, თანამშრომლობდნენ ს. შაპ აზიზი, ბარხუდარიანი, ჯალუღლიანი და სხვები. ექსპლუატატორული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები აღფრთოვანებდა ს. ამოვიანის, პ. პროშიანის, გ. ტერ-ოვანესიანის, რაფის, დ. ალაიანის, ო. ოვანესიანის, ალ. ცატურიანის, ო. თუმანიანისა და სხვათა შემოქმედებას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე საქართველოში ი. ჭავჭავაძე 1831 წელს ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა რასის ხალხებით დასახლებული ქვეყანაა. ამასთან თვითეული მათგანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობს მამა-პაპათა მიწაზე და ცალკე ჯგუფებად არაა დაქსაქსული. ამიტომ რუსეთის ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური ამოცანაა, წერდა ი. ჭავჭავაძე, ჯერ ერთი, ცალკეული ხალხების შინაგანი მოწყობა, ხოლო შემდეგ თვითეულისათვის ავღილის მიჩენა ერთიან სახელმწიფოში. „კავკასიის ნარკვევების“ ავტორთან ე. ლ. მარკოვთან ქართული საზოგადოებრიობის შეხვედრაზე 1839 წელს თბილისში ილია ჭავჭავაძემ სტუმრის წიგრიდან მოიყვანა მოსწრებული ინსტანსია იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს განმტკიცებას საუფუძვლად უნდა დაედოს არა მასში შემავალი ხალხების ერთგვაროვნობა, არამედ ერთსულოვნება.

ამ იდეებს ემსახურებოდნენ აგრეთვე სომეხი მოღვაწეები, რომლებიც გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს დიდი ქართული მწერლის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და მოღვაწეობას. 1891 წელს ჟურნალ „მურჭში“ („ურო“, № 4-6) დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ტიკრან ფერუმიანის თარგმანით. მანვე ამ ჟურნალში დაბეჭდა წერილი „კაცია ადამიანი?!“ შესახებ და დიდი შეფასება მისცა ამ ნაწარმოებს. იმავე წელს ჟურნალ „ტარაზში“ გ. ა.-ის თარგმანით დაიბეჭდა ილიას ლექსი „გაზაფხული“.



1893 წელს, როგორც ცნობილია, დიდი ქართული პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს. პოეტის ნეშტის დაკრძალვაზე მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა სომეხმა პოეტმა ოვანეს თუმანიანიმა წაიკითხა ლექსი „ბარათაშვილის საფლავზე“. ილია ჭავჭავაძე გულთბილად გამოესმაურა თუმანიანის გამოსვლას „ივრიაში“ და დაბეჭდა ამ ლექსის თარგმანი. შემდგომში ი. ჭავჭავაძემ თავის გაზეთში მოათავსა ოვანეს თუმანიანის კიდევ ორი ლექსი ი. ბაქრაძის თარგმანით.

1893 წელს ჟურნალ „ტარაზის“ 27-ე ნომერში დაიბეჭდა არუთინ მირიანიანის სტატია „ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები“. ამ წერილში ავტორი განიხილავს ილიას შემოქმედებას. უფრო დაწვრილებით „ოთარანთ ქერიც“, აღნიშნავს ამ ნაწარმოების ღირსებას. 1903 წელს „ტარაზში“ გრა-სტანცის ხელმოწერით გამოქვეყნდა დიდი სტატია ქართული პერიოდული გამოცემების „კვალის“, „ივერის“, „ცნობის ფურცლის“ შესახებ. სტატიაში ლაპარაკია გ. წერეთელზე, ი. ჭავჭავაძესა და სხვებზე.

1907 წელს ოვანეს თუმანიანი თარგმნა ილიას „ვაზაფხულა“ და „ელევია“. იმავე წელს ილიას ტრაგიკულმა სიკვდილმა ქართველ ხალხთან ერთად დიდად დაანწებრა ამიერკავკასიის სხვა ხალხთა ფართო წრეები, მათ შორის სომეხებიც. „პოეზიამ“, „არბობა“, „ტარაზი“ და სხვა პერიოდულმა გამოცემებმა აღნიშნეს ქართული მწერლის დიდი ღვაწლი. „მშავმა“ ი. ჭავჭავაძეს მიუძღვნა მეთაური და ცალკე სტატიები. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა „მშავის“ რექტორმა ალექსანდრე ქალანთარმა.

ი. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ სომეხ საზოგადოებრიობას არ შეუწყვდია ინტერესი მისი შემოქმედებისადმი. 1912 წელს გ. ფირუმანიანის თარგმანით გამოიცა ილიას „გლახის ნამახობი“. 1913 წელს ი. ჭავჭავაძის ძეგლის გახსნას გამოეხმაურნენ „მშავი“, „პორიზონი“. 1916 წელს გაზეთ „გადაფარში“ დაიბეჭდა პუსიკ გნთუნის სტატიების ციკლი „თავადი ილია ჭავჭავაძე“, რომელშიც დაწერილებითაა განხილული მწერლის შემოქმედება.

სომეხი მკითხველებისათვის ილიას შემოქმედების გასაცნობად დიდი მუშაობა გაჩაღდა საბჭოთა პერიოდში. იბეჭდებოდა წერილები ამ დიდი მწერლის შემოქმედებაზე, გამოდის მისი ლექსების ახალი თარგმანები, ილიას ლექსების ცალკე წიგნები. სომხურ ენაზე არსებობს „კაკო ყაჩაღის“ სამი თარგმანი. ა. თუმანიანმა, თარგმნის გარდა, ეს პოემა გადააკეთა პიესად, რომელიც დაიდგა თბილისის მოზარდ მაყურებელთა სომხურ თეატრში 1938 წელს. სომეხი მკითხველისათვის ცნობილია „ოთარანთ ქერიც“ (თარგმანი არუთინ მი-

რიანიანისა). „მგზავრის წერილები“ (მარკინიანის თარგმანი), „ნიკოლოზ ვოსტაშაშვილი და სხვ.

თვითონ ილია, მეგობრულად განწყობილი ქართველი ხალხის ანლო მეზობლების — სომეხებისა და მათი საუკეთესო წარმომადგენლებისადმი, დიდი პატივისცემული იყო გამოჩენილი სომეხი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცისა, მისი შემოქმედებისა. სომეხი დრამატურგის შედევრის „ბეპოს“ ქართული თარგმანი პირველად ილიას „ივერიაში“ დაიბეჭდა (1880 წ.). ეს ჟურნალი, რომელიც შემდგომში ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ზშირად აშუქებდა სომხური ლიტერატურის, კერძოდ, თეატრის აქტუალურ საკითხებს. 1888 წელს, როცა თეატრალური საზოგადოებრიობა ემზადებოდა გ. სუნდუკიანცის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად, „ივერიაში“ (1888 წ., № 253) სომხური გაზეთიდან „არაბაგან“ („ეჭო“) გადაბეჭდა აბგარ ოვანესიანის წერილი გ. სუნდუკიანცზე. გამოჩენილი დრამატურგის ომბილე აღარ გამართულა მისივე სურვილის თანახმად, მიუხედავად ამისა, მას მრავალი მისასალმებელი დეპეშა მიუყვება, მათ შორის ქართველი სტუდენტობისა ოდესიდან. „ივერიაში“ ეს დაუყოვნებლივ აცნობა მკითხველებს.

ქართველი და სომეხი მოღვაწეები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ ფასდაუღებელი ღვაწლი მიუძღვით თავიანთი ქვეყნების კულტურული აღორძინების საქმეში. აგრეცებდნენ სოციალური და ეროვნული განთავისუფლების პროგრესულ რევოლუციურ იდეებს. რუსი და კავკასიელი მოწინავე ძალები შემოჭრიდნენ ცარიზმისა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავის პრწყინვალე და გონებასახვილურ წერილში „კატკოვის პასუხად“ (1882 წ.), რომელიც მიმართული იყო გაზეთ „მოსკოვსკი ველომოსტიში“ დაბეჭდილი პროუოკაციული სტატიის წინააღმდეგ თბილისის ქართული და სომხური თეატრების შესახებ, ილიამ დაიცვა ორივე მოძმე ხალხის თეატრები. ცნობილია აგრეთვე მისი ბრძოლა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის წინააღმდეგ, რომელიც თავისი ბატონების კარნახით ცდილობდა კავკასიის სკოლებში გაეუქმებინა მშობლიური ქართული და სომხური ენების სწავლება, ყოველნაირად აფერხებდა მშობლიურ ენაზე ხალხის განათლების საქმეს.

ეროვნული და სოციალური უფლებებისათვის სომეხებისა და ქართველების ერთობლივ ბრძოლას მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოში, კერძოდ თბილისში, ბევრი სომეხი ცხოვრობდა და სწორედ იქ ჩაყვარა საფუძვე-

ლი ახალი სომხური ლიტერატურის განვითარებას. მისი ფუძემდებელი ხაჩატურ აბოვიანი 1837 წელს დაინიშნა თბილისის სამაზრო სსწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებლად. აბოვიანმა მოაწყო საკუთარი პანსიონი, სადაც სწავლობდნენ სომხები, ქართველები, აზერბაიჯანელები. „მე ყოველდღიურად გარს მახვევია 200-მდე მოსწავლე, მათი სიხალფე, მათი სიყვარული მამაღლებს მე... რადგან მეტი წილი ჩემი თვისტომია, ხოლო დანარჩენები — ქართველები და აზერბაიჯანელები — თანამემამულენი არიან“, — წერდა აბოვიანი ერთ-ერთ თავის წერილში. აბოვიანთან სწავლობდა ი. კერესელიძე, შემდგომში თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და მწერალი. აბოვიანის სასწავლებელში იგი მიაბარა ალ. ორბელიანმა, რომელიც დიდად აფასებდა სომეხ განმანათლებელსა და მის ცოდნას. ცნობილია, რომ აბოვიანმა ერთ-ერთი ლექსი მიუძღვნა მთაწმინდას, მან დაწერა აგრეთვე პატარა მოთხრობა ერეკლე მეორის ცხოვრებიდან.

თბილისში დაიბადა და აქვე მოღვაწეობდა გამოჩენილი დრამატურგი გ. სუნდუკიანიც, პოეტინთარგმნელი გ. ბარხუდარიანი, საიათნოვას სიმღერების პირველი რედაქტორი და გამომცემელი გ. ახვერიანი, მწერალი ნარ-დოსი, ცნობილი მსახიობები გ. ჩიმშიანი, გ. ტერ-დავთიანი, თ. ვულაზიანი, ს. ქოჩარანი, მომღერალი ა. დანელიანი, ფერმწერლები გ. შარბაზიანი, ვ. ხოჯაბუკიანი და მრავალი სხვა. თბილისში ეწეოდნენ შემოქმედებითს მუშაობას სომხური ლიტერატურის კლასიკოსები პ. პროშიანი, ლ. ადიაანი, რაფი, გ. არწრუნი, თ. თუმანიანი, ა. წატურიანი, ა. შირვან-ზადე და სხვები. აქვე გამოდიოდა სომხური ჟურნალ-გაზეთები „მსაიკი“ („მშრომელი“), „მურში“, „ნორ დარი“ („ახალი საუკუნე“), „ახიური“ („წყარო“) და სხვ., რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს სომხური კულტურისა და ლიტერატურის აღორძინებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. სუნდუკიანის შემოქმედება. კავკასიის ხალხთა ბულბულის — საიათნოვას შემდეგ, რომელიც გმირულად დაეცა აღა მაჰმად-ხანის წინააღმდეგ მშობლიური თბილისისათვის ბრძოლაში, გაბრიელ სუნდუკიანი მეორე თბილისელი სომეხი იყო, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირა საქართველოს და ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა ქართველ საზოგადოებრიობაში, როგორც სომხებში. აკაკი წერე-

თელი ქართველი ხალხს აზრს გამოთქვამდა, როცა სუნდუკიანისადმი მიძღვნილ ლექსში ამბობდა:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთ მთისა.

საკოველოთად ცნობილია ალ. შირვან-ზადეს მეგობრობა ქართული ხელოვნების წარმომადგენლებთან ვ. გუნიასთან, ვ. აბაშიძესთან, კ. მესხთან, შ. დალიანთან, კომპოზიტორ ა. სპენდიაროვის ურთიერთობა ი. ქურსულთან, თ. თუმანიანის მეგობრობა ქართველ მწერლებთან და საქართველოსადმი მიძღვნილი მისი შესანიშნავი ლექსები: „საქართველოს პოეტებს“, „საქართველოსათვის“. „საქართველოს სული“ და სხვ. ამ მეგობრობამ მრავალ განსაცდელს გაუძლო, სახელდობრ მაშინ, როცა „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა მჭურმანების“ შესაცვლელად მოვიდნენ მტკიცე მეგობრობით, ინტერესების ერთობლიობით დაკავშირებული ახალი ძალები, რომლებიც ნამდვილი ქარიშხლის დროს სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ პროლეტარიატს, ხალხთა მასებს.

ჩვენი ქვეყნის ხალხების, კერძოდ ქართველი და სომეხი ხალხების წარმოუდგენელი ტანჯვისა და უბედურების „მძიმე ურო“ მრავალი წლის მანძილზე შედგა იარაღს, რომელიც თავს დაატყდა მტაცებლებსა და ექსპლოატატორებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სამუდამოდ გაათავისუფლა ხალხები, რომლებმაც გიგანტური ნახტომი გააკეთეს საუკუნეობრივი მონობიდან თავისუფლების სამეფოში.

დღეს, როცა ყველაზე მთავარი ქართულ ლიტერატურაში სომეხი მკითხველის კუთვნილებაც გახდა და. პირიქით, სომხური ლიტერატურისა — ქართველი მკითხველის კუთვნილებაც იქცა, როცა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის სახელები ისევე ძვირფასია სომეხი მოსწავლისათვის, როგორც სუნდუკიანის. შირვან-ზადეს, თუმანიანის, ისახაკიანის, ჩარენცისა და სხვათა სახელები ქართველი ახალგაზრდობისათვის, კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ მთარგმნელობითი მუშაობა, უფრო ღრმად, მეცნიერულად შევისწავლოთ ამ ორი უძველესი და უმდიდრესი ლიტერატურის შემოქმედებითი ურთიერთკავშირის სიღრმისეული პროცესები.



პლაზიმაგ მგედაძე

ისლამი ქალის შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მ. გორკი წერდა: „ყველა დროისა და ხალხის რელიგია მამაკაცს შთაგონებდა უფლებას ჩაეთვალა ცოლი „მისი“ ზეურნეობის ძალად. ქალის ძირითად ღირსებად მიჩნეული იყო ბავშვის შობა და ქმრის ნებისყოფისადმი უსიტყვოდ დამორჩილება“ (მ. გორკი, „ლიტერატურის შესახებ“, 1937 წ., გვ. 384, რუსული გამოცემა).

დიდი მწერლის ეს სიტყვები განსაკუთრებით მკაფიოდ განსაზღვრავს ისლამის რეაქციულ ბუნებას.

განსაკუთრებით რეაქციულია მუსლიმანური რელიგია ქალისადმი დამოკიდებულებაში. იგი ქადაგებს ქალის უთანასწორობას მამაკაცთან, მის დამცირებასა და უფულებობას. „ქმრებს აქვთ ხარისხი თავიანთ ცოლთა უმაღლეს („ყურანი მუჰამედისა“, თბილისი, 1906 წ., თავი 2, მუხ. 228). ქალის ასეთ დამცირებას ისლამი იმ ღებუნდით „ასაბუთებს“, რომ თითქოს ღმერთმა პირველი ადამიანი (ადამი) თიხისაგან ვაკეთა. შემდეგ კი მისი ნეკნიდან „დაიბადა“ ევა. ამ უკანასკნელმა წალკოტში ყოფნისას შეჭამა აკრძალული ხილი, რის გამოც ორივე — ადამიც და ევაც ღმერთმა გააძევა ჯენეთიდან. ამ ცოდვისა და დანაშაულის გამოსყიდვა ქალთა მოდგმას ქმრისადმი უსიტყვო მორჩილებითა და მონური სამსახურით შეუძლიათ.

ღმერთმა დაადგინა შეილებს შორის ქონების გაყოფისას ვაჟს მისცეს წილი ორი ქალისა. — ქადაგებს „ყურანი“ და ამას იმით „ამართლებს“, თითქოს ქალები კაცთაგან წარმოდგნენ („ყურანი“, თავები 34 და 12).

ეს უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის მამაკაცის სასარგებლოდ ცხოვრების ყველა სფე-

როში მკლავნდებოდა. ასე, მაგალითად, „თუ ორი კაცი ვერა ჰპოვით მოწმეთ, მოწმობა რთ შესძლოთ“ (შეუძლია. — ვ. მ.) ერთ კაცს და ორ ქალს“. „თუ მარტო ქალები არიან, მათი მოწმობა არ მიიღება“ („ყურანი“ თავი 2, მუხ. 282).

აქედან ნათელია, თუ რა შეხედულებიანა ისლამი ქალზე. ისლამი ქალს ადამიანადაც კი არ მიიჩნევს და მამაკაცის მონად აღიარებს მას. და მართლაც, ის ოჯახი, რომელიც ისლამის მორალურ ნორმებზეა აგებული, წარმოადგენს მამაკაცის დესპოტიზმის უზემ განსახეურებას. თუ ქალი თავისუფალ და დამოუკიდებელ ნაბიჯს გადადგამა, „ყურანი“ ამ შემთხვევაში მამაკაცებს უჩივს გალანძლონ იგი, რათა „შიშში იქნეთ, ვი თუ გვეურჩონ, საწოლში განზე გააგლოთ, ვსცემთ მათ“ („ყურანი“, თავი 4, მუხ. 38).

მუსლიმანურ რელიგიას სხვა მახინჯი მხარეებიც აქვს. ერთი მათგანია მრავალცოლიანობა. როგორც მუსლიმანური რელიგიის თეოლოგიური საფუძველი, „ყურანი“ მრავალცოლიანობის გვერდით მხველვის ყოლასა და ჰარამზანების არსებობასაც აკანონებს. მასში ნათქვამია, რომ თუ მამაკაცი „მიეკარებინა მარტო თავიანთ ცოლსსა და შექნილ მხველვასაც... ცოდვა არაა“ („ყურანი“ თავი 70, მუხ. 30). ისლამის ეს დებულება, ცხადია, მორწმუნეებს ამორალური ქცევისაკენ უბიძგებს. ნაგრამ „ყურანი“ ამითაც არ კმაყოფილდება და მორწმუნე მამაკაცს მოუწოდებს: „ნება გაქვს... შეირთო ქალები, რომელნიც დაასაჩუქრო, მხველები, რომლებიც ღმერთს ხელთ მოუციო შენთვის, დედამათი ბიძებისა და დეიდა-მამიდების ასულენი... და ყოველივე ერთგული ქალი, რომელმაც თავისი სული (თავისი თავი) დაგანებოს“ (თავი



33, მუხ. 49). მართალია, ეს სიტყვები წინასწარ-მეტყველს შეეხება, მაგრამ მართლმორწმუნენი ეყრდნობიან ამ გამსრწნელ, ამორალურ დოგმას და თანამედროვეობის შეუფერებელ საქციელს სწადიან — ჩვეულებრივად მიიჩნევენ ნათესავეების უფულებას. მორწმუნეთა ასეთი მოქმედება სა-მარცხენო და დასაკამობია.

ისლამი მუსლიმანებს აძლევს ცოლის გაშვებისა და მეორესთან აღიარების უფლებას. იგი მორწმუნეებს მოუწოდებს: „შეგიძლიათ იმედი მისცეთ მას, რომელიც ინდომო, და შენ საწოლში მიიღო იგი, რომელიც ინდომო, იგიც, რომელიც ხელახლა მოგინდომებია, ათვალწუნების შემდეგ“ („ყურანი“, თავი 33, მუხ. 5). კიდევ მეტი, „ყურანი“ მამაკაცებს ურჩევს „ორი, სამი, თუ ოთხი შიერთეთ იმ ქალთა შორის, თქვენ რომ მოგვწონთ“ (თავი 4, მუხ. 3), ხოლო „თუ გწაიდათ ერთი ცოლი მეორე-ში გაცვალით და ერთი მათვანისათვის ასი დინარი (ფულის ერთეული — ვ. მ.) მიგეცეთ“ (თავი 4, მუხ. 24). ესაა ნამდვილი ამორალიზმი საქორწინო ურთიერთობაში.

ამავე დროს „ყურანი“ მორწმუნეებს ფარისევ-ლურად ურჩავს ქმრიანი ქალის ცოლად შერთ-ვას, თუ ის ტყვე არ იქნება, მაგრამ იქვე შენიშ-ნავს: „ნება გაქვთ ამის უმეტესიც ჩაიდინოთ, თუ გასურს თქვენ“ (თავი 4, მუხ. 28).

ეს დოგმა იწინააღმდეგება და აბრკოლებს თანასწორობისა და ურთიერთ-სიყვარულის ნია-დაგზე ოჯახის შექმნის შესაძლებლობას.

ისლამი ქალს ვალდებულს ხდის ატაროს ჩადრი და სახე მოარიდოს მამაკაცს, რათა თითქმის ამით ორივე მხარის (ქალისა და კაცის) „სიწმინდე და-ცულ იქნეს“ („ყურანი“, თავი 33, მუხ. 53). ამი-ტომ „მორწმუნეთა ცოლებმაც ჩადრი ძირამდე ჩა-უშვეს; ესრეთ უფრო ადვილ იქმნეს, ვეწიოთ მას, რომ ვერ გამოვიცნოთ იგი, ვერც ვალანძლონ“ („ყურანი“, თავი 33, მუხ. 59). ქალისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ იგი ჩამოაშორა საზოგადოებრივ საქმიანობას და მიაჯაჭვა ოჯახს.

მუსლიმანური რელიგია ქადაგებს მცირეწლოვა-ნთა გათხოვებასა და იძულებით ქორწინებას. იგი ქალს ართმევს ქორწინების თავისუფლებას, უზ-შობს დამოუკიდებელი მოქმედების გზებს. ისლამი უარყოფს სიყვარულს, როგორც ოჯახის შექმნის რეალურ საფუძველს, და ქალიშვილს მშობლების უსიტყვო მინად ხდის, ყიდვა-ყაყიდის საგნად აქ-ცევს მას. მშობელი არაა ვალდებული ყურადღებას აღი-რიცხავს ქალის პირად სურვილებში. თუ

მოისურვებს, მას უფლება აქვს ახალგაზრდას ქალი მიათხოვოს მოხუცს და თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აიღოს ურავთი.

ისლამის მიხედვით, ქალი ავსული და ყოველ-გვარი ბოროტების წყაროა. „ნუ გამოიჩენთ გადა-მეტებულ ალერსიანობას ლაპარაკში, — ურჩევს „ყურანი“ ქალებს, — რათა კაცმა არ განიზრახოს ნდობა ცოდვის“ (თავი 33, მუხ. 32). იგი ქალს უკრძალავს საოჯახო საქმეებში ჩარევას — ეს უუნძქვია მხოლოდ მამაკაცის კუთვნილებათა. ქალს არა აქვს არც საზოგადოებრივ საქმეში ჩარევის უფლება. ამავე დროს მართლმორწმუნეებს „ყურანი“ ურჩევს არ დაიჯერონ ქალის რჩევა-დარი-გება, არ გაიზიარონ მისი აზრები. თუ ორმოც რჩევაში ერთის შესრულება ისურვებს, ესეც კი არ უნდა გაუმხილონ თავინთ ცოლებს.

კომუნისტური მორალი, თავისთავად ცხადია, მკვეთრად უპირისპირდება ისლამის მორალურ დოგმებს. ქალისადმი დამოკიდებულებას ზნეობ-რივი ნორმები ჩვენს ქვეყანაში ასახევენ საბჭოთა ადამიანის მორალურ სახეს და სოციალიზმის უძ-ვირფასეს მონაბოვარს. ჩვენი ხალხის ამ მონაბო-ვარმა ქალი გაათავისუფლა ყოველგვარი ჩაგვრი-საგან. საბჭოთა კონსტიტუციით ქალს „სსრ კავში-რში ენებუა მამაკაცის თანასწორი უფლებანი სა-მეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგ-ში“ („სსრ კავშირის კონსტიტუცია“, მუხ. 122).

ახლა საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეო-ბენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ავლინებენ შემოქმედებით აქტიურობას და ორგა-ნიზატორულ ნიჭს. მკვეთრად გაიზარდა მათი როლი მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქალებთან ერთად დაუცხრომლად იბრძვიან მშვი-დობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

მართალია, ზოგიერთი მუსლიმანი ჯერ კიდევ ძველებურ დამოკიდებულებას იჩენს ქალისადმი, მაგრამ ეს არის წყვეული წარსულის რეციდივი. აი ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა ადამიანთა შეგნება-ში წარსულის გადმონათების აღმოფხვრისათვის მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის გა-ნუყოფელი ნაწილია. თვითეული საბჭოთა მოქალა-ქის ვალია აქტიურად იბრძოლოს ისლამის რეაქ-ციული მოძღვრების წინააღმდეგ, მისი გავლენი-საგან უკლებლივ ყველა მუსლიმანის განათვისუფ-ლებისათვის.



ილია ბახვაძე

მოგონებათა ფურცლები

ერთხელ ძველმა საზოგადო მოღვაწემ არისტო ქუთათელაძემ ოთხმოცდაათიან წლებში ხონში (ახლანდელი წულუკიძე) ჩამოიყვანა მომღერალი ფილიმონ ქორიძე, ქართული თეატრის ცნობილი რეჟისორის მიხეილ ქორიძის (ქორელის) მამა.

ფილიმონ ქორიძემ ხონში ჩამოაყალიბა საერო და საეკლესიო მომღერალთა გუნდი. მაგონდება, ყოველ კვირადღეს ეს გუნდი წმიდა გიორგის ეკლესიაში აწყობდა საეკლესიო გალობას ქართულ ენაზე, რაც ხალხს იზიდავდა. მაგრამ მალე ფილიმონ ქორიძის გუნდს აუკრძალეს ქართულ ენაზე გალობა.

მახსოვს, ამის შესახებ მაშინ გაზეთ „ივერიამი“, რომელიც თბილისში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა, საშა წულუკიძემ მოათავსა ვრცელი წერილი, სადაც წერდა: „ხონის ტაძარში, სადაც ერთ დროს მშვენიერი ქართული გალობა ქართველს სმენას უტკობდა, სარწმუნოებრივ გრძნობას უღვივებდა, დღეს ორკლასიანი სავაეო სკოლის მოწაფეები „ღოსპოდი პომილუსი“ გაიძახიან, რომელიც, რასაკვირველია, რუსულის უცო-

დინართ (უმეტეს ნაწილს) გულს ვერ წვდება, გონებას ჭეშმარიტ აზრს ვერ ამცნებს და მათ სარწმუნოების სიყვარულს ვერ შთააგონებს... ნუთუ ამ სკოლის მოწაფეებიც ლევიციის მეთოდმა ისე გადააგვარა, რომ ქართული გალობაც ვერ ისწავლეს? ნუთუ ქართველი ბავშვებისათვის „ღოსპოდი პომილუსი“ სწავლა უფრო ადვილია, ვიდრე „უფალო შეგვიწყალოს“? ვეკვივობ! ამასთანავე გვიკვირს ადგილობრივმა ბლაროჩინმა (გულისხმობდა ერასტი მაჰარაძეს—ი. ბ.), რომელიც ამ ასპარეზისათვის საკმაოდ მომზადებულია და რომელიც ეკლესიისათვის, თუ ბევრს არა, ცოტას მაინც ფიქრობს და იღვწის, ამ თვალსაჩინო ნაკლს ჯეროვანი ყურადღება რათ არ მიაქცია?! სწორედ გამოცანაა!..“ („ივერია“, № 231, 1895 წ.).

საშა წულუკიძე ხონში ჩემ მეზობლად ცხოვრობდა. ის სულ ხუთი წლით იყო ჩემზე უფროსი. ერთხელ მითხრა: „როდესაც ერთხელ თბილისში ჩავდი, გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მივედი და ილია ჭავჭავაძე ვინახულე. პირადად ილია ჭავჭავაძეს არ ვიცნობ-



დღი. გამოვეცნაურე. ძალიან ხალისიანად და სიყვარულით მიმიღო ილიამ და მითხრა: სულ მცირედი შესწორებების შეტანით დავბეჭდეთ თქვენი წერილი, რომელიც ეხება ქართულ ენაზე თქვენს ეკლესიაში გალობის აკრძალვას. ყოველგვარი საშუალებით მეფის მთავრობა და მისი მონა-მორჩილი უნიჭო მოხელეები ძალიან ცდილობენ ჩვენს გადაგვარებას, მაგრამ ამას ისინი ვერ შეძლებენ...

ამ სიტყვების შემდეგ ილიამ გამომკითხა ხონის ამბები, მითხრა, რომ ის იქ ერთხელ იყო, როდესაც ქუთაისში 1864 წელს გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ მუშაობდა. ჩემთან საუბარი მან ასე დაამთავრა: „კალამი გემორჩილება, წერა გეხერხება, ნუ დაიზარებ, ჩვენი ქვეყნის მტკივნეულ საკითხებზე ხშირად გამოგვიგზავნე წერილებიო...“

* * *

1901 წელს აკაკი წერეთელი ხონში ჩამოვიდა და დაესწრო ილია ბახტაძის (ხონელის) გარდაცვალების წლისთავზე ხონის ეკლესიაში დანიშნულ პანაშვიდს. აქვე ნახა მან გამოჩენილი სომეხი დრამატურგის სუნდუციანცის პიესა „პეპო“, რომელშიც პეპოს როლს ასრულებდა ცნობილი ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, აკაკის ძალიან ახლო ნაცნობი.

ამასთან დაკავშირებით იმავე წლის გაზეთ „ივერიამი“ აკაკიმ წერილი მოათავსა სათაურით „პეპო ხონში“, რომელშიც წერდა: „დიახ, პეპობამ გამოიყვანა დარბაისელი ექიმი სცენაზე და თუ არა ხელოვნურად, გულწრფელად მაინც ითამაშა სხვების საგულისხმოდ და სამაგალითოდ“...

აკაკი მაშინ რამდენიმე დღე დარჩა ხონში, სადაც არაერთი ნადიმი გაუმართეს. ერთ-ერთ ასეთ ნადიმს, რომელიც თვით ექიმმა ჩხიკვიშვილმა მოაწყო, მეც დავესწარი. აკაკიმ ამ ნადიმზე

სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც შეეხო იმ დიდ ღვაწლს და ამაგს, რაც ჩვენს ქვეყანას დასდეს პეტერბურგში განსწავლულმა ქართველმა ახალგაზრდებმა, ეგრეთწოდებულმა „თერგდალულეებმა“. მათგან, როგორც მეთაური, გამოყო ილია ჭავჭავაძე. ბევრი ილაპარაკა აგრეთვე ნიკო ნიკოლაძეზე, კირილე ლორთქიფანიძეზე, კიდევ უფრო მეტი თქვა გიორგი წერეთელზე. „გიორგი წერეთელიო, — თქვა აკაკიმ, — თავისი საქმიანობით, უნარით საქართველოში ბევრისაგან გამოირჩეოდა და მას ილია ჭავჭავაძე მუდამ ძალიან დიდ შეფასებას აძლევდა, როგორც მწერალს, ისტორიკოსს და საზოგადო მოღვაწეს...“

შემდეგ აკაკი შეეხო ილია ჭავჭავაძისა და ილია ბახტაძე-ხონელის ურთიერთობას და თქვა: „თავდაპირველად ილია ჭავჭავაძის და ილია ბახტაძის დამოკიდებულება ერთმანეთთან ძალიან კარგი იყო. ილია ჭავჭავაძეს, როგორც ჩემთან, ისე სხვებთან დიდი ქება შეუსხია ილია ბახტაძე-ხონელისათვის. მას მოსწონდა ილია ხონელის ბასრი კალამი. ბევრჯერ უთქვამს: „ჩვენ მწერლებში, ჟურნალისტებში, ნიკო ნიკოლაძის გარდა, რუსულ ენას ისე არავინ არ არის დაუფლებული, როგორც ილია ხონელიო“.

* * *

1903 წელს გაზეთმა „ივერიამი“ დაიწყო ალექსანდრე სუმბათაშვილის (იუჟინის) პიესის „ღალატი“ ბეჭდვა, რომელიც რუსულიდან თარგმნა გრიგოლ ყიფშიძემ. ერთხელ თბილისში შევხვდით გრიგოლ ყიფშიძეს და აი რა გვითხრა: „როდესაც დავიწყე ქართულ ენაზე სუმბათაშვილის „ღალატის“ თარგმნა, ნაწილი ამ თარგმანისა ილია ჭავჭავაძეს მივუტანე და ვთხოვე წეკითხა. მან მითხრა: თქვენ საუკეთესო მცოდნე ხართ ქართული ენის და დაჯერებული ვარ თარგმანს გასწორება არ



დასჭირდება, მაგრამ, რადგანაც გინდათ მე გადავიკითხო თქვენი თარგმანი, დავაკმაყოფილებ თქვენს თხოვნას, წავიკითხავო... ილიამ ჩემთან ერთად წავიკითხა თარგმანი და მირჩია ზოგიერთი რამ შემეწვრობინა, საერთოდ კი თარგმანი მოიწონა...“

ილია ჭავჭავაძეს ვაზეთ „ივერიაში“ ბევრი კარგი თანამშრომელი ჰყავდა, მაგრამ მათში ყველასაგან გამოირჩეოდა ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი). ხიზანიშვილი ქართული ენის საუკეთესო მკოდნე იყო და რედაქციაში კარგ სტილისტად ითვლებოდა.

მახსოვს, ერთხელ აკაკი წერეთელი ქუთაისში ეწვია სერგო ბახტაძეს. სერგო ბახტაძის სახლში ყოფნის დროს, სადაც მეც ვახლდი, აკაკიმ ლაპარაკი ჩამოაგდო ნიკო ხიზანიშვილზე. „ნიკო ხიზანიშვილიო, — თქვა აკაკიმ, — ძალიან ნიჭიერი და გულისხმიერი ადამიანი იყო; ის მე მიყვარდა, მაგრამ ჩემზე მეტად ილია ჭავჭავაძეს უყვარდა. ხიზანიშვილი ილიას ახლო მეგობარი და სტუმარი იყო.“

1905 წელს, როდესაც ხიზანიშვილი სასამართლოს გამოძიებლად იყო თბილისში, ვიღაც ბოროტი პირები გზაზე დახვდნენ და რევოლვერით დასჭრეს, მაგრამ მაშინ სიკვდილს გადაარჩა. მეორეჯერ 1906 წელს ბოროტმოქმედი პირები ხიზანიშვილს ისევ დახვდნენ და მოჰკლეს. ილია ჭავჭავაძემ დიდად განიცადა „ივერიის“ საუკეთესო თანამშრომლის, მისი ახლო მეგობრის ხიზანიშვილის მკვლელობა. ილიამ მის ოჯახს (ხიზანიშვილის ცოლი იყო გამოჩენილი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი) ფულით დახმარება აღმოუჩინა და ვაზეთ „ივერიის“ ყველა ძველ თანამშრომელთან ერთად დაესწრო ნიკოს დასაფლავებას...“

* * *

1908 წელს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად

ბათუმის ქართულ ეკლესიაში გაიმართა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც ბევრი დავესწარი. წარმოითქვა ბევრი საინტერესო სიტყვა. მათგან საგულისხმო იყო ერთ-ერთი მღვდლის გამოსვლა (კარგად არ მახსოვს, მგონი თოთიბაძე იყო გვარად).

ილია ჭავჭავაძეო, — თქვა მან, — მუდამ ფხიზლად იდგა საქართველოს ერისა და კულტურის დასაცავად. შემდეგ გაიხსენა მისი ვაჟთრებულები კამათი ქართველების მოძულე კატკოვთან, იანოვსკისთან და სხვებთან, მოიყვანა მისი (ილიას) წერილებიდან ბევრი საინტერესო ადგილი და ხაზი გაუსვა იმას, რომ პალმი და სხვა შოვინისტები ბათუმში არაფერს არ ზოგავდნენ, რათა ქართველები შეევიწროებინათ, მტრობა და სიძულვილი ჩამოეგდოთ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის. დიდად პატივცემული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვოლსკი (უმწიფარიძე), დავით კლდიაშვილი და სხვები დახმარებისათვის ყოველთვის ილიას მიმართავდნენ და ილიაც მუდამ ხელს უწყობდა და ეხმარებოდა. ილია ჭავჭავაძის ბათუმში ჩამოსვლა ქართველებისადმი მტრულად განწყობილი მეფის მთავრობის უნიჭო მოხელეებისათვის თავზარდამცემი იყო, რადგან კარგად ახსოვდათ სიმწვავე იმ ბასრი მახვილისა, რომელიც ილიას არაერთხელ ჩაუტია გულში ქართველი ერის, მისი კულტურის მოძულე კატკოვის, იანოვსკისა და სხვებისათვის.

თავისი სიტყვა მღვდელმა ასე დაამთავრა: ილია ჭავჭავაძის მოსაკლავად გასროლილი ტყვია ქართველი ერის მოსაკლავად გასროლილი ტყვიაა. მაგრამ ყველა ცდება, ვინც ქართველი ერის მოკვლაზე ოცნებობს. ისეთი დიდი ისტორიული წარსულის მქონე ერს, როგორც არის საქართველო და რომელსაც ჰყავდა ისეთი სახელოვანი შვილები, როგორც იყვნენ დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუ-



სთავებლ, ერეკლე მეფე, გიორგი სააკაძე, თვითონ ილია ჭავჭავაძე და ახლა ჰყავთ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები, ვერაინ ვერ მოკლავს. თუ ჩვენ ვძულვართ კატკოვს, იანოვისი და ამათ მსგავს პირებს, სამაგიეროდ ჩვენს მზარეზება პუშკინის, ბელინსკის, ლერმონტოვის, ტურგენევის, გრიბოედოვის, ლევ ტოლსტოისა და მათი მსგავსი პირების რუსეთით.

* * *

1909 წელს ხონში დიდი შეხვედრა და ნადიმი მოუწყვეს აკაკი წერეთელს. ხონში აკაკისთან ეს შეხვედრა მე დაწვრილებით ავწერე იმავე წლის გაზეთ „ჩვენი აზრის“ ოცდამეოთხე ნომერში, რომელიც მაშინ თბილისში გამოდიოდა (წერილის სათაური იყო „აკაკი ხონში“).

ხონში ყოფნისას აკაკი მიიბატოვა სამსწავლებლო სემინარიის დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ. მის სახლში თავი მოიყარა ხონის რამდენიმე მოწინავე ინტელიგენტმა. მათთან აკაკიმ ჩვენი ქვეყნის ბევრ საჭირობოროტო საკითხზე ჩამოაგდო ლაპარაკი და წაუკითხა ილია ბახტაძე-ხონელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი:

ნიჭი უებრო, სწავლის მოყვრობით
დაგვირგვინებულ-დამთავრებული,
შესწირე მომშეთ, თვით მე ვარ მოწმეთ
თან ჩაატანე სული და გული!

ამ ცრუ სოფელმა დაუნდობელმა,
არ დაცალა მშრომელსა შრომა!
ვინც იყო ყველას მოპირდაპირე
და არ უყვარდა ქვეშ-ქვეშა ძრომა!

მარა მის შრომას და მის გულისთქმას,—
ვერ გააქარწყლებს საფლავი ბნელი!
მის მახვილ კალამს ვერა დამალავს,
გარს ემოსება სხივთა ნათელი!

თანამოკალმე, გეთხოვები მე,
აქ განისვენებ და არ ხარ მკვდარი!..
ის არ მოკვდება, ვისაც სამშობლო
იგონებს მხოლოდ, ვით მეგობარი...

ამის შემდეგ აკაკიმ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

„ილიას მკვლელობა, — თქვა მან, — დიდად განიცადა ქართველმა ხალხმა და განსაკუთრებით ეს ყველაზე მეტად მე განვიცადე. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ილიასთან ერთად ვეწეოდი მწერლობას და საზოგადო მოღვაწეობას და ერთი ფეხი უკვე სამარეში გადადგმული მოხუცისათვის საშინელი, აუტანელი ყრობიდან ჭირსა და ლხინში ერთად შეზრდილი საუკეთესო მეგობრის დაკარგვა... ხალხში გავრცელებულია ბევრი უაზრო მითქმა-მითქმა და დღეს, ვისაც აბრალებენ ილიას მკვლელობას (მხედველობაში ჰყავდა „მესამედსაღებები“ — ი. ბ.) ეს მართალი არ არის. ილიას მკვლელობა იმათი მოწყობილია, ვინაც დიდხანია მიზნად დაისახა საქართველოს მოკვლა. მე ვერ მოვესწრები, მაგრამ ბოლოს გამოირკვევა, ვინ მოაწყო ილიას ვერაგული მკვლელობა ნაპუსიდან და სინდისიდან გარეცხილი რამოდენიმე ქართველის ხელით“.

* * *

მახსოვს, ილიას მკვლელობის შემდეგ საქართველოში ყველაგან შემოიღეს ძველი სტილით 27 ოქტომბერს ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი სალიტერატურო საღამოების მოწყობა. 1910 წელს ქუთაისიდან, იქ მომუშავე ინტელიგენტების დავალებით, ყურნა-ლისტმა პეტრე ყიფიანმა თბილისში ვაჟა-ფშაველას გაუგზავნა ასი მანეთი და თხოვა, 27 ოქტომბერს ქუთაისში ჩამოსულიყო ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მისაღებად. ვაჟისთან ერთად მიიბატოქეს პოეტი იოსებ გრიშაშვილი.

ილიას საღამოზე ვაჟა-ფშაველამ წაიკითხა დიდი მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი. დიდი მოწონება დაიმსახურა ამ ლექსმა:



საძირკვლად აზრი ჩააგდე.
 ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
 მან გააბრწყინა სხივებით
 ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.

გვეყარულობდი თვალ-ფხიზლად,
 შენ იყავ ჩვენი საფარი —
 მოგკალით ჩვენივე ხელით.
 მოძმეთთვის ნაკირმაგარი..

მოჰკვდი თვით სატრფოს კალთაზე,
 დადუმდა ჩანვის სიმები;
 აყვავებული მამული
 გაგვიხდა დასატირები!

ჩვენ რა ექნათ, ჩვენა, ცოცხლებმა?
 გარს შემოვივლეთ ბექები,
 ვხდებით ყვავ-ყორნის სადილად,
 ტურა-მგელთ გასაყვლეფები!

ვაი, რომ რჩება აკვანი
 ბაზალეთის ტბის ძირასა,
 და დიდხანს კიოხვადვე გვრჩება:
 „ვინ ამოიღებს იმასა?“

როდესაც ვაჟა-ფშაველამ ლექსის
 კითხვა დაამთავრა, დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით ოვაციები ვაუშართა. ოცი წუთის განმავლობაში შეუწყვეტელი ტაში გრიალებდა და თეატრის პარტერიდან, ლოკებიდან და ქანდარიდან ვადმოსროლილი ყვავილებით თეატრის სცენა სულ ერთიანად დაიფარა.

ხალხი რომ დაწყნარდა, ვაჟა-ფშაველას თხოვეს „დამისხი დამალევიწინე“ და „დაკრილი არწივი“ წაეკითხა. მან ეს თხოვნა შეასრულა, რის შემდეგ ილიაზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა.

ამ სალამოზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე მაშინ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა, რომელსაც დამსწრე საზოგადოე-

ბამ, განსაკუთრებით მოსწავლე ვახტანგ გაზრდობამ, ოვაციები გაუშარტა როდესაც თეატრიდან გამოვიდა, ყველა ვილები გადააყარა.

1910 წელს ქუთაისში ილიას სალამოს დაესწრო აგრეთვე საქართველოსა და ქართველების დიდი მოყვარული მარჯორი უორდროვის ძმა. მასაც ამ სალამოზე ძალიან გულთბილად შეხვდნენ.

მეორეჯერ ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო სალამოში მონაწილეობის მისაღებად საგანგებო მოწვევით ქუთაისში 1913 წელს ჩავიდა და კვლავ დიდი შთაბეჭდილება დატოვა. სხვა ლექსებთან ერთად ვაჟამ ქუთაისის თეატრში, სალიტერატურო სალამოზე წაიკითხა რამდენიმე ლექსი, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის სხოვნისადმი და თავისი გამოსვლა დაამთავრა ერთი პატარა ლექსით, რომელიც იმერეთს მიუძღვნა.

საზოგადოებამ ვაჟას თხოვა, ახლო მომავალში კიდევ გვეწვიეო, მაგრამ ამაზე აი რა უპასუხა:

„ბევრი შრომისაგან დავიქანცე (ვაჟა-ფშაველა მწერლობასთან ერთად თავის ოჯახში დიდ ფიზიკურ მუშაობას ეწეოდა: ხნავდა, თესავდა. მისი ხელი ხშირად მინახავს დახეთქილი, დაკოჭრებული მეტსიმეტი შრომისაგან — ი. ბ.), ჯანმრთელობამ მიღალატა. თქვენმა გულთბილმა შეხვედრამ ძალიან გამახარა, მაგრამ ჩემი ჯანმრთელობის პატრონი, დაუძლურებული და ავადმყოფი, ვერ შეგბირდებით კიდევ ქუთაისში ჩამოსვლას“.

მართლაც, 1913 წლის შემდეგ ვაჟა ქუთაისში აღარ ჩასულა — 1915 წელს გარდაიცვალა.



დიდი მხაფიანი,
საკა მხაფიანი

გათუმის მუშათა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრე

გასული საუკუნის 80-იან წლებში, რუსეთ-ოტომანების 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ბათუმში მტკიცედ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და ნაღვ გადაიქცა ამიერკავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად. აქ ერთი მერის მიყოლებით გაჩნდნენ სამრეწველო საწარმოები და დამამარე სახელოსნოები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდნენ ბაქოს ნავთობის გატანას საზღვარგარეთ. ყოველივე ამის შედეგად შესამჩნევად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა, კერძოდ, მუშათა რიცხვი. 90-იანი წლების მიწურულს ბათუმში უკვე ათასობით მუშა ითვლებოდა. დიდი იყო უმუშევართა რაოდენობაც. ამის გამო მუშათა ექსპლოატაციას განსაკუთრებით მტაცებლური ხასიათი ჰქონდა.

მაშინ ეკონომიური პირობები და უფულებობა ბათუმის პროლეტარიატის პროტესტს იწვევდა, რაც ცალკეული გაფიცვების სახით გამოიხატებოდა. მაგრამ ისინი, ეს გაფიცვები, ჯერ კიდევ სტიქიურ ხასიათს ატარებდა. მუშებს იმხანად არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ სოციალ-დემოკრატიული შეგნება. ასეთი შეგნება მათში უნდა შეეტანათ მარქსისტებს, სოციალ-დემოკრატ რევოლუციონერებს. ამ ამოცანის შესრულება, პროლეტარიატის ცნობიერების გაუტეხელ ყამირში მარქსიზმის გავრცელების პიონერობა წილად ხვდათ სოციალ-დემოკრატებს გიორგი ფრანჩესკისა და ივანე ლუზინის. 1896 წელს ბათუმში მათ ჩამოაყალიბეს მუშათა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელიც იქცა ადგილობრივი

პროლეტარიატის მოწინავე ნაწილის პოლიტიკური აღზრდის სკოლად.

გიორგი ფრანჩესკი და ივანე ლუზინი ერთმანეთს პირველად ბათუმში გაეცნენ. მართალია, წარმომოხებით ერთი იტალიელი იყო, მეორე კი რუსი, მაგრამ საერთო მიზანმა — მთელი სიცოცხლე მოეხმარებინათ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის — ადვილად გადალახა ეროვნული შიშლდე და ისინი ჭკუშმარით მეგობრებად აქცია. მათგან ბათუმში პირველი ჩამოვიდა და აქ დასახლდა გიორგი ფრანჩესკი. მაგრამ ეს როდი იყო მისი პირველი სტუმრობა ჩვენს ქალაქში. ჯერ კიდევ ადრე, თავისი ყრმობის გარკირაჟზე, როდესაც მძიმე ცხოვრების პირობებმა ოდესელი ბიჭუნა აიძულა გიმნაზიელის ფორმა მეზღვაურის მაისურაზე გაეცვალა, სამსახურებრივი მოვლეობის შესრულებისას ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში. მაშინ იგი მუშობდა გემ „სვეტზე“. რომელსაც ნავთობი დაჰქონდა ბათუმიდან ლონდონში; რეისი მეტად ვრძელ იყო, მაგრამ ძლიერ საინტერესო. გემი შედოდა სხვადასხვა ქვეყნის ნავსადგურებში და ფრანჩესკის საშუალება ეძლეოდა გაეცნობოდა მრავალ საზღვაო ქალაქს.

მართალია, ბათუმში გემი დიდხანს არ ჩერდებოდა, დატვირთვის უმაღ ტოვებდა მას, მაგრამ ეს მცირე დროც საკმაო აღმოჩნდა, გიორგის რომ მსურვალედ შეეყარებოდა პატარა ლამაზი სანავსადგურო ქალაქი. იგი მას აგონებდა წინაპართა სამშობლო ქალაქ ნეაპოლს, რომლისადმი სიყვარული და პატივისცემა, მამის წყალობით, ზაფშეო



ზიდანვე ჰქონდა ჩანჩქრილი და, შეიძლება ითქვას, ამ გრძნობამ განსაზღვრა მისი მომავალი პროფესია: იგი იმედოვნებდა, როგორც მეზღვაურს. ემი-
ლა შორეული სანუკვარი ქვეყანა. როდესაც ეს
სურვილი ვერ განხორციელდა და თვით მეზღვაუ-
რობასაც უბედური შემთხვევის გამო თავი დაანება
(გემის დატვირთვის დროს ოფისაში ზავირმა თი-
უბი წააგლიჯა). ცხოვრების სახსრის საქმენკლად
და მუღმივ საცხოვრებელ ადგილად ბათუმი აირ-
ჩია.

აქ, მაშინდელ მარინეს პროსპექტზე, გიორგიმ
შეღავათიან უასესში იქირავა ვინმე ლიგერის ბი-
ნა, რომელიც ორი მორჩილი ოთახისაგან შედგე-
ბოდა. მაგრამ ბინის დაქირავებამ ფრანჩესკის
მდგომარეობა კრიზისული გახდა. დიასახლისმა
წინდაწინ გამოართვა ტირა, რომლის გადახდის
შემდეგ ბიუჯეტში 50 კაპიკი დარჩა; ამ მცირე
სახსრით უნდა ერჩინა თავი. ვიდრე სამსახურს
იშოვნოდა. ფრანჩესკი არ შეგეტოვია. უკეთესი
მომავლის იმედით დაიწყო ცხოვრება უცხო ქალაქ-
ში. დიდი ნებისყოფა, პრინციპულობა, ოპტიმიზმი
აუკლებდნენ მას დაპრაქტიკებულა წინააღმდეგ ბრძო-
ლის დროს.

მაღე გიორგის ბედმა გაუღიმა — თუმცა მცი-
რხელფასიანი, მაგრამ მისი უკიდურესად შევიწ-
როვებელი მდგომარეობის კვალობაზე შედარებით
კარგი სამუშაო იშოვა. ფრანგული ენის მასწავ-
ლებლად მოეწყო რომელიღაც ვაჭრის სახლში, სა-
დაც მას ხელუხასაც აძლევდნენ და უსასყიდლოდაც
აძლევდნენ. შემდეგ მან კიდევ გაიჩინა დამატებითი
საათები და ნოტარიუსთანაც იშოვა ადგილი. სამ-
სახურებრივ სარჩელზე ასეთი წარმატება განაბი-
რობა ფრანჩესკის ნაცნობობამ იტალიის კონსულ
სოლერნოსთან, რომელიც მის მეზობლად, იმავე
ეზოში ცხოვრობდა. მისი დახმარების მეშვეობით
გიორგის ბიუჯეტში ყოველთვიურად 30 მანეთამდე
შედებდა. ეს ნამდვილი ფუფუნება იყო მისი მცი-
რე მოთხოვნების პირობაზე.

როგორც კი თავისი პირადი საარსებო საკითხე-
ბი მოაგვარა, გიორგიმ გადაწყვიტა დახლოებოდა
ადგილობრივ ინტელიგენციასა და მუშებს. იგი
განემა „მესამე დასის“ — ლეგალური მარქსიზმის
წარმომადგენელს საფილოქსერო დასის ავენიუ კარ-
ლო ჩხეიძის. მან ფრანჩესკი გააცნო როტშაიდის
ქარხნის მუშებს პორფირე ქურდიძეს, ლაგრენტი
ჯინჭარაძეს, ნიკო სანაძეს, სპირიდონ და ნიკო
დუნდუებს, ბეგლარ მეღიას, მიხა კალანდაძესა და
სხვ.

მათთან უბრალო ამხანაგური საუბრით გიორგი
დარწმუნდა, რომ ბათუმელ მუშათა კლასობრივი
შეგნება ძალზე დაბალი იყო, ხოლო მათ გასათვით-
ცნობიერებლად, მათი იდეურ-პოლიტიკური დო-
ნის ასამაღლებლად, მათში ინტერნაციონალური
გრძნობების აღზრდისათვის სერიოზულად არავინ

ზრუნავდა. ფრანჩესკის აზრით, ეს მიუტყველებელი
შეცდომა იყო ისეთი ქალაქის პროლეტარიატში
მიმართ, როგორსაც ბათუმი წარმოადგენდა.

მრავალწლოვანი, სოციალურად და პოლიტიკუ-
რად ჩაგრული სამრეწველო ქალაქის მუშათა კლასი,
რანაკირივლია, დიდი რევოლუციური პოტენ-
ციის შემცველი იყო და მისი სათანადო გამოზრდ-
მედვის შემდეგ ძლიერ ძალად გადაიქცეოდა, და-
რტყმას დარტყმაზე მიაყენებდა ექსპლოატატო-
რებს, ღიდ დათმობებს გამოსტაცებდა და ვანჭირ-
ვის კარამდე მიყვანდა მათ.

დამკაცების, უმოძრაობის მდგომარეობიდან მუ-
შების გამოსაყვანად საჭირო იყო მათთან დაახლო-
ება, მეგობრული საღამოებისა და საუბრების მო-
წყობა მუშათა ცხოვრების ამა თუ იმ მტკიცეულ
საკითხებზე. პოლიტიკურ თემებზე. მაშინ ეს არც
ისე ადვილი იყო. ამიტომ პირველ ნაბიჯში ფრან-
ჩესკის ცდას წარმატება არ მოჰყოლია. მუშები
უხალისოდ იკრიბებოდნენ, მაგრამ მალე მდგომარე-
ობა ვაგონსწორდა. რძლის ძმის — კოგანის წე-
რილით ფრანჩესკის ესტუმრა ივანე ლუზინი —
მოწინავე ტამაზიველი მუშა, რომელიც რევოლუ-
ციური საქმიანობისათვის ასტრახანში გადაუსახ-
ლებიათ და სასჯელის მონღის შემდეგ თბილისში
იმყოფებოდა. კაპიტალისტური საწარმოების კარე-
ბი მისთვის, როგორც პოლიტიკურად არაკეთილ-
საიმედო ადამიანისათვის, რა თქმა უნდა, დასშუ-
ლი აღმოჩნდა. მაგრამ მას დროზე მიეშველნენ
მეგობრები და ბათუმისაკენ გამოისტუმრეს, სადაც
სამუშაო უფრო ადვილად მიიწინებოდა.

ივანე ლუზინი ფრანჩესკიმ თავისთან მოაწყო
საცხოვრებლად და შეერთებული ძალით დაიწყო
ბრძოლა მუშათა პოლიტიკური გათვითცნობიერე-
ბისათვის. ენერგიულმა, თავდადებულმა შრომამ
შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. აქტუალურ, საჭირო-
ზორობი საქმეებზე მსჯელობამ მეგობრული სა-
ლაშობი მუშებს პირდაპირ მოთხოვნილებად გადა-
ქცია. ისინი უკვე დიდი ხალისით იკრიბებოდნენ
ახეთ საღამოებზე, რადგან ხელავედნენ, რომ სოცია-
ლური ჩაგვრით გამოწვეული მათი დიდი ხნის
ტივილი შესაფერის წამალს იპოვნიდა დასაყუ-
ჩებლად. ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა მუშათა
მაქრესისტული წრე.

მაღე ფრანჩესკიმ და ლუზინმა შეაფარეს წრის
საბრძოლო პროგრამა, რომელიც თითხმქტი მუხ-
ლისაგან შედგებოდა და შეიცავდა მუშათა რო-
გორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ მოთხოვნებს
(ბრძოლა მონარქიული თვითმპყრობელობის, კა-
პიტალიზმის, სასულეიერო წოდების წინააღმდეგ,
კრებმა, გაფიცვამ, სიტყვის თავისუფლება,
რეგასათიანი სამუშაო დღე და ა. შ.).

ამ პროგრამასა და სხვა პოლიტიკურ ლიტერა-
ტურას წრეში კითხულობდნენ. იკრიბებოდნენ
კვირამი ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში ორ-



ჯერ და სამჯერაც კი... ჭანდარმერიის თვალის ასახვევად მეცადინეობა მიმდინარეობდა ვაჭრობილი სულფის ირგვლივ. ან ქალაქკართი.¹

წრემ შექმნა ეკონომიური ფონდიც — დააარსა ურთიერთდამხმარე სალარო და შეადგინა მისა წესდება. ეს სალარო, როგორც თვითონ სახელწოდებაც მოწმობს, მიზნად ისახავდა ეკონომიურად ძალზე გაპირვეული მუშის დახმარებას. ამასახურადად დაიბოვინდითათვის ხელის შეწყობა ახალი სამუშაოს შოვნამდე და სხვ. ასეთი პრაქტიკული მიზანი მუშებს დიდად მოსწონდათ და ყოველ ხელფასზე სიამოვნებით, აკლებდნენ თავიანთ მცირე ჯამაგირს ორმოცდაათ კაიკს და ფრანსეკის აპარებდნენ.²

განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლუზინისა და ფრანსეკის წრეს ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის „ბრძოლის კავშირთან“, აგრეთვე ბაქოსა და თბილისის სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან და მათგან იღებდა სახელმძღვანელო მითითებებს, ამასთან ხელწერი ანარიტიკების გარკვეულ თანხას იგი უგზავნიდა „ბრძოლის კავშირს“.

ახლოვდებოდა პირველი მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა წრემ გადაწყვიტა ეს დღე აღესაწაღოს აღენიშნა ქალაქკართ გასვლით. მართლაც, 18 აპრილს, საღამოს 5 საათისათვის, მუშებმა თითო-ოროლად მოიყარეს თავი სოუქსუს გორაზე. შეიკრიბა ოცამდე კაცი. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც შეტანილი იყო „სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმთავრესი მუხლები“. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო წრის საქმიანობაში. მართალია, ამ დღეს წვეთი დროსა არ აფრიალებულა, მაგრამ მუშათა თავყრილობამ ცხადყო მათი პოლიტიკური გათვითცნობიერება, მათი გამოჯიხზილება.

მუშაობის შემდგომ გავლაში წრეს დიდ დაბრკოლებას უქმნიდა არალეგალური ლიტერატურის ნაკლებობა. საქმე ის იყო, რომ წრისათვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა, რომელსაც სხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატიული წრის წევრები გზავნიდნენ, ავტაცია-პროპაგანდისათვის ძნელად გამოსაყენებელი იყო: ბათუმელ მუშათა უმეტესობამ რუსულად ენა კარგად არ იცოდა.

ასე მოწვიდა მნიშვნელოვანი აზრი — უზრუნველყოთ წრე არალეგალური ქართული ლიტერატურით, კერძოდ, ქართულ ენაზე ეთარგმნათ პროლეტარიატის დიდი ბელადების მარქსისა და ენგელსის გენიალური „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ეს საქმე მიიღეს რუსული ენის კარგ მცოდნეს მოწინავე მუშას გიორგი სლოდრან-

შვილს, რომელმაც ფრანსეკის უშუალო მეშვეობით ბოთა და კონსულტაციით წარმატებით მოახერხა თავი დაკისრებულ ამოცანას: მოლიანად თარგმნა „მანიფესტი“ პირველი თავი „ბურჟუა და პროლეტარი“.

ნათარგმნი შემდეგ გადაეცადა პეტროგრადზე ბეჭდვის ტექნიკური მხარე ფრანსეკიმ მოაგვარა. მან შესანიშნავად გამოიყენა ავტრმანსი მუშაობის დროს მიღებული გამოცდილება. იქაც სტუდენტთა წრეს პეტროგრადზე მოწონდა რუსულად თარგმნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ რამდენიმე ეგზემპლარის დაბეჭდვა. აფთიაქში ნაყრი წამლებისაგან ვიორჯიმ მოამზადა პეტროგრადის მასა და პრინტირულად, ხელის გულზე სასურთ გადაეჭედა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

წრემ მანიფესტის თარგმნის ორ თვეზე მეტი მონაწილეობა. ნაშრომი კარგა მოზრდილი გამოვიდა, ორმდე გვერდს შეიცავდა.

აი ასე დაიბეჭდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ წრეში „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი ქართული თარგმანი 1897 წელს.

ამის შემდეგ წრემ განიზრახა გაეფრცოლებინა მარქსის ფოტოსურათი. ეს საქმე მოწინავე მუშას მისა ქალანდაძის დაეკავა. მან მოახერხა ფოტოკრავთ სუნდაძის ლაბორატორიაში დაეჭედა მარქსის ორმოცდაათი ცალი პორტრეტი; პორტრეტები სწრაფად გავრცელდა მუშებს შორის. ამ დონისძიებას ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ჰქონდა: ერთის მხრივ, იგი ემსახურებოდა მარქსიზმის პროპაგანდას, ხოლო, მეორე მხრივ, მიღებული შემოსავალი სალაროს ფონდს ემატებოდა.

მუშათა პირველმა მარქსისტულმა წრემ სულ სამი წელი იარსება. ამ ხნის მანძილზე გ. ფრანსეკი მუდამ ბათუმში იყო, ხოლო ლუზინი პერიოდულად ცნობრობდა.

ლუზინი და ფრანსეკი პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად თორიულ მუშაობასაც ეწეოდნენ და მკაცრად ილაშქრებდნენ ქართველი ოპორტუნისტების, ლეგალური მარქსისტების წინააღმდეგ.

ერთ-ერთი იმდროინდელი სოციალ-დემოკრატი ასეთ ფაქტს მოგვიხიბობს: „1897 წლის დეკემბერში ძმების დარჩიაშვილების ბინაში მოწვეული ყოფილა ს. დ. კონფერენცია, რომელსაც დასწრებოდა 95 კაცამდე. დამსწრეთა შორის ყოფილან სხვადასხვა ადგილებიდან (მათში ბაქოდანაც) ჩამოსული სოციალ-დემოკრატები. მოხსენებით გამოხუთა ახლახან საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ნოე კორდანი, რომელსაც ვანუეთარებია ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმისტური შეხედულებები, მას მკაცრად შეკამათებდა ლუზინი, კაზარენკო და მისა ცხაკაია“.¹

1 ბათუმის რევოლუციის მუშეუმის არქივი, ფ. 5, ს. 43.

2 იქვე.

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 34, ს. 20.



ფრანჩესკისა და ლუზინის რევოლუციური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩა ჟანდარმერების, რომელმაც დაიწყეს კვალის ძებნა და მალე კედელს წააწყდა მას.

1898 წლის თებერვალში ჟანდარმერიამ თბილისში დაარბია ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული წრე და დააპატიმრა ივანე ლუზინი. გაჩხრევის დროს მას აღმოაჩნდა მარქსის თოთხმეტი ფოტოსურათი და ფრანჩესკის მინაწერი. ეს შემთხვევა საბუღალტრო აღმოჩნდა ბათუმის წრისთვისაც.

ი. ლუზინი, როგორც პოლიტიკური პატიმარი, მეტეხის ციხეში ჩასვეს. მისი დაპატიმრების შემდეგ პოლიცია შეუდგა იმის გამოკვევას, თუ ვის სტამბაში და ვისი შეკვეთით დაბეჭდა მარქსის ფოტოსურათები, ვინ არის გიორგი ფრანჩესკი, რომელსაც, როგორც წერილიდან ჩანს, მეგობარული ურთიერთობა ჰქონია პატიმართან, და სხვ.

25 თებერვალს თბილისის პოლიციის დეპარტამენტმა სასწრაფო დეპეშა გამოუგზავნა ბათუმის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოს — გაეჩხრკათ ფრანჩესკის ბინა და ბათუმის ფოტოგრაფთა ლაბორატორიები. და აი შუადამისას ფრანჩესკის კარებზე გაისმა უხეში კაკუნი. მცირე ხანი და გიორგის ოთახში დაიწყო ჩხრევის უბოლიშო ცრემონიალი. ფრანჩესკისათვის ეს იმდენად მიუღონღნელი იყო, რომ ვერ მოახერხა ლიტერატურის გადამაღვა. გადასანალავი კი ზეგრი რამ იყო. მას ბინაში ჰქონდა რევოლუციური ზროშურები, საკუთრივ წრის წესდება, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თარგმანის რამდენიმე ეგზემპლარი და სხვ. ყველაფერი ეს ხელში ჩაუვარდა ჟანდარმერიას.

27 თებერვალს ფრანჩესკი დააპატიმრეს და მოათავსეს ბათუმის საოლქო ციხეში. იქ ის ცოტა ხანს იჯდა, მალე გადაგზავნეს თბილისში, მეტეხის ციხეში.

ამვე დროს ჟანდარმერია ენერგიულად ჩხრეკდა ფოტოლაბორატორიებს და ფოტოგრაფ ხუნდაძეს აღმოუჩინეს მარქსის ფოტოსურათის ნეგატივი. ეს იყო შემკვეთის დაუღვერობის შედეგი: მხელი კალანდაძე ვერ აღმოჩნდა კარგი კონსპირატორი და ფოტოგრაფი ხუნდაძე არ გააფრთხილა, რომ აუცილებლად მოესპო ნეგატივი. ამ დაუვირეველობამ აწინააღმდეგა როგორც პირადად კალანდა-

ძეს, ისე წრესაც; დააპატიმრების შიშით გრავმა ხუნდაძემ გასცა შეშვეთის ვინაობა ჟანდარმერიამ დაუყოვნებლივ შეიპყრო კალანდაძე. დააპატიმრება გრძელდებოდა.

ლუზინის, ფრანჩესკის, კალანდაძის შემდეგ დააპატიმრეს კოზენკეიც, რომელსაც ბრალად წაუყენეს ბათუმელ სოციალ-დემოკრატებთან ნაცნობობა.

საქმის რკვევა ერთ წელს გაჰიანურდა. ჟანდარმერია ცდილობდა გაეგო „მანიფესტის“ მთარგმნელის ვინაობა და იერიშები მიჰქონდა განსაკუთრებით ფრანჩესკიზე, რომელსაც თვლიდა სოციალ-დემოკრატიული წრის მეთაურად ბათუმში. მაგრამ ფრანჩესკი არ გატყდა და ბრალდების ასაცდენად ჟანდარმერიას კატეგორიულად განუცხადა, რომ თითქოს ბრიშურა მას შესანახავად გადასცა უცნობმა ქართველმა, რომელიც შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა. ამო ძენით დადლილმა ჟანდარმერიამ 1899 წლის 23 ივნისს საქმე გააჩინა და პატიმრებს მიუსაუა საქართველოდან გადასახლება. ფრანჩესკი გადასახლეს ვიატკის გუბერნიაში სამი წლით, ლუზინი კი ციხიბრში ხუთი წლით.

მათი დააპატიმრების შემდეგ ბათუმში რევოლუციური მუშაობა დროებით შეწყდა. ასპარეზს დაეუფლნენ ლეგალური მარქსიზმის წარმომადგენლები, რომლებიც მთელ თავიანთ საქმიანობას ამოწურავდნენ კულტურულ - საგანმანათლებლო ცუშაობით.

ასე დაანთავრა თავისი საქმიანობა მუშათა პირველმა მარქსისტულმა წრემ ბათუმში. მართალია, იგი, როგორც საერთოდ პირველი სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეები რუსეთში იმხანად, კმაყოფილდებოდა ვიწრო წრეობრივ-პროპაგანდისტული მუშაობით. ე. ი. მუშებს ვერ უჩვენა თეორიისა და პრაქტიკის კავშირის მაგალითი, ნავრამ, მიუხედავად ამისა, მას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — იგი იყო ბათუმის მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პირველი მერცხალი.

1 ბათუმის რევოლუციის მუშუემის არქივი, ფ. 4, ს. 139.



აპად სუკხუდაძე

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“
პირველი ქართული თარგმანი

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გენიალური ნაწარმოები „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მარქსიზმის საბროგრაფო დოკუმენტია. მასში გადმოცემული დებულებანი მშრომელებს აძლევს საზოგადოების განვითარების შინაგანი კანონების გასაღებს. ამით აისნება, რომ გამოქვეყნებისთანავე იგი მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. 1905 წელს ეს ნაშრომი ქართულადაც დაიბეჭდა, რაც საგულისხმო მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, თუმცა საამისოდ სამზადისი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში წარმოებდა. მზღველობაში ვეაქვს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქართულად თარგმნის პირველი ცდა, რომელიც ქართველ და რუს სოციალ-დემოკრატთა ინიციატივით განხორციელდა 1897 წელს ბათუმში.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებებს, საერთოდ, ქართველი საზოგადოებრიობა ვასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გაეცნო, ხოლო ცნობა, რომელიც „კომუნისტური პარტიის მანიფესტთან“ ქართველი საზოგადოებრიობის ნაცნობობას ადასტურებს, 80-იანი წლების დამდეგს განეკუთვნება. გ. მაიაშვილ-ზდანოვიჩთან კამათში ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსი ზოსლეველი (ესტატი მჭედლიძე) წერდა: „მაიაშვილის პრაქტიკული რჩევა (ეკონომიური მღგომარეობის ცვლილება თავისთავად იწვევს ხალხთა პოლიტიკური ვითარების შეცვლას — ა. ს.) რომ ტყუილია და ამ რჩევით დღეს არავინ არ ხელმძღვანელობს, ამას მოწმობს ევროპის სხვადასხვა

ხალხის მოძღვრებანი და ამ მოძღვრებათა შეკეთესნი წარმომადგენელნი. კარლ მარქსი თავის 1847 წლის მანიფესტში სხვათაშორის ამბობს, რომ „მუშა-ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტების უფელი შემფსროსო“.¹

ეს არის ქართულ პუბლიცისტიკაში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის აღნიშნული ნაწარმოების პირველი დამოწმებაც, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ქართველები მანიფესტს ამაზე ადრეც იცნობდნენ 1864-1869 წ. წ. ევროპაში ყოფნისას ნიკო ნიკოლაძეს. როგორც კ. მარქსის მეგობარს, და I ინტერნაციონალის სხდომების მონაწილე ქართველ ახალგაზრდობას შეუძლებელია ამ ნაშრომზე არაფერი სმენოდათ.

ქართველი რევოლუციური ახალგაზრდობა „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ ნაოღნიკების მიერ 80-იან წლებში შესრულებული რუსული თარგმანით ეცნობოდა. „მანიფესტის“ ქართულად თარგმნის საჭიროება მაშინ მაინცდამაინც არ იგრძნობოდა. მაგრამ 90-იანი წლების დამდეგს, სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებისა და მისი ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით, მომწივდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქართულად თარგმნის აუცილებლობა. ამ კეთილშობილური ამოცანის შესრულება წილად სვდა ბათუმის პროლეტარიატს.

1896 წელს გ. ფრანკსკი, გ. სოდორაშვილი და ფ. გოგიანიშვილი (შემდეგში ცნობილი პროფესორი) შეუდგნენ „კომუნისტური პარტიის მანი-

¹ კაპ. „შრომა“, 1883 წ. № 3.



ფეტის“ თარგმნას. საქმე წარმატებითაც მიდო-
და, მაგრამ ფ. გოგიჩაიშვილის საზღვარგარეთ
გამგზავრებისა და სხვა დაბრკოლებათა გამო, იგი
რამდენადმე შეუფერხდა.¹ ამის მიუხედავად,
გ. ფრანჩესკი და გ. სოლორაშვილი ენერჯიულად
ცდილობდნენ თარგმნის დამთავრებას, რაც 1897
წლის დამდეგს შესარულეს კიდევაც.

მათვარი სიძნელე ასლა მისი გამოქვეყნება იყო.
საკუთარი არალეგალური სტამბა ბათუმის მარქს-
ისტულ წრეს მამის არ გააჩნდა, მაგრამ ბოლოს ეს
საქმაც მოგვარებულ იქნა და 1897 წლის ზაფ-
ხულში ივ. ლუზინმა და გ. ფრანჩესკიმ ნაშრომი
დაბეჭდეს (პეტროგრადზე ბეჭდვა ორ თვეს ვრცელ-
დებოდა).²

ამის შესახებ გ. სოლორაშვილი ვეიამბობს:
„დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ის ვარგისობა,
რომ ქართულად საჭირო ლიტერატურა არ არსე-
ბობდა. ჩვენ განვიზრახეთ „კომუნისტური პარტიის
მანიფესტის“ ქართულ ენაზე გადმოთარგმნა. ეს
საქმე მე მომანდგეს, რაც შეძლებისდაგვარად შეე-
სრულეთ ფრანჩესკიმ და მე... ხანგრძლივი ცდების
შემდეგ ჩვენ შევედით კარგი პეტროგრადის დამ-
ზადება. დაბეჭდილ გვერდებს ვაშრობდით თითოე-
ულის თოჯზე, ვაჭიმულს ზინაზე, სადაც ცხოვე-
რობდა გ. ფრანჩესკი (ასლა ი. ბ. სტალინის ქ.
№ 48. — ა. ს.). დაბეჭდეთ ას ცალამდე პირვე-
ლი 60 კარგი გამოვიდა, დანარჩენი — რამდენადმე
მკრთალი. ჩვენ მივალწიეთ მიზანს: მარქსიზმის
ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, გა-
დათარგმნილი ქართულ ენაზე, ჩვენს ხელში
იყო.“³

37X45 ზომის ფურცლებზე დაბეჭდილი ნაშრო-

1 ფ. გოგიჩაიშვილი, „კომუნისტური პარტიის
მანიფესტის“ ქართული თარგმანები. ეკონომიკის
ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, 1950 წ., გვ. 187.

2 პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ფ. ბატრიშვილის
ფსევდონიმით ვაზ. „კვალში“ 1897 წლის შემოდ-
გომაზე გამოქვეყნებულ თავის სტატიაში ჩართუ-
ლი მანიფესტის ნაწილი მიანიხა ამ ნაშრომის
„ქართულად ბეჭდვის დასაწყისად“ (დასახ. ნაშ-
რომი, გვ. 186). სარქიეო მასალებით ეს არ დას-
ტურდება. პროფ. ა. კიკვიძის მითითებითაც მა-
ნიფესტის პირველი თავი „1897 წლის ზაფხულს...
პირველად დაბეჭდა ქართულად ბათუმში“ („სა-
ქართველოს ისტორია“, 1954 წ., გვ. 379). ასეივე
აზრისაა პროფ. პ. გუგუშვილი („კარლ მარქსი
ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობა-
ში“, 1955 წ., გვ. 123) და ს. ანგლედანი („სა-
ხალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიი-
დან სამხრეთ საქართველოში“, 1957 წ., გვ. 163).

3 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქარ-
თლოს ფილიალის არქივი, ფ. 11, ს. 813, ფურც.
16.

მი ორმოცი გვერდისაგან შედგებოდა. „პირველში
ფურცელს წებმდებარა: „კომუნისტური მანიფესტი“
კ. მარქსისა და ფ. ენგელის. მეორე ფურცელი
იწყებოდა სათაურით: „ბურჟუა და პროლეტა-
რი“! — იგონებს თანამედროვე. ჩანს, ნაშრომი
„მანიფესტის“ მთლიანი ტექსტის თარგმანს კი არ
წარმოადგენდა, არამედ მარტო პირველი თავის
თარგმანი იყო. ამის მიუხედავად, ეს ფაქტი
საინტერესო ფურცელია ბათუმის მშრომელთა რე-
ვოლუციური მოძრაობის ისტორიაში, რამდენადც
იგი კ. მარქსისა და ფ. ენგელის ნაწარმოებთა
ქართულ ენაზე გადმოთარგმნის პირველ ცდას
წარმოადგენდა.

დაბეჭდილი „მანიფესტის“ ნაწილი თბილისში,
ბათუმში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში გავრცელ-
და.⁴ ნაწილს კი, 1898 წელს ბათუმის სოციალ-დემო-
კრატიული წრის დარბევასთან დაკავშირებით,
რუსულ მარქსისტულ ლიტერატურასთან ერთად,
ბოლიციამ კონფისკაცია უყო.

ქანდარმერამ სცადა „მანიფესტის“ მთარგმნე-
ლის ვინაობის დადგენა. დაკოთხვისას გ. ფრანჩეს-
კიმ ვანაცხადა, რომ ბროშურა მიიღო უცნობი ქარ-
თელიდან, რომელიც ლონდონს გაემგზავრა.
მამის ბოლიციამ ეჭვი მიიტანა მისა ცხაკაიაზე,
რომელიც ქუთაისში მარქსისტული ლიტერატურის
თარგმანს ეწეოდა. მაგრამ მისი ნაწერების თარგმ-
ნის ხელნაწერთან შედარებისას საეჭვო ვერაფერი
ნახეს, რადგან ეს უკანასკნელი სპ. ლუწულას მიერ
იყო გადაწერილი.⁵

დღესაც ზოგიერთ მკვლევარს მანიფესტის მთარ-
გმნელად მისა ცხაკაია მიანიხა,⁶ რაც სწორი არ
არის. ნაშრომი რომ უშუალოდ გ. სოლორაშვილის
მიერაა ნათარგმნი, ამას ზემოთხილნილი განცხა-
დების გარდა, მისი მთარგმნელობითი საქმიანობაც
ადასტურებს. 1896 წელს გ. სოლორაშვილმა, ქარ-
თულად გადმოაკეთა ზოკლის „ცივილიზაციის ის-
ტორია ინგლისში“. ასე რომ მას „კომუნისტური
პარტიის მანიფესტის“ თარგმნაც შეეძლო, მით
უმეტეს, რომ ამას გ. ფრანჩესკის დახმარებით
აწარმოებდა. საქმესთან ასლო მდგომი თანამედ-
როვის მოგონებებითაც ამ ნაშრომის „რუსულიდან
თარგმნა დავეჯლა გრ. სოლორაშვილს“.⁷ სამწუხარო-
დ, თარგმნის ღირსებაზე ლაპარაკი შეუძლებე-
ლია, რადგან არც ერთი ევგენილმალარი ჯერჯერო-
ბით ჩვენამდე არ მოღწეულა.

1 ბათუმის რევოლუციური მუზეუმის არქივი,
ფ. 5, ს. 43, ფურც. 9.

2 „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტო-
რიის ნარკვევები“, 1957 წ., გვ. 48.

3 ბათუმის რევოლუციური მუზეუმის არქივი,
ფ. 5, ს. 27, ფურც. 2. აგრეთვე 1. 43, ფურც. 9.

4 იხ. ვაზ. „ზარია ფოსტოვა“, 1957 წ. № 107.

5 ბათუმის რევოლუციური მუზეუმის არქივი,
ფ. 5, ს. 43, ფურც. 9.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქართულ ენაზე თარგმნის ცდა ამით არ ამოწურულა. იმავე 1897 წლის დამლევს გაზ. „კვალში“ (№ 48-49) დაბეჭდილ პატრიშვილის (ფ. გოგიჩაიშვილის) ფელეტონებში მანიფესტის პირველი თავი და დანარჩენი თავების ნაწილი იყო ჩართული. ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით იგი ავტორები-სა და სათაურის დაუსახელებლად დაიბეჭდა.¹

1 საინტერესოა, რომ 1896-1900 წ. წ. არსებულა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პ. ვაფარიძის თარგმანიც (იხ. ა. ალლაძე, „ალიოშა ვაფარიძე“, 1958 წ., გვ. 6). სამწუხაროდ, ავტორი კონკრეტულად არ მიუთითებს არც თარგმნის თარიღს და არც მოცულობას.

თითქმის ასეთივე „კონტრბანდული“ გზით დაბეჭდილია „მანიფესტის“ საკმაო ნაწილი 1905 წელს ქუთაისში „მოგზაურშიც“ (№ 24-31).

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი სრული თარგმანი დაიბეჭდა 1905 წლის აგვისტოში, რსდმპ თბილისის კომიტეტის სტამბაში. ამის შემდეგ 1921 წლამდე იგი ორჯერ გამოქვეყნდა, მაგრამ ყველა გამოცემა პრიმიტიული იყო. მხოლოდ 1940 წელს გახდა შესაძლებელი ტექსტის მეცნიერული გამოცემის განხორციელება, რაც დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის იდეურ ცხოვრებაში.



მოთხრობები ზღვისპირეთზე

მიუხედავად იმისა, რომ „ზღვისპირეთის სა-
ღამოები“ სულიკო ჟღენტის პირველი წიგნია,
მასში იგრძნობა ცხოვრების ცოდნა და მის ცალ-
კეულ ლეტალებზე დაკვირვების უნარი.

მოთხრობაში „ზღვისპირეთის საღამოები“ მო-
ცემულია წვრილბურჟუაზიული ტრადიციებისა-
ვან ჯერ კიდევ გაუთავისუფლებელი ათანასეს
საინტერესო სახე.

ტრამპსა და ბაქია ათანასეს თავის რჩენისა და
ოჯახის შენახვის ერთადერთ საშუალებად მიაჩ-
ნია წვრილმანებით ვაჭრობა და ოთახების გაქი-
რაება. მას შეუძლია გაქნილი ენაშურობით ხალ-
ხისაგან აიღოს ფული, დაუნიშნოს ვალის გადახ-
დის ვადა, მაგრამ იმ დღეს შევალეს დაემალოს.

ნაწარმოების მსუბუქი იუმორი სწორედ ათა-
ნასესა და მის მეუღლეს მინადორას დატრია-
ლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი მკაცრად კი
არ დასცინის მათ, არამედ ცდილობს შეგვაცოდოს
ეს არასიმბათიური ადამიანები.

ნაწარმოებში საინტერესოა დახატული მე-
ზობელი ქალიშვილის ნანულისა და ათანასეს
სახლის ორი მობინადრის — მხატვარ შოთასა და
მისი მეგობრის ურთიერთობა. ლიტერატურაში
დიდი ხანია ცნობილია ეგრეთწოდებული „სიყვარ-
ულის სამკუთხედი“, მაგრამ ვაყასა და მისი
მეგობრის ფარული სიყვარული ნანულისადმი და
ამ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი რამდენად-
მე მოკლებულია დამაჯერებლობას.

მთელი წინააღმდეგობა იმაშია, რომ ნანულის
ჯულის მოსაგებად გაბედული შოთა ცდილობს ამ-
ხანავის შეუმჩნეველად ნანულისათვის ტუფლი
შეაკერინოს. მისი მეგობარი კი ქალიშვილთან
დაახლოების სხვა ხერხს ირჩევს. იგი ცდილობს
დაკარგული ტუფლი უპოვოს და ქალიშვილის
მოულოდნელი სიხარულით მისი ყურადღებაც
დაიამსახუროს. მაგრამ სანამ დაკარგულ ტუფლს

იპოვდეს, შოთა მოასწრებს ყიდვას და ამით ქა-
ლიშვილს უახლოვდება.

თანამედროვე ცხოვრებაში ეს კონფლიქტი ხე-
ლოვნურია. წიგნური და ავტორის მიერ მოგონი-
ლი.

მოთხრობა „ნათელა“ ხალხით და ინტერესით
იკითხება. აქაც ასახვის შეთოდად გამოყენებულია
ირონიული ფერები. ნაწარმოები ასახავს გეო-
ლოგთა ჯგუფის ყოფა-ცხოვრებას. გეოლოგები
მალაღმთიან ადგილას ერთ ფარდულში ცხოვრო-
ბენ. და აი გეოლოგ დომენტის კბილი ატკივდა.
განოიხახებენ უქამს. შშვენიერი ნათელას მისვლა
გამოაცოცხლებს გეოლოგებს, თითქოს მათს ცხო-
ვრებაში მზის შუქი შეიჭრაო.

განსაკუთრებით საინტერესოა დახატული
კოსტას სახე. იგი ცოლგაცილებულია და მეგობ-
რები ქალმოდულად თვლიან, მაგრამ ნათელა ისე
მოეწონა, რომ მწვეველ განიცდის და გრძნობს
ცოლთან გაცილების შეცდომას.

მწერლის დაკვირვებულ თვალს შეუმჩნეველი
არ დარჩა ნათელას სტუმრობით გამოწვეული
ერთი ფსიქოლოგიური მომენტი. გეოლოგებმა
თითქოს ახლა შენიშნეს, რომ ბინა დაულაგებელი
აქვთ. ყველა ფუსფუსებდა და ნათელასაგან შე-
უმჩნეველად ბინას ასუფთავებდა. ნათელას გაცი-
ლება, ყვავილების თაიგულების მირთმევა, კოს-
ტას დაინტერესება ნათელათი ზომიერად და გა-
დაუტარებელადაა ასახული.

გეოლოგების ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი მხარე
ნაწარმოებში მხატვრულად და საინტერესოა
ნაჩვენები, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორმა სავსე-
ბით აუარა გვერდი მათს საწარმოო მუშაობას,
რაც მოთხრობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

მოთხრობა „ზღვის ეშმაკი“ 1905 წლის რევო-
ლუციის ამბებზე მოგვითხრობს. მასში ასახულია
ამ რევოლუციის დროს უცხოეთიდან გემით იარა-
ღის შემოზიდვის და მეზღვაურების ყოფა-ცხოვ-
რების ამბები. განსაკუთრებით საინტერესოდ და



მაღალი ოსტატობით არის ნაჩვენები მკაცრი ზოც-
მანისა და ქოსას ურთიერთდამოკიდებულება. ზო-
ცმანის სიმკაცრე და სიფხიზლე იარაღის ფა-
რულად შემოტანას ართულებს. ამატომ ცდილობ-
ენ ცრურწმენებით გააბრუნონ ის. კეიპაში და-
არსიეს ხმა ქოსას კუდიანობის შესახებ. მეზღვა-
ურებმა ისარგებლეს ქოსას ოინებით, დაამინეს
ზოცმანი და მოადუნეს მისი სიფხიზლე ეს ყველა-
ფერი ნაჩვენებია მხატვრული ზომიერებით და
დამაჯერებლად.

საყურადღებო და მნიშვნელოვანია მწერლის
შემოქმედებაში მოთხრობა „მოულოდნელი შექ-
ვედრა“. მოთხრობაში გამოყვანილია ბიუროკრა-
ტი და ინტრიგანი კალისტრატე ჩახავა და მისი
მეგობარი ალექსანდრე. ისინი მოწინააღმდეგეს
შენიღბული ოსტატობით უმკლავდებიან. მათი ეს
ზნელი საქმიანობა დიდხანს არ გრძელდება.
ზრძოლის ვითარებაში ისინი მხილებული და ნი-
ღაზმამობილი ეგლინებიან მკითხველებს ნაწარ-
მოების ბოლო ნაწილში. მოთხრობა სიუჟეტურად
კარგად არის შევსული, ფინალიც საინტერესოა.

მოთხრობა „დამსვენებლები“ გვიხატავს საზ-
ჭოთა ადამიანების კულტურულ და ხალისიან
დასვენებას სსარავებლო შრომის შემდეგ. თუმცა
სანატორიუმის კულტურაშუაის საქმიანობას ნა-
წარმოების პირველ ნაწილში ავტორი ერთობ
წელუდავს: კულტურაში ქალი დამსვენებელთა
ყურადღებას თავისი საქმიანობით კი არ იპყრობს,
არამედ ვარგნული სიღამაზითა და ტანის რზე-
ვით, რაც სინამდვილის გაყალბებაა.

როგორც მხატვრული შესრულებით, ისე იდეუ-

რი ჩანადიერით საყურადღებოა ისტორიული
მოთხრობა „სისხლიანი ქორწილი“. ივენი
ტავს აქარელთა მძიმე ცხოვრებას წარსულში და
დაწერილია მგზნებარე პატრიოტული გრძნობით.
ქორწილის ბრძოლად გადაქცევა და ქეიფის მა-
გივრად სისხლისღვრა, მშობლიური მხარის დაც-
ვა ნაჩვენებია დამაჯერებლად და მხატვრული
ზომიერებით. ღრმად მოხუცი პატრიოტი სულსა-
ნი აშვობს: „მრავალგზის აღმართა ოსმალეთმა
ზინაჟური ხელი საქართველოზე, გარნა ზოროტსა
კეთილი სძლევს მუღამ... ჩვენ ხანძოის, ხახულის
და ოშკის ხატებს ვიცავთ, წინაპართა ოფლითა და
სისხლითა ავებულ პრწყინვალე ტაძრებს დავაქ-
ლებით, ურჯულოებს კი არ გავათუღვანებთ, ჩვენს
მანულს ვიცავთ. საკუთარი ხასლის გუშავად
ვდავაართ, ჩვენ მართალნი ვართ, ჩვენი საქმე კე-
თილი საქმეა. წინა აღვედგეთ ზოროტ საქმეს და-
მპყრობლებისას“. და ისინი, ამ სიტყვების ერთ-
გულნი, მტერს ვაკაკურად და გამირულად დახედ-
ვიან. თუმცა უთანასწორო ბრძოლაში შეაკვედ-
ნიან კიდევ.

სარეკენითი კრებულის მხატვრულ ეფექტიანო-
ბას რამდენადმე ანელებს ენის სისუსტე, ვაურკ-
ვეველი და ბუნდოვანი ფრაზები. აი ზოგიერთი
მათგანი: „ფოთლები ცრაღებდნენ“. „მადლი
დუნდვო შეკრებილიყო“, „კირაუქია მონდომებით
თელემდა“ და სხვ.

მიუხედავად მსგავსი ნაკლოვანებებისა, ს. ქლ-
ტის „ზღვისპირეთის საღამოები“ ავტორის უდა-
ვო ნიქსა და გემოვნებას მიწმობს.

8. მებაჟაე.

ქართული საბჭოთა მეცნიერების დიდი შენაქანი

XVI საუკუნის უკანასკნელ ოცეულში ოსმალეზმა
მიტაცებული სამცხე-საათაბაგო აღწერეს და შე-
ადგინეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთა-
რი“.

ა მხარის შეერთების (1829 წ.) შემდეგ ეს
დავთარი, როგორც ჩანს, ერთხანს ახალციხის რუ-
სული „დროებითი სამმართველოს“ კანცელარიაში
ინახებოდა. ბოლოს კი იგი ცნობილი ანტიკვარის
მ. ჩარუხჩევის ხელში მოხვედრილა და სტალინის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტისათვის მიუყიდნია. ამჟამად დავთარი საქართვე-
ლოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტი-
ტუტში ინახება.

ეს უნიკალური და ვრცელი იურისტული ხელნაწე-
რი თარგმნა და შეისწავლა გამოჩენილმა თურქო-
ლოგმა პროფესორმა ს. კეიქიამ.

„დავთარს“ მეცნიერული დამუშავება-გამოცემა
მკვლევარს განუზრახავს ოთხ წიგნად. დღემდე ვა-

მოცია სამი წიგნი: ჩვენ მხოლოდ მესამე წიგნს
შევეუბით.

წიგნი იყოფა ორ ძირითად ნაწილად: 1. ხელნა-
წერის აღწერილობა (გვ. 3-18), 2. გეოგრაფიული
და ტოპონომიკური შენიშვნები (გვ. 21-591).
წიგნს დართული აქვს ავტორის წინასიტყვაობა
ქართულ და რუსულ ენებზე (გვ. 07-013), აგრეთ-
ვე „გეოგრაფიული ხასიათის მინაწერები“ (გვ.
592-603). წიგნი შესანიშნავად არის გამოცემული:
ასლავს საძიებლები (ქართულად, რუსულად) და
გურჯისტანის ვილაიეთის რუკა (შეადგინა ოლოც.
ალ. ასლანიშვილი).

„დავთარი“ მეტად საინტერესო ძეგლია. მასში
მოცემულია ცნობები გეონომიური ისტორიის, სო-
ციალური ურთიერთობის, ადმინისტრაციულ-ტე-
რიტორიული დაყოფის, გეოგრაფიისა და ტოპონი-
მაკის შესახებ. ამჟამად ჩვენს ეს უკანასკნელი ვე-
ინტერესებს.



როგორც წინასტიკვობაში მართებულად აცხადებს ავტორი, „... საქართველოს არც ერთი კუთხისათვის არ მოგვევიკვება... „დავარის“ მსგავსი წყარო, რომელიც გეოგრაფიისათვის (ისტორიული გეოგრაფიისათვის — ი. ხ.) ასეთ მდიდარსა და ამომწურავ ცნობებს შეიცავდეს... ეს მასალა მეტად ძვირფასია იმისათვის, ვისაც სურს დეტალურად შესწავლოს საქართველოს ამ ფრიად მნიშვნელოვანი კუთხის (სამეცხე-საათაბაგოს — ი. ხ.) მისახლეობა და მიწა-წყალი“ (გვ. 07-08).

ამ ძეგლის ფილოლოგიურ-მეცნიერული შესწავლა ადვილი როდი იყო. უმოთერესი სირთულე იმაშია, რომ „დავარი“ შედგენილია ე. წ. სიდაკათის დამწერლობით. ეს კი მეტად რთული და ფრიად ნაკლებლოვანი დაწერლობაა. მას თურქული ენობრივი სინამდვილის ასახვაც კი არ ძალუშა ზუსტად და გაცილებით უფრო რთული ფონეტიკური შედგენილობის ქართულ ტოპონიმთა გადმოცემა, ცხადია, დიდად გაუძნელდებოდა. ამის გაშლა, რომ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი თურქულად დამახინჯებულია, თვითუფრო ასეთ ტოპონიმის ამოცნობა-აღდგენისათვის ავტორს დიდი მუშაობა გაუწევია. ძველად თუ ვინმე წარმოიდგენდა, მაგალითად, რომ „დავარის“ „სიხრუჯი“ ქართულ „ცხროჯას“ შესატყვისი იქნებოდა.

როგორც ცნობილია, აფრიკატი „ც“ თურქულს არ გააჩნია და უცხოურ სახელთა ტრანსკრიპციაში თურქები მას ჩვეულებრივ „ხ“-ანი გადმოსცემენ. ჩვენს შემთხვევაშიც — ხროქა — ხროქა, ან-ლაუტში კი თანხმოვანთა თავმოყრის ასაცილებლად თურქული ჩაირთავს რომელიმე ხმოვანს. ამ მაგალითში ასეთ ხმონად ი წარმოგვიდგება. ასე მივიღეთ: სიხ-როქა. თავკიდური მარცვლის შემდეგ თურქულში, როგორც აღნიშნავს ავტორი, ბაცის-მიერი ი უჩვეულო მოვლენაა. უცხო ტერმინთა ტრანსკრიპციაში ეს ხმოვანი ჩვეულებრივ „უ“-ს გვაძლევს. მივიღეთ: ცხროქა-სიხრუ-ქა (გვ. 117).

ასეთივე ბედი გაიზარა მრავალმა ქართულმა ტოპონიმმა და არა მარტო სამცხე-საათაბაგოში, არამედ დასავლეთ საქართველოს იმ მიწა-წყალზეც, რომელმაც თურქთა ბატონობა განიცადა. ასეთია, მაგალითად, ამჟამინდელი „სუსუმი“, რომელიც ქართული „ცხუმ“-ის დამახინჯებული ფორმაა. და ეს არაქართული ფორმა დღეს დაკანონებულია კიდევ. როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ხ. კვიციანი, „... ნორმალურად ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ „ცხუმის“ ნაცვლად დაკანონებული გვაქვს აშკარად გადაჯვარებული (გადათურქულებული) „სუსუმ“-ი“ (იქვე).

ქართულ ტოპონიმთა მეცნიერული შესწავლის ნიადაგზე ავტორმა ექვემოტანლად დაადგინა „ზურზუნა“ — „ქურძანა“, „ზინზალ“ — „წინწყალი“, „ზოდორქა“ — „წყორძან“, „ზაქერძან“

— „ზაქარწმინდას“ და მრავალ სხვათა შესწავლა სობა.

გარდა ეროვნულ ქართულ ტოპონიმთა აღდგენა-ამოწმების უაღრესად დიდი და საპატიო საქმისა, ავტორს სპეციალური ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის კვლევა-ძიებაც უწარმოებია და მრავალი ძველ წყაროებში მოხსენიებული, მაგრამ დღეს უკვე გამქრალი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბუნქტის აღვილსამყოფელი დაუდგენია.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, მაგალითად, კარგახანს-ცნობილი არ იყო ჯავახეთის ისტორიული სოფლის „დლივის“ აღვილმდებარეობა. „დლივი“ იხსენიება „მატიანე ქართლისაში“. ამ წყაროს ცნობით, დლივს შეუპყრიათ ლიპარიტ შალვაში. ამგვ საყურადღებო გეოგრაფიულ სახელს „დლივიცის“ ფორმით იხსენიებს ძველი სომეხი ისტორიოსი ასოღიკი. ამ უკანასკნელის მიხედვით, ეს სოფელი ჯავახეთში ყოფილა. მაგრამ „არ ჩანს, სახელდობრ სად მდებარებოდა „დლივი“. — წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაში“ („ქართველის ერის ისტორია“, წიგნი II, გვ. 55, 1948 წ.).

ხ. კვიციანი სპეციალური კვლევა-ძიება აწარმოა ამ მამართლებით და გამოარკვია, რომ ძველი ქართული და სომხური წყაროების „დლივი“ — „დლივიკი“ ამჟამინდელი სოფელი „ტილიფია“. ეს სახელწოდება, როგორც მართებულად მიუთითებს ავტორი, „... საცხებით კანონზომიერი ფონეტიკური ტრანსფორმაცია ქართული „დლივი“ სიტყვის არზრუმიდან გადმოსახლებულთა მეტყველებაში“ (გვ. 28).

ასეთივე სპეციალური ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებით გაარკვია ავტორმა აგრეთვე ცხროქას (გვ. 115), ზღუდერის (გვ. 134), დემოთიას (გვ. 148), ზურზუნის (გვ. 177), შორითას (გვ. 204), ფარვანას (გვ. 345), ქეკაქანის (გვ. 393), მგლინავის (გვ. 523) და სამცხე-საათაბაგოს მრავალ სხვა გეოგრაფიულ ბუნქტთა ადგილმდებარეობა.

ავტორს ბევრი უმუშავნია მის მიერვე ადრე სათუოდ ანოწმარულ ტოპონიმთა დასახუტებლადაც. ასე, მაგალითად, „დავარის“ მეორე წიგნის „ზურზუნას“ (გვ. 3-85) ხ. კვიციანი საცხებით მართებულად ასწორებს „ზედუზუნად“ (გვ. 114). ასევე ზუსტი და მართებულად მეორე წიგნისავე „ხორთუხის“ (გვ. 85) შესწორება „ლირთუნად“ (გვ. 114). ასევე თქმის „აღიგუნის“ (წიგნი I, გვ. 9, 116; II, გვ. 10, 118) „აღიგუნ“-ად შესწორებაზეც (წიგნი III, გვ. 159-160). ბირველი უკანასკნელის ვადთურქულბულ-დამახინჯებული ფორმაა (იქვე, გვ. 159).

„აღიგუნ“ ფორმიდან „უ“-ს დაკარგვით არის მიღებული ამჟამად დაკანონებული „აღიგენი“. ავტორი უპირატესობას აძლევს „აღიგუნს“ და ამ ფორმას ხმარობს ყველგან (წიგნი III, გვ. 9, 34,



ნაშრომში მიმოხილულია ქართული მჭევრმეტყველების მრავალი ეროვნული და უცხოური საისტორიო პირველწყაროები. ვარკვეულია მათი მნიშვნელობა ჩვენი ორატორული ხელოვნების შექმნის უძველესი შესწავლისათვის.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიისათვის უმდიდრეს მასალას გვაწვდის ძველი ბერძენი მწერლები: ტაციტი, ლიბანიოსი, თემისტოსი, პროპოსი კესარიელი, აკათია სქოლასტიკოსი, გიორგი ამარტოლი და სხვ.

ეროვნული საისტორიო პირველწყაროებიდან ცნობების სიუხვით გამოირჩევა სასულიერო, განსაკუთრებით საერო და საფილოსოფიოს მწერლობა, საიდანაც ნათლად ჩანს ორატორული მეტყველების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მისი ხარისხი. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ს. დოდაშვილის „რიტორიკა“. „პირველი ორიგინალური ნაშრომი ქართული მეტყველების თეორიის დარგში“ (გვ. 38), რომელიც დღესაც დიდ დასმარებას უწევს ამ დარგის მკვლევართ.

ქართულ მჭევრმეტყველებას ორიგინალური და მდიდარი ტერმინოლოგია გააჩნია, რომლის შესწავლას მჭევრმეტყველების ისტორიის შექმნის აუცილებლობა მიითხოვს. ზეპირნიტყევობასა და წერილობით ძეგლებში შემორჩენილი ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა ჩვენს საჯარო მეტყველებაში, მაგრამ დროდართო იგი თავის წინანდელ მნიშვნელობას უკარგავდა ანდა ახალი ყოფის შესატყვის ფორმას იღებდა და მაინც მათმა უმრავლესობამ მოაღწია ჩვენამდე. ისინი აზრის სიღრმითა და ფორმის მრავალფეროვნებით დღესაც გაკვირვებს იწყევნ. მათ შორის აღსანიშნავია ქადაგი, მოძღვარი, ტქმაი, მჭერი, მჭევრმეტყველება, სიტყუახელოვანი, სიტყვა-მჭევარი, მკაქერი და მრავალი სხვა. ამასთან შემორჩენილია უცხოური ტერმინები (რიტორი, რიტორება, ორატორი), რომლებიც „დროთა განმავლობაში ქართული ენის კუთვნილებად ქცეულან“ (გვ. 47).

ეს და მრავალი სხვა ორატორული მეტყველების ტერმინოლოგიის ნიმუშები, სამჭევრმეტყველო ეპითეტებსა და გამოთქმებთან ერთად ავტორმა შეკრიბა. შეისწავლა, დააღვა და შეადგინა ქართული მჭევრმეტყველების ტერმინოლოგიის ლექსიკონი. ეს უტყუარი დასტური მისი ორიგინალობის და მაღალი ენობრივი პოტენციისა... ეს მკვლევარის კიდ დამსახურება.

წ. კანდელიძე პირველმა მოგვცა ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის დასაბუთებული პერიოდზაცია, რომელსაც იგი ძირითადად სამ ნაწილად ჰყოფს: პირველი, ძველი პერიოდი — XIX საუკუნეები, მეორე, ახალი პერიოდი — XIX საუკუნე და მესამე უახლესი — XX საუკუნის დამდეგი.

ამ პერიოდების მიხედვით ქართულ ორატორულ ხელოვნებას ჰყავს ცოცხალი სიტყვის ისეთი დიდი ოსტატები და ოქრობირები, როგორცაა ფარსმან პირველი, ბაკური, გუბაშ მევე, აიუტი, ფარტაში, იოანე ბოლნელი, გიორგი შთაწმინდელი, გიორგი მტირე, სოლომონ ლიონიძე, გაბრიელ ქიქოძე, ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე და სხვები, რომელთა სამჭევრმეტყველო სიტყვის ნიმუშები მეცნიერულად შესწავლილი და კომენტარული წარმოდგენილია სარტყენზიო წიგნში.

ქართული მჭევრმეტყველების განვითარება და მისი სრულყოფა განსაზღვრა იმ კერების არსებობამ, სადაც თავს იყრიდა მთქმელთა და მსმენელთა მჭიდრო კოლექტივი სრული შეგნებით — დასელოვნებულიყვენ ორატორული სიტყვის წარმოქმნაში. ამათვე უღადებსა კოლხეთის აკადემია — მჭევრმეტყველების ქართული კულტურის უმაღლესი კერა, სადაც რიტორიკული განათლება მიუღიათ ბერძენ ფილოსოფოსებს თემისტოსსა და ევგენიოსს.. თენისტოსი ამბობს: „რატორიკის ნაყოფი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ზენონ ადვილია...“ (ე. ი. საბერძნეთი — კ. დ.) პანტოს ბოლოში ეწინააღმდეგება მასლობლად“ (გვ. 63). აღსანიშნავია აგრეთვე არქეპოპოლისი (ნოქალაქევი), ბოლნიის ტაძარი, ათონის ივერიის მონასტერი, გელათისა და იყალთოს აკადემიები, თილისისა და თელავის სემინარიები და სხვ., რომელთაც მოგვლის მსოფლიო მნიშვნელობის სიტყვიერი საუწყე.

ზემოთ დასახელებული კერები მკვლევარს შესწავლია მეცნიერული სისრულით, იმ სასწავლო ამოცანებისა და ზოგადი მნიშვნელობის თვალსაზრისით, რომელიც უჭეს დენს ქართული კულტურის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს.

ჩვენი ორატორული ხელოვნების მაღალი ხარისხის მაჩვენებელია მისი დარგობრივი და ჟანრობრივი მრავალფეროვნება, რომელსაც სარტყენზიო წიგნში ცალკე თავი მიეძღვნა.

ავტორმა დააღვინა ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების დარგები, რომელთაგან აღსანიშნავია: სამძადგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სა-მოსამართლო, საღვთსაწაულო, სამელოვიარო და სხვ. იგი არკვეს ყოველი მათგანის შინაარსს და დანიშნულებას. მთლიანი გემოვნების ოსტატურად შერჩეული ნიმუშებით წარმოგვიდგენს მათ.

წიგნში წარმოდგენილი რიცხვობრივი ძეგლები და მასალები საქართველოს სოციალური ყოფისა და კულტურის საინტერესო სურათს იძლევი, ხოლო ამ მასალების კლასიფიკაცია და ანალიზი ავტორის შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, ღრმა მეცნიერულ აღდოს ვვიდესტურებს.

წიგნში შეინიშნება ნაკლიც: ავტორი ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტა-



ციტის მაგივრად წერს „ტაციტუსს“. ეს ლათინური სახელწოდებანი პირდაპირ რომ გადმოგვეტანა ქართულში. მაშინ გვექნებოდა: კესარიუსი, ამპატოლუსი, ლიბანიუსი და სხვა, რაც არ უღვება ქართული სიტყვის ბუნებას.

ავტორი თითქმის არაფერს ამბობს რუსთაველის „ეფესისტკაოსნის“ მჭკერმეტყველების თავისებურების შესახებ, რომელსაც პოლემიკულ ინარჩუნებს ქართული ლექსმეტყველების ეს უზბაღი ნიმუში. არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ რუსთაველის დამოკიდებულება ორატორული ხელოვნებისადმი სპეციალური შესწავლის საგანია.

ჩვენ ვადაპარებულად მიგვანინა წარმართული და ქრისტიანული კულტურის იმეკარი დაპირისპირება, როგორც იგი სარევენში წიგნშია

წარმოდგენილი (გვ. 67). მით უმეტეს, ~~რეჟიმული~~ სათვის ამ საკითხზე ასრთა სხვადასხვა ~~მხარე~~ პოზიციის.

საინტერესო იქნებოდა ბერძნულ-რომაული და ქართული მჭკერმეტყველების ურთიერთობის ახალიზი. ამ გზით იმასაც მოვაგნებდით, თუ სად, როდის და როგორ მიადწია მჭკერმეტყველებამ სოციალური დანიშნულების უმაღლეს ბარისს.

ეს მცირედენი შეინიშნებენ სრულიადაც ვერ ამცინებენ ამ საყურადღებო წიგნის მნიშვნელობას. ავტორის მიერ გაწეული ფრიალ საბატო შრომის ნაყოფს სიამოვნებით მიიღებს ქართული კულტურით დაინტერესებული მკითხველი.

კონსტანტინე ლლონტი.

ახალი მცნიერული ნაშრომი ევრემ მცირეს შესახებ

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ლინგვოგრაფიულმა მიწვევმა ახლახან გამოსცა ე. ნიკოლაძის ნაშრომი „ევრემ მცირე — მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი“.

როგორც ამ ნაშრომის წინასიტყვაობიდან ჩანს, ავტორის ნიშანი იყო აენუსება და შექსწავლა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ლინგვოგრაფიული მიწვევისა და საქართველოს სახელმწიფო მიწვევის ის ქართული ხელნაწერები, რომლებშიც შეტანილია ევრემის მიერ მთარგმნილი ქართული ნაწარმოები, და ნუსხების შედარებით დაედგინა ამ ძეგლთა სწორი და ნამდვილი ტექსტი, შემდეგ განმართული ქართული ტექსტი შედარებინა ბერძნულ დედანთან შინაარსისა და ფორმის მხრივ და გამოეტანა დასკვნა, თუ როგორი წესით მთარგმნიდა ევრემი ქართულ ენაზე ბერძნულ მხატვრულ ნაწარმოებებს.

პირველ თავში განხილულია ევრემ მცირის ამოხსნა და წოდებული მხატვრული ძეგლი. მისი შექმნისას მთარგმნელს ბერძნულ დედნად ძირითადად გამოუყენებია გრიგოლ ნაზიანზელის ორი კნომიკური ლექსი. ერთი მათგანის სათაურია „აზრები ორტაპიანი“, ხოლო მეორისა — „აზრები ორტაპიანი“. ეს უკანასკნელი 59 ორტაპიანი სტროფია. ევრემ მცირეს იგი მოლიანად გადმოუღია, მაგრამ 59 ბერძნული სტროფი ევრემს ვადაუტყვევია 62 ქართულ სტროფად, ვინაიდან სამ ბერძნულ სტროფს (გე-3, ვე-4 და ნე-5 სტროფებს) აორკეცებს და თვითუღისაგან ორთა ქართულ სტროფს აკეთებს. შინაარსის მხრივ სამივე სტროფი მთარგმნელს აძლედა ასეთი გაორკეცვის შესაძლებლობას.

იმ ბერძნულ დედანში, რომელსაც სათაურად

აქვს „აზრები ორტაპიანი“, 73 ორტაპიანი სტროფია. მათგან ევრემს 38 სტროფის ნაცვლად უთარგმნია 36, მაგრამ ვარკვეული მიზეზების გამო ორი სტროფი გადმოუღია გრიგოლ ღვთისმეტყველის სხვა ლექსებიდან.

ბერძნული „ორტაპედიდან“ გადმოქართულბულ სტროფებში ევრემმა ძირითადად დაიცვა ბერძნული დედნის თანმიმდევრობა, ხოლო „ორტაპედიდან“ გადმოღებული სტროფები სულ სხვანაირად დააწყო: ზოგი მათგანი შევით წაიღო, ზოგი ქვევით ჩამოიტანა, ხოლო ზოგჯერ ორი სტროფი, როგორც ნეზობლად მდებარე, ისე ერთმანეთს დაშორებულ, ერთ ქართულ სტროფად აქცია და ამ ხერხით მიადწია იმას, რომ „ასმუხლედის“ სტროფი, შინაარსით ნონათესავე, აქა-იქ, ცოტა თუ ბერად ერთმანეთს დაუკავშირა.

რა იყო იმის მიზეზი, რომ ევრემმა შეერთა გრიგოლ ღვთისმეტყველის ორი ბერძნული კნომიკური ლექსი — „ორტაპედი“ და „ორტაპედი“ და ამის შედეგად შექმნა თავისი „ასმუხლედად“ წოდებული ლექსი?

ევრემმა იცოდა, რომ ძველ ქართულ მწერლობაში არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვით ზოგი ავტორი ასმუხლიან ნაშრომს ქმნიდა და ზოგი ამასვე მესცა. ამ ტრადიციის თანახმად მან შექმნა ასმუხლიანი მხატვრული ნაწარმოები და ამიტომ შეერთა ორი კნომიკური ლექსი. ბერძნული „ორტაპედი“ 59 სტროფი ევრემმა ვადაუტყვევია 62 ქართულ სტროფად, ხოლო სტროფების რაოდენობა რომ ასამდე აყვანა, გამოიყენა „ორტაპედი“ და იქიდან გადმოიღო, რაც საჭიროდ მიიჩნია.

ჟამთა ვითარების გამო „ასმუხლედში“ ნოთაფ-



სებული გნომიკური გამოთქმები ახლა მოქცეულ-
ბულია, მაგრამ ზოგ მათგანს შერჩენილი აქვს
გარკვეული მნიშვნელობა.

„ასმუხლედისათვის“ წამძღვარებული სტროფის
ბოლო ტეპეში ეფერე მცირე აღნიშნავს ამ ძეკ-
ლის დანიშნულებასა და მიზანდასახულობას.
კერძოდ, „ასმუხლელი“ მას იმ გასზრახვით გაუ-
კეთებია, რომ ქართულ სკოლებს ვანოღვამოდა
სასწავლო და სააღმზრდელო ლიტერატურულ ნა-
წარმოებად.

ამავე თავში ფართოდაა მიმოხილული ეფერემ
მცირის „ასმუხლედის“ ურთიერთობა ბერძნულ
დედანთან შინაარსის, ფორმისა და მეტრული წყო-
ბის მხრივ.

მეორე თავში განხილულია ბერძნული „ოთხ-
ტაპედის“ ანონიმური ქართული თარგმანი. ეფერემ
მცირის „ასმუხლედში“ ბერძნული დედნის სტრო-
ფები ისეა გადმოღებული, როგორც მისი მთარგმ-
ნელობითი თეორია მოითხოვდა. სახელდობრ, ეფ-
ერემის აზრით, ქართულად ბერძნული ტექსტი
უნდა ითარგმნოს პირდაპირ, უმეტესაქოვად და
უცვლელად. მაგრამ რადგანაც ქართული ენის ბუ-
ნება სხვაანაირია, ვიდრე ბერძნული ენისა, ბერძ-
ნული ტექსტი არ უნდა გადმოეღოთ გაწერჩე-
ვად, სიტყვა-სიტყვით. წინააღმდეგ შემთხვევაში
თარგმანი ცუდი, უხეში და უღალბათო გამოვაო.
მაგრამ პეტრიწონის ლიტერატურულმა სკოლამ
შეიმუშავა სხვაგვარი მთარგმნელობითი თეორია.
მისი მიმდევრები უმთავრესად მოითხოვდნენ, რომ
ბერძნულიდან ქართულად გადმოღებული თარგმ-
ანი ყოფილიყო პირდაპირი, მთლიანად სიტყვა-
სიტყვითი და შედემიწვევით სწორი და ზუსტი. ეს
იყო იმის მიზეზი, რომ ეფერემის შემდეგ ვინმე უც-
ნობმა ხელახლა თარგმნა გრიგოლ დედასწავლას
„ოთხტაპედი“ პეტრიწონელთა მთარგმნელო-
ბითი წესების შესაბამისად.

გადმოგვეცხვოს რა ამ ორ თვალსაზრისს, წიგნის
ავტორი არკვევს ბერძნული „ოთხტაპედის“ ანონ-
იმური თარგმანის ურთიერთობას დედანთან და
ეფერემის „ასმუხლედთან“ შინაარსისა და ფორმის
მხრივ და გამოაქვს სათანადო დასკვნა. უცნობი
მთარგმნელი ბერძნულ ტექსტს სიტყვა-სიტყვით
მისდევს და ბერძნულ ოთხტაპედიან სტროფს
ქართულ თარგმანშიც ოთხტაპედიან სტროფად
აქეთებს, მაგრამ ბერძნული მსატერული ფორმის
ზუსტად გადმოღება ქართული ლექსის შინაარსს
მოკლე გამოთქმებით ეარგლავს. ამასთან, თუმცა
ქართულ სტროფებში ბერძნული სტროფები მას
ყოველთვის ჩაუტყვია, მაგრამ ბერძნული სიტყვა
ზოგჯერ ისეა გადმოთარგმნილი, რომ ქართული

სტროფის აზრი სწორად ძალიან ბუნდოვნადაა
შინაარსაც შემოკლებულია.

ამ ორი მსატერული ძეგლის — ეფერემ მცირის
„ასმუხლედის“ და ბერძნული „ოთხტაპედის“
ანონიმური თარგმანის შედარებითი განხილვა და-
მაჯერებლად აღსატურებს, რომ ეფერემის „ასმუხ-
ლელი“, როგორც ნაარგმნი მსატერული ძეგლი,
ფორმითა და შინაარსით გაცილებით უფრო
სრულყოფილია და მას ვერ გაუტოვდება ბერძნუ-
ლი „ოთხტაპედის“ ანონიმური თარგმანი.

შესამე თავში ნაწვენებია, რომ გრიგოლ დედას-
მეტყველის მიერ პასილ დიდისადმი მიძღვნილმა
„ეპიტაფიის“ პარაფრაზმა, რომელიც ლექსად და-
წერა ნიკიტა ფილოსოფოსმა IX საუკუნეში, ჩვენ-
მდე მოაღწია მარტო ეფერემ მცირის ქართული თა-
რგმანით.

მეოთხე თავში განხილულია ეფერემ მცირის
იამბიკო სამოციქულო წიგნის შესახებ. ამ თემაზე
ჩვენამდე მოაღწია ეფერემ მცირის ორმა იამბიკომ.
მათგან ერთი გადმოთარგმნილია ბერძნულიდან,
ხოლო მეორე ორიგინალურია. ამ ორი იამბიკოს
ტექსტების შედარებით ავტორი ადგენს, რომ ეფ-
ერემისაგან ბერძნულიდან გადმოქართულდებულ
ტექსტში ვრცლად გამოთქმული აზრი სამოციქუ-
ლო წიგნის შესახებ მისსავე საკუთარ იამბიკოში
გამოხატულია მოკლედ.

როგორც ეხებათ, ნაშრომის ავტორი სრულად
განისილავს ძველი ქართული მწერლობის ერთ-
ერთი თვალსაზრისი წარმომადგენლის ეფერემ მცი-
რის მთარგმნელობით მუშაობას. მას დაკვირვებით
შეუსწავლია საქართველოს მუზეუმში დაცული
ხელნაწერები და რუსი, ქართველი და ბერძენი
მეცნიერების (კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის,
ა. გოგორიუვის, ს. ყუბანიევილის, პ. ინგოროყვა-
სა და სხვ.) ნაშრომები.

წიგნს, სამწუხაროდ, ახლავს ზოგიერთი ნაკლო-
ვანება.

ძალზე შეუშუშლად (კონსპექტურად) არის გა-
ნხილული გრიგოლ ნაზიანზელის ძეგლის ქართუ-
ლი ტექსტის ურთიერთობის საკითხის ბერძნულ დე-
დანთან მეტრული წყობის მხრივ. ეფერემ მცირის
თარგმანის ამ მხარეზე ღრმა დაკვირვებით კი შე-
იძლებოდა უფრო ვრცელი დასკვნების გაკეთება.

ნაშრომს არ ახლავს სახელთა, ავტორთა, საგან-
თა და წყაროების საძიებლები და ხელნაწერის
ფოტოპირები. ძალზე მცირეა წიგნის ტრიატი.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ე. ნიკოლაძის
გამოკვლევა ქართული სალიტერატურო-სამეცნიე-
რო აზროვნების მნიშვნელოვანი შენაძენია.

პავლე ხვამაძე.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII, 59 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომ-
ცემლო 7 თაბახი. შეკვეთის № 5046, ემ 0155, ქაღალდის ზომა 70X108,
ტირაჟი 3000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბიბლიოგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Грузглаволиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
(Батуми, ул. Р. Люксембург, 22)

ფანდი 4 825.

ბ. 343/
191



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литератури ლიჯარა“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ